ᲕᲔᲚᲘᲢᲠᲝ ᲛᲔᲓᲘᲐ

ᲠᲣᲜᲘ

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

9 მარტი ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ 2011
№055 (13352) ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲒᲛᲐ ᲐᲓᲠᲘᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲝᲜᲒᲑᲐᲡᲘ

ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲖᲕᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ ᲩᲐᲘᲢᲐᲜᲐ

8-9

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗᲥᲛᲐ

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ᲙᲐᲚᲩᲝᲛ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲘ ᲨᲐᲮᲢᲐᲨᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ

ᲓᲐ მაინც, ყველაფრის მიუხედავად, შეიძლებოდა, აქ მოზეიმე არსენალელების ფოტო გეხილათ - საჭირო იყო მხოლოდ სტუმართა დანიელ ფორვარდ ნიკლას ბენდტნერს ხეირიანად მიეღო ბურთი, შემდეგ კი კარში დარტყმა მოეხერხებინა და „ბარსელონას“ ამხელა ჯაფა წყალში ჩაეყრებოდა. 2:3 მარცხზე შემდეგ ეტაპზე არსენ ვენგერის გუნდი გავიდოდა. მაგრამ ბენდტნერმა ვერ გაიჩერა, მასკერანომ კი თავი განირა და „ბარსაც“ გადარჩა. „ბარსა“, რომელმაც კლასში დაჩაგრა, პასებით „დაახრჩო“ მეტოქე და შექმნა უამრავი მომენტი გმირულად მოთამაშე ალმუნიას კართან.

ალბათ, მაინც საფეხბურთო სამართლიანობა მოითხოვდა, რომ გუნდი, რომელსაც მეტოქის კარისკენ დარტყმაც არ უცდია ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში არ გავიდა. ერთადერთი გოლი კი, რომელიც „არსენალმა“ გაიტანა სერხიო ბუსკეტსის „ანგარიშზეა“. ინგლისელებს ერთი ის ამართლებთ, რომ თითქმის ერთი ტაიმი 10 კაცით ითამაშეს (სასტვენის შემდეგ დარტყმისთვის მეორე ყვითელი ბარათი რობინ ვან პერსიმ მიიღო), არსენ ვენგერი კი კვლავ რჩება უტიტულო მწვრთნელად.

„ბარსელონამ“ ლონდონში წაგებული სრულად ამოიღო და ერთიც დაამატა, რომ თამაში დამატებით ტაიმებში არ გადასულიყო, ორი გოლი გაიტანა ლიონელ მესიმ, მაგრამ გავბედავთ და ვიტყვით, რომ მესის ორ გოლზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ჩავის ერთი იყო. ჩავიმ 69-ე წუთზე 1:1-ზე გაიტანა, როცა „კამპ ნოუზე“ დაახლოებით ასეთი სიტუაცია იყო - „ბარსელონა“ რიცხვმცირე მეტოქეს არბევდა, დანი ალვეში მარჯვენა ფლანგზე ყველაფრის ბატონ-პატრონი იყო (რას აკეთებდა კლიში საერთოდ გაუგებარია), ლიონელ მესი მაინცდამაინც დრიბლინგით აპირებდა კარში შესვლას, ხოლო დავიდ ვილიასთვის დაუძლეველ კედლად შეცვლაზე შესული ალმუნია იქცა. და აი, ამ დროს გაიბრწყინა დუეტმა, რომელზეც მოდის „ბარსას“ ჯადოქრობის დიდი წილი, ანდრეს ინიესტამ საჯარიმოში ჩავი მოძებნა და მანაც ფორვარდებს აჩვენა როგორ უნდა გოლის გატანა. მართალია, 2:1 საბოლოო გამარჯვების მომტანი ანგარიში არ იყო, მაგრამ სწორედ აქ მოკვდა „არსენალი“, რომელსაც „გაცოცხლება“ ერთხელ შეეძლო, თუმცა ის ეპიზოდი უკვე ზემოთ აღვწერეთ.

მეორე მატჩზე კი უკომენტაროდ, მხოლოდ ფაქტებს შემოგთავაზებთ - „შახტარმა“ 3:0 (ორი მატჩის ჯამში 6:2!) გაანადგურა იტალიური გრანდი „რომა“, ისტორიაში პირველად გავიდა ლიგის მეოთხედფინალში და „კალჩოს“ კიდევ ერთი სირცხვილი აგემა საერთაშორისო ასპარეზზე.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ქართული ფეხბურთი

● დინამო — ახალწვეული

პეტარ ელიჩი ერთი წლის წინ ვერც წარმოიდგენდა, რომ რუსეთის პრემიერლიგაში აღზევებული ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგადან" ქართულ კლუბში გადასვლა მოუნევდა.

24 წლის ტანმაღალ თავდამსხმელს (187 სმ) საკმაოდ საინტერესო წარსული აქვს: საფეხბურთო კლუბ "მოდრიჩის" გაზრდილი მის ღირსებას სამი წელი იცავდა, შემდეგ გერმანიაში იენის "კარლ ცაისის" დუბლშემადგენლობიდან ცდილობდა უფრო მაღალ დონეზე მოხვედრას, მაგრამ ცნობილი გერმანული კლუბები რომ ვერ დაინტერესა, "ბელგრადში" გადავიდა. სერბეთის უმაღლეს ლიგაში სამი წელი თამაშობდა, საიდანაც აღმოჩნდა ომარ თეთრაძის გაწვრთნილ და ქართველებით სავსე "ვოლგაში", შემდეგ კი თბილისის "დინამოშიც". სწორედ "ვოლგას" ხელმძღვანელთა კეთილი ნების შედეგია, თავდამსხმელი საქართველოში რომ გამოუშვეს.

პეტარ ელიჩი "ვოლგაში" პრესტიჟული 10 ნომრით თამაშობდა და ოთარ მარცვალაძის თქმით, ძალიან კარგი თავდამსხმელია. მაგრამ მოსამზადებელ ეტაპზე "ვოლგაში" ბევრი ახალი ფეხბურთელი მიიწვიეს და თეთრაძემ მასთან განშორება გადაწყვიტა.

შეიძლება ითქვას, რომ ის "დინამოს" ზამთრის შენაძენებში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სტატისტიკის ფეხბურთელია - მან ორჯერ ითამაშა ბოსნიის ეროვნულ ნაკრებში.

პეტარ ელიჩი: ჩამოსვლა ომარ თეთრაძემ მირჩია

- რუსეთის პირველი ლიგიდან საქართველოში ქართველებიც არ ბრუნდებიან. მარცვალაძეს უკვირდა კიდეც, ელიჩი შეიძლება საქართველოში თამაშს არ დათანხმდესო.

- მარცვალაძემ გითხრათ? დიდი მადლობა მას, ასე კარგად თუ დამახასიათა. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მეთამაშა და სამუშაო მქონოდა.

- "ვოლგადან" რატომ წამოხვედი?

- გუნდში ძალიან ბევრი ლეგიონერი შევგროვდით, მით უფრო, თავდასხმაში და სხვა გზა არ იყო, მწვრთნელს ბევრიც უნდა გავეშვით.

- რუსეთში დარჩენის შანსი არ გქონდა?

- ომარ თეთრაძემ მითხრა, რომ თბილისის „დინამო" იყო დაინტერესებული, დიდი ტრადიციებისა და სახელის მქონე კლუბი და ჩამოსვლის იდეა მომეწონა.

- "დინამოს" სახელი გაგონილი გქონდა?

- ფეხბურთი თუ გიყვარს და იცი, წარმოუდგენელია, თბილისის "დინამოზე" არაფერი იცოდე. რა თქმა უნდა, სახელიც გაგონილი მქონდა და მცირე წარმოდგენაც მქონდა. მე ის მომეწონა, რომ მდიდარი ტრადიცია ჰქონდა, ევროპაში თასი მოუპოვებია და თეთრაძის თქმით, საჩემპიონო ბრძოლაში უნდა დავხმარებოდი.

- საქართველოში დიდი ხნით აპირებ დარჩენას?

- ეს ჩემზეა დამოკიდებული. ვნახოთ, თავს როგორ გამოვიჩენ.

- როგორი იყო შენი პირველი შთაბეჭდილება "დინამოზე"?

- ახალგაზრდული და სხვათა შორის, ძალიან პერსპექტიული გუნდია. „ვოლგაშიც" ვიცოდი, რომ ქართველები, მარცვალაძე, ხოჯავა, ნავალოვსკი, საჯაია ძალიან ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობდნენ, რაც მე მომწონს. ისინი „ვოლგას" სახეს და ძალას წარმოადგენდნენ. ფეხბურთელობაც არ არის მთავარი, ძალიან კარგი ბიჭები არიან, ვმეგობრობდით და სხვათა შორის, ქართველების პიროვნულმა თვისებებმაც გადამაწყვეტინეს წამოსვლა. მეც მართლმადიდებელი ვარ და ჩვენს დაახლოებაში ამანაც დიდი როლი შეასრულა. რასაც ვამჩნევ, დაახლოებით მსგავსი მენტალიტეტი გაგვაჩნია.

იცით, ჩემთვის რა იყო მოულოდნელი? ჩავედი რუსეთში, სრულიად უცხო გუნდში, სრულიად უცხო ადამიანებში და იქ ყველაზე მეტად ქართველი ბიჭები დამიდგნენ გვერდში, ყველანაირად მეხმარებოდნენ და უცებ დავმეგობრდით. ურთიერთობას დღემდე ვინარჩუნებთ, ყოველდღე ბიჭებს ან მე ვუკავშირდები, ან ისინი, მესიჯს მაინც ვუგზავნი. სულ აინტერესებთ ჩემი ამბები, როგორ ვვარჯიშობდი, როგორ ავეწყვე, როგორ მიმიღეს, მოკლედ, ყველაფერი. ასევე ვარ მეც, ვეცნობი მათ ამბებს და მიხარია, „ვოლგას" ლიდერები რომ არიან.

- ფოთში „დინამოს" ფორმით პირველი გოლი გაიტანე - ახალ გუნდში გოლი ყოველთვის სასიხარულოა.

- როგორ გაიხსნები და რამდენად მოახერხებ ახალ გუნდთან შეგუებას, ეს პირველ გოლზე არის დამოკიდებული. თუ ამას მალე შეძლებ, უფრო თავისუფლად ითამაშებ, თუ არადა, მერე ნერვიულობ. მიხარია, რომ "დინამოს" უკვე დავეხმარე. იმედია, ფორმაში მალე შევალ და უფრო მეტსაც გავიტან.

- საქართველოში იმდენად უხარისხო მოედნებია, გოლების გატანა ძალიან რთულია.

- გეთანხმებით, მოედნები მართლაც არ ვარგა, მაგრამ თავდამსხმელის მოვალეობა გოლების გატანაა, ასეთ მოედნებზეც კი. რაც არის, იმაზე უნდა ვითამაშოთ. მე არ ვიცი, ამახ როგორ მოვახერხებ, მაგრამ გუნდის იმედები უნდა გავამართლო.

- გუნდელებთან საერთო ენა გამონახე?

- ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ძალიან ბევრი ახალწვეული ვართ და ფაქტობრივად, ახალი გუნდი ჩამოყალიბდა. ასეთ დროს ჭირს გუნდური ფეხბურთის ჩვენება, თავის კარგად გამოვლენა, მაგრამ ნელ-ნელა ერთმანეთს უკეთ ვუგებთ. დრო გვჭირდება და ვფიქრობ, მალე ეს პრობლემაც მოგვარდება. მთავარი ისაა, რომ „დინამოში" ნიჭიერი ფეხბურთელები არიან.

მერაბ მამულაშვილი

● ლეგიონერი

გურული: კიდევ სამი წლით კარპატიში

საქართველოს ნაკრების შემტევმა ნახევარმცველმა **სანდრო გურულმა** ლვოვის "კარპატისთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ეს ფეხბურთელის მამამ, ფიფას აგენტმა **გია გურულმა** გვითხრა.

"გუნდის ხელმძღვანელებთან დავილაპარაკეთ და შევთანხმდით, რომ სანდრო „კარპატიში" კიდევ სამი წელი დარჩება. კონტრაქტს უკვე ხელი მოეწერა. მართალია, იყო სხვა შეთავაზებები, რაც უკვე გითხარით, მაგრამ საბოლოოდ უკრაინაში, ნაცნობ კლუბში დარჩენა ამჯობინა, სადაც მწვრთნელი ენდობა და ათამაშებს.

მეორეც - სანდროსთვის მისაღები აღმოჩნდა ლვოველთა შეთავაზებული ახალი კონტრაქტი. სხვა ქვეყანაში ნასვლა კიდევ მოესწრება, მთავარია, "კარპატისა" და საქართველოს ნაკრებში თავი გამოიჩინოს" - ამბობს უფროსი გურული.

6 მარტს უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყო, ლვოვის "კარპატიმ" გასვლაზე კიევში "არსენალთან" 2:2 ითამაშა, ქართველი კი მოედანზე არ გამოჩენილა. გია გურულის თქმით, სანდრომ კუნთის ტრავმა მოიშუშა, მაგრამ ლვოველთა მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ კონონოვმა** არ გარისკა და დაასვენა.

მერაბ მამულაშვილი

● მომავლის ფეხბურთი — ეროვნული ბაზლიოთეკა

35-ე სკოლა და მარაკანა

35-ე საფეხბურთო სკოლა 1966 წელს შეიქმნა. მოგვიანებით სკოლას სპეციალური კლასები დაემატა, სადაც სპორტი და სასწავლო პროცესი ერთმანეთს შეერწყა. სკოლის დირექტორად არჩილ არველაძის დანიშვნიდან ერთი წლის შემდეგ საქართველოს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით 2005 წელს 35-ე სკოლა სხვა საგანმანათლებლო სკოლებს შეუერთდა. შედეგად, სკოლაში ფეხბურთის სექცია გაუქმდა.

წლეულს 45 წელი უსრულდება სკოლას, რომლის კედლებმა ქართულ ფეხბურთს არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა აღუზარდა. ბოლო რამდენიმე წელია, რაც 35-ე საჯარო სკოლის საფეხბურთო მოედნებზე 35-ე საფეხბურთო კლუბი შეიქმნა, რომლის ხელმძღვანელობა გოჩა ავსაჯანიშვილმა ითავა.



გოჩა ავსაჯანიშვილი

გოჩა ავსაჯანიშვილი: *"35-ე საჯარო სკოლას საფეხბურთო სექცია გამოეყო და 35-ე საფეხბურთო კლუბის სტატუსი შეიძინა. სავარჯიშო მოედნები მათგან იჯარით გვაქვს აღებული. სკოლაში სწავლას მეტი ყურადღება მიექცა. უწინ ბავშვები ვარჯიშს ცხრა საათზე, ხოლო სწავლას თერთმეტ საათზე იწყებდნენ. სწავლის დასრულების შემდეგ კი ისევ მოედანს უბრუნდებოდნენ. ერთი მხრივ, ეს კარგი იყო. დღეს ყველაფერი შეიცვალა, რადგან ვარჯიშის დაწყება სკოლაში გაკვეთილების დამთავრებაზეა დამოკიდებული".*

თაობები, თაობები

35-ე საფეხბურთო სკოლის აღზრდილთა შორის არიან **მიხეილ მესხი, მურთაზ ხურცილავა, შოთა იამანიძე** და კიდევ სხვანი.

"მურთაზ ხურცილავა ფეხბურთის სათამაშოდ თბილისში რომ ჩამოიყვანეს, 35-ე სკოლის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. სკოლას პერსპექტიული ახალგაზრდის დაბინავების შესაძლებლობა რომ არ ჰქონოდა, შეიძლება მისი ნიჭი დაკარგულიყო. რაიონებში იმედისმომცემი არაერთი ბავშვი იზრდება. ძიების შედეგად ჩვენმა კლუბმა უკვე ათი პერსპექტიული ახალგაზრდა აღმოაჩინა. რეგიონებიდან ჩამოსულ ბავშვებს კი კლუბი თავად პატრონობს", - გვითხრა გოჩა ავსაჯანიშვილმა.

მარაკანა

35-ე საფეხბურთო კლუბს შვიდი მცირე თუ დიდი ზომის სავარჯიშო მოედანი ემსახურება, რომელთა ნაწილი იჯარით აქვთ აღებული. იმისათვის, რომ აღსაზრდელებმა ტექნიკური ილეთები დახვეწონ, იგეგმება სპეციალური სავარჯიშო მოედნის მოწყობა. ავდრიან ამინდში სავარჯიშოდ კლუბი დახურულ დარბაზას იყენებს. რაც შეეხება "მარაკანად" წოდებულ მოედანს, მას კიდევ ერთი დაემატება. 35-ე საჯარო სკოლის მოედნებზე მინდვრის საფარი დაზიანებულია, ამიტომ საჭიროა ხელმძღვანელობამ ამ პრობლემის აღმოფხვრაზე დროულად იზრუნოს.

მწვრთნელები და მშობლები

ისევ გოჩა ავსაჯანიშვილს მოვუსმინოთ: *"წინათ სკოლას შესაბამისი ლიცენზიის მქონე 21 მწვრთნელი ემსახურებოდა, თუმცა მათი რიცხვი ჩვიდმეტამდე შევამცირეთ. მწვრთნელთა ანაზღაურებასა და სკოლისთვის აუცილებელ სხვა ხარჯებს ბავშვების მიერ გადახდილი თანხით ვფარავთ. 50 ლარი მშობლისთვის მძიმე ტვირთია. სწავლის საფასურისგან ვათავისუფლებთ ნიჭიერ ახალგაზრდებს. თბილისის მერიის დახმარებით ჩვენთან 29 სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილი უსასყიდლოდ ვარჯიშობს".*

გავულიმოთ ვარსკვლავებს

"ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაწყებულ სალიცენზიო შემოწმებაში სხვა სკოლების მსგავსად ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. 35-ე საფეხბურთო კლუბს აქვს საცხოვრებელი ფართი, სავარჯიშო მოედანი, საშხაპე-გასახდელები, აქვეა საჯარო სკოლაც. შესაბამისი ვარსკვლავის მინიჭების შემთხვევაში ფეხბურთის ფედერაცია საფეხბურთო სკოლებს ფინანსურ მხარდაჭერას გაუწევს. შედეგად შევძლებთ ბევრი კარგი საქმე გავაკეთოთ", - გვითხრა ავსაჯანიშვილმა.

საზღაური აღზრდისათვის

უწინ ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ნიჭიერი ახალგაზრდები საფეხბურთო სკოლებიდან ისე მიდიოდნენ, მათ აღმზრდელ სკოლებს გაწეული შრომის სანაცვლოდ თანხა არ ერიცხებოდათ. ბოლო რამდენიმე წელია მოქმედებს კანონი, რომლის თანახმადაც სკოლას ფეხბურთელების აღზრდაში ჩადებული შრომა გარკვეული თანხის სანაცვლოდ უფასდებათ.

გოჩა ავსაჯანიშვილი: *"ბავშვის აღზრდისთვის საფეხბურთო სკოლას იმ გუნდისგან, რომელმაც ის შეიძინა, 1 500 დოლარი ერიცხება. ეს კანონი ბოლო წლებია, რაც არსებობს და გვერდს ვერავინ აუვლის. თავის დროზე საფეხბურთო კლუბებმა "ზესტაფონმა" და "დინამომ" ჩვენი სკოლის აღზრდილთა შეძენისას თანხა ჩვენც გადმოგვირიცხა. კანონი ვრცელდება იმ ბავშვებზე, რომელთაც სკოლა თორმეტი წლიდან ზრდის. 9-წლამდე ასაკის ბავშვები ფეხბურთის თამაშით ერთობიან. 9-დან 12-წლამდე ასაკის ბავშვს მწვრთნელი ტექნიკას, საფეხბურთო აზროვნებას, ბურთის ფლობასა და ბევრ მნიშვნელოვან ილეთს აჩვევს. სწორედ, ეს წლებია ფეხბურთელად აღზრდისთვის მნიშვნელოვანი".*

მსოფლიოს ჩემპიონი

რამდენიმე დღის წინ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ესპანეთში შეკრება დასასრულა. ნაკრების სამწვრთნელო შტაბში გოჩა ავსაჯანიშვილიც იმყოფებოდა. "ესპანურ შეკრებაში ნაკრებთან ერთად ჩვენი კლუბის აღსაზრდელი შალვა ექვთიმიშვილიც იყო. ფეხბურთელები სანაკრებო შეხვედრაში ყველა კუთხიდან იყრიან თავს, რადგან ბავშვებს ვარჩევთ არა სკოლების, არამედ ნიჭის მიხედვით.

წლების განმავლობაში ესპანეთის ნაკრები წარმატებებს ვერ აღწევდა. დღეს მწვრთნელებს ეამაყებათ, რომ დიდი შრომის შედეგად სასურველი შედეგი მიიღეს და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები გახდნენ. ჩვენც ყველამ ერთად, საფეხბურთო სკოლებმა თუ ფეხბურთის ფედერაციამ, მიზნად უნდა დავისახოთ წინსვლა.

ჩვენს მსგავსად ესპანელი მწვრთნელები ბავშვებს კვადრატებით, კარში დარტყმით და ტექნიკაზე მუშაობით ავარჯიშებენ. ისიც კი გამიკვირდა, რომ ერთ დიდ საჯარო სკოლაში, რომელიც ოთხად იყო გაყოფილი, მცირე ასაკის ოთხი გუნდი ვარჯიშობდა. ბავშვები იქ ძირითადად ბუნებრივ-საფრიან მოედნებზე ვარჯიშობენ".

მხარდაჭერის მოლოდინში

„კარგი იქნება თუ კლუბის დასახმარებლად გამოჩნდება ადამიანი, რომელიც გვერდით დაგვიდგება. მართალია, სასურველ შედეგს უცებ ვერ მოიმკის, მაგრამ თანდათან წარმატებაც მოვა. სანამ მშველელი გამოჩენილა, შევეცდებით ქართული ფეხბურთისთვის სასიკეთო საქმე ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ვაკეთოთ. სამწუხარო ისაა, რომ ზამთარში მშობლები ბავშვებს სურდოსა თუ მსგავსი დაავადებების შიშით საჯარჯიშოდ არ უშვებენ. მალე ეს პრობლემაც აღმოიფხვრება", - გვითხრა გოჩა ავსაჯანიშვილმა.

სალომე ხარატიშვილი



დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● მედიაპრობლემა

ჟურნალისტებმა რა დააშავეს?!

სამტრედიის სტადიონზე ექსცესები არცთუ იშვიათი მოვლენაა და სამწუხაროდ, ეროვნული ჩემპიონატის გასულ ტურში იქ კიდევ ერთი უსიამოვნო ამბავი მოხდა. ათეულობით სამტრედიელი ვაიგულშემატკივრის "სამიზნეში" ჟურნალისტები მოხვდნენ. მართალია, მათ ფიზიკურად არავინ შეხებია, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში ჩვენს კოლეგებს დაუმსახურებელი სიტყვიერი შეურაცხყოფის ატანამ მოუწიათ.

პირველი არხის კორესპონდენტ **ლადო წულუკიძეს** მისი მისამართით ნასროლი ბოთლი სანტიმეტრებით ასცდა, თუმცა, განსაკუთრებული უსიამოვნებები თავს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტებს გადახდათ.

თურმე, "სამტრედიას" ქომაგთა ერთი ნაწილი გადაცემა "საფეხბურთო ღამეში" **დიმიტრი ობოლაძის** მიერ დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინ გამოთქმული მოსაზრებით ყოფილა აღშფოთებული. მაშინ უმაღლეს ლიგაში ახლად გადასულმა "სამტრედიამ" თბილისის "დინამო" დაამარცხა და ეს შედეგი ობოლაძემ სენსაციად შეაფასა – ვფიქრობთ, აბსოლუტურად ობიექტურად. ვერ გეტყვით, რა იყო ამაში საწყენი, მაგრამ მას შემდეგ სამტრედიაში ჩასული "რუსთავი 2"-ის თანამშრომლები ყოველთვის წნეხის ქვეშ ექცეოდნენ

და პროფესიული მოვალეობების შესრულება მძიმე პირობებში უწევდათ.

ამჯერად შეურაცხყოფის მთავარი ადრესატი "რუსთავი 2"-ის კორესპონდენტი **დავით ერაძე** აღმოჩნდა, რომელმაც შემდეგი გვიამბო: *"თავდაპირველად, იმას გავუსვამ ხაზს, რომ "სამტრედიას" ჰყავს ღირსეული გულშემატკივრები, რომლებიც თამაშის შემდეგ ხუოიგნების ნაცვლად გვიხდიდნენ ბოდიშს. თუმცა სამწუხაროდ, ვაიგულშემატკივართა რაოდენობაც დიდია. ისინი რატომღაც ჩვენ გვდებდნენ ბრალს "სამტრედიას" გასაჭირში და გვეუბნებოდნენ, რომ მათი "დაძირვა" გვინდოდა. არადა, მეც და ჩემი კოლეგებიც რეგიონებში ხშირად ვაშუქებთ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს და იქაური კლუბების წარმატება განსაკუთრებით გვიხარია. სამწუხაროა, რომ ქომაგთა ნაწილს საერთოდ არ ესმის ფეხბურთის არსი და ხელს ჩვენსკენ იშვერს. ამას სჯობს, ფეხბურთის ელემენტარულ წესებში გაერკვიონ და პატივი სცენ ჟურნალისტებსაც და მეტოქე გუნდსაც. ეს ხალხი არა მხოლოდ მასმედიის წარმომადგენლებსა და მოწინააღმდეგეს აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას, არამედ საკუთარი გუნდის წევრებსაც კი არ ინდობს. ცალკე თემაა მსაჯებზე განხორციელებული ზეწოლა. ლევან კვარაცხელიასა და მის ასისტენტებს მუშაობა უმძიმეს პირობებში უნევდათ, არადა, ისეთი შეცდომა ნამდვილად არ დაუშვიათ, მატჩის შედეგზე გავლენა რომ მოეხდინა".*

"ლელოს" გუშინდელ ნომერში "სამტრედია"-"ტორპედოს" მატჩის მიმოხილვას წაიკითხავდით და გაიგებდით, რომ მსაჯები სამტრედიაში მართლაც ცუდ დღეში ჩააგდეს. კოლეგას დავეთანხმებით – ზუსტად ვერ გეტყვით, რა იყო სხვა ეპიზოდებში, მაგრამ ვიდეოჩანაწერმა დაგვარწმუნა, რომ "ტორპედომ" გამარჯვების გოლი წესების სრული დაცვით გაიტანა.

ჩვენი მხრივ, იმას დავძენთ, რომ გულწრფელად განვიცდით "სამტრედიას" ასეთ სავალალო ყოფას და სულ ცოტა ხნის წინ ყველასთვის ანგარიშგასაწევი გუნდი უმაღლესი ლიგიდან გასავარდნად და დასაშლელად არ გვემეტება. შევდივართ იმ სამტრედიელთა მდგომარეობაშიც, რომელთა ცხოვრებაშიც მშობლიური ქალაქის გუნდს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია, მაგრამ თუ ვინმეს ჰგონია, რომ "სამტრედიას" მწვავე კრიზისში ჟურნალისტებს თუნდაც მცირე წვლილი მიუძღვით, სასტიკად ცდება. პირიქით, პრესისა თუ ტელევიზიის საშუალებით ჩვენ და ჩვენი კოლეგები ყოველთვის აქტიურად განვიხილავდით "სამტრედიას" პრობლემებს და მაქსიმალურად ვცდილობდით, კლუბის გადარჩენაში მცირედი წვლილი მაინც შეგვეტანა.

ვფიქრობთ, ვაიგულშემატკივრების უმრავლესობამ მშვენივრად იცის შექმნილი სავალალო მდგომარეობის რეალური მიზეზი და მათ პირდაპირ ვეტყვით, რომ მისამართი შეეშალათ. ღირსეული სამტრედიელი ქომაგებისადმი კი კიდევ ერთხელ გამოვხატავთ უდიდეს პატივისცემას და მთელი გულით ვუსურვებთ საყვარელი გუნდის უკეთეს მომავალს.

ლევან ჯანეზაშვილი

● ეროვნული ნაკრები

ბილეთები ბლოგად იქნება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 26 მარტს გასამართი საქართველო-ხორვატიის ეროვნულ ნაკრებთა მატჩზე დასასწრები ბილეთების 20 მარტიდან, **ბორის პაიჭაძის** სახელობის ეროვნული სტადიონის სალაროებში გაიყიდება.

ბილეთის ფასი კი 5 ლარიდან იწყება. 5-ლარიანი ბილეთი 6 514 ცალი დაიბეჭდება, 7-ლარიანი – 17 538 ცალი, 10-ლარიანი – 15 735 ცალი, ხოლო 20-ლარიანი – 8 326 ცალი.

ყველაზე მცირე რაოდენობით გაიყიდება 30-ლარიანი ბილეთები, რომელთა საშუალებითაც მსურველებს დასავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსის მე-8 და მე-9 სექტორებში მოხვედრა შეეძლებათ.

ლევან ჯანეზაშვილი

საფეხბურთო სკოლა „ნორჩი დინამო" დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სკოლის ყოფილი დირექტორი, ფეხბურთელთა მრავალი თაობების აღმზრდელი

ოთარ გეგეჭკორი

პანაშვიდი: 9.03; გასვენება: 10.03, 14 საათზე.
მისამართი: გლდანის 1 მკრ-ნი, IX კორპუსი.

● ინტერვიუ ალექსანდრე კოშკაძესთან

სხვა გუნდი, პატივი

ეროვნული ჩემპიონატი

თბილისის "დინამოს" კაპიტანი ალექსანდრე კოშკაძე დარწმუნებულია, რომ მეორე ეტაპის დასაწყისის ჩავარდნა დროებითი მოვლენა იყო და მეტი არაფერი. კოშკაძე მედიის ხშირი სტუმარი არ არის და დამკვიდრდა აზრი, რომ ჟურნალისტებთან საუბარს ერიდება, მაგრამ ასე არ ყოფილა და ვფიქრობ, საინტერესო მოსაუბრე აღმოვაჩინეთ. თანაც "დინამოს" კაპიტანია - რაც უნდა ცუდ დღეში იყოს, ეს კლუბი მაინც გამორჩეული მღელვარებისა და სიხარულის საბაბია და მისი კაპიტნობაც ყველა დროში საპატიო იყო.

www.fcdinamo.ge

- შარშან ტრავმის გამო ბევრი დრო გაგიცდა. ახლა როგორ გრძნობ თავს?

- ახლა უკვე ჯანმრთელად ვარ და არაფერი მაწუხებს. წელი მტკიოდა, მაგრამ ვისთან არ ვიყავი და ზუსტი პასუხი ვერავინ გამცა, რა იყო მიზეზი. ერთმა ექიმმა გადამრია, მოედანს არ გაეკაროო და ფეხბურთს უნდა შეეშვაო. 2 თვე ვერაფერს ვაკეთებდი, ისიც არ ვიცოდი, ვისთან მემკურნალა და შარშან ბევრი დრო დავკარგე. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ვერაფერს იგებენ. იმედს ეძებ, რომ ვინმე დაგელაპარაკება და გეტყვის, ორ ან სამ თვეში მოედანს დაუბრუნდებიო, მაგრამ ვერაფერს იგებდნენ.

ბოლოს ავლაბარში ვნახე ექიმი და დამიდგინა, რომ ელემენტარული რამ იყო სამკურნალო, ნეკნთან ნერვის ანთება. ისეთი მადლიანი ხელი ჰქონდა, უცებ მიშველა და დავისვენე. ახლა სრულად გამოვჯანმრთელდი, საბედნიეროდ, არაფერი მაწუხებს. მთელი მოსამზადებელი ეტაპი არაფერი მტკენია და ვგრძნობ, ფორმაში შევდივარ.

- თბილისის "დინამოს" კაპიტნობა ყოველთვის საპატიო იყო.

- საპატიოც არის და ძალიან დიდი ტვირთიც, ნაკლები უნდა ილაპარაკო და მეტი გააკეთო. "დინამოს" კაპიტნად რომ ამირჩიეს, ძალიან ვინერვიულე. მეგონა, რომ ამხელა გუნდის კაპიტნობას თავს ვერ გავართმევდი. სიმართლე გითხრათ, ახლაც ასე მგონია.

მიხარია, რომ ეტყობა, ჩემი ეიმედებათ და უარის თქმა არ გამოდიოდა. არადა, ასეთ პატივს ვერც წარმოვიდგენდი. "დინამოში" სამკლავურით ისეთი ხალხი თამაშობდა, რომელთა სახელებიც ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

- რომან ფიფიას მოსვლის შემდეგ, გუნდში შემადგენლობა რადიკალურად შეიცვალა. ახალ ფეხბურთელებზე რას იტყვი?

- კარგი ბიჭები არიან, მაგრამ გუნდთან შეთამაშება სჭირდებათ. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან 11 ახალი ფეხბურთელი გვყავდა და როდესაც ჩემპიონატი დაინყო, ბევრ მათგანს ნორმალურად არც ვიცნობდით. ახლა ყველას დავუახლოვდით, პიროვნულადაც გავიცანით და ერთმანეთის უკეთ გვესმის.

- თებერვალში წარუმატებლობების შემდეგ, ფოთში მოგება "დინამოზე" დადებით გავლენას მოახდენდა.

- დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. ეს ერთი მოგება ჰაერივით გვჭირდებოდა, რადგან წელს ოფიციალური შეხვედრა არ მოგვეგო. ეს ტალღა უნდა დავიჭიროთ და "სამტრედიასთანაც" ასევე ვითამაშებთ. დარწმუნებული ვარ, დღევანდელზე ბევრად უკეთ შეგვიძლია თამაში და ამაში გულშემატკივარს მალე დავარწმუნებთ. „კოლხეთთან" მოგებამ, ბევრი რამ განაპირობა და მჯერა, რომ ჩემპიონობა მიუღწეველი მიზანი არ არის.

- ლიდერს შვიდი ქულით ჩამორჩებით და როგორ?

- დარწმუნებული ვარ, თუ ჩვენი თამაში "დავიჭირეთ", ვერავინ შეგვაჩერებს. გაჩერების უფლება არც გვაქვს.

- ცუდი სტარტი ბევრ გუნდს ჰქონია, მაგრამ დინამოელობა სულ სხვა სტრესია. სხვა კლუბებთან შედარებით მეტია ყურადღება, კრიტიკაც და დაფასებაც.

- რა თქმა უნდა. ფეხბურთელმა "დინამოში" ყველა შეხვედრაზე უნდა დაამტკიცოს, რომ თამაშს იმსახურებს. ერთიც რომ ჩააგდო, მერე იტყვიან, ამას „დინამოში" რა ესაქმებაო. ამიტომ არის სტრესი და ნერვიულობა, მეტი ნებისყოფა და მონდომება გჭირდება.

ბევრგან მითამაშია, ქუთაისის „ტორპედოში", რომელიც მეორე ადგილზე ოთარ გაბელიას ხელმღვანელობით გავიდა, ჩემპიონობისთვის მებრძოლ ბოლნისის „სიონში" და „ამერში", რომელიც ძალიან კარგ ფეხბურთს აჩვენებდა და სულ თასის ფინალში ხვდებოდა. სამივე სოლიდური კლუბი იყო, მაგრამ „დინამო" სხვა სიმაღლეა და ამაზე კამათიც არ ღირს. შეცდომის კი არა, მოდუნების უფლება არ გვაქვს. ეს ჩემთვის დღემდე ისეთივე საოცნებო კლუბია, როგორიც იყო. რა თქმა უნდა, ძველებურად ძლიერი არ არის, მაგრამ პოტენციალი აშკარად აქვს.

- ადრე "დინამოს" ფორმაც კი იგებდა. ახლა?

- ახლაც იგებს. ეროვნულ სტადიონზე გასვლის დროსაც სხვაგვარ ძალას ვგრძნობთ. წლევანდელი სტარტის ჩაგდების შემდეგ, შესაძლოა, ასეთი ლაპარაკი დამაჯერებლად არ ჟღერს, მაგრამ დინამოელი უფრო ამაყი და თავდაჯერებული ხარ. ეროვნულ სტადიონზე ყველაზე მდიდარ გუნდთანაც უფრო თავდაჯერებული ხარ, რადგან „დინამოს" ფორმით თამაშობ. ამ ყველაფერს არავის დასაკნინებლად არ ვამბობ, მაგრამ ჩვენი ფორმის, ტრადიციისა და სულისკვეთების უპირატესობას მეტოქეც გრძნობს.

გემახსოვრებათ „ცრვენა ზვეზდასთან" შეხვედრა, 2:0 რომ მოვიგეთ. სერბებს თამაშითაც მოვუგეთ, მაგრამ უფრო სწორად დინამოელობის გამო სტადიონმა, ფორმამ, გუნდის სახელმა ძალა მოგვცა და ჩვენი სულისკვეთება „დავიჭირეთ". ეს სიამაყე დიდმა დინამოელებმა დაგვიტოვეს და ამიტომაც მინდა, კლუბის სახელს და ღირსებას სხვაგვარად გავუფრთხილდე და ნდობა გავამართლო. ეს სულისკვეთება კი არ ჩამკვდარა და მალე ნახავთ, გუნდი თამაშს გამოასწორებს. საწყენია, რომ სერბებთან ნათამაშები შემადგენლობიდან ბევრი წავიდა, კაშია, მერებაშვილი, ოვონო, აკირემი, თორემ „დინამო" დღეს ბევრად ძლიერი იქნებოდა.

- გუნდის ყველა ლიდერი უცხოეთში წავიდა, შენ ეს რატომ ვერ მოახერხე?

- ჯერ ერთი, კონტრაქტი მაქვს, მაგრამ უფრო იმის გამოც, რომ ახლა არსად წასვლა არ მინდა.

- უცხოეთში წასვლა არ უნდოდეს, ასეთი ქართველი ფეხბურთელი არსებობს? ამას გულახდილად ამბობ?

- რატომ უნდა წავიდე, როდესაც „დინამოდან" შეიძლება ქვეყანას და ჩვენს ფეხბურთს გამოვადგე. ნაღდად ვერ ვიტყვი, ფული მომცენ და ყველგან წავალო. არის რაღაც, რაც ფულზე არ იცვლება.

- ნაკრების ბოლო შეხვედრაში თამურ ქეცბაიამ აღარ გამოგიძახა. ნაკრებო კარიერა წარსულია?

- მწვრთნელის გადასაწყვეტია, როდის მიგიწვიოს და როდის არა, მაგრამ ფეხბურთელი გამოძახებისთვის ყოველთვის მზად უნდა იყო. სამწუხაროდ, შარშან ოპტიმალურ ფორმაში არ ვიყავი და ეს ნაკრებშიც დამეტყო.

- მე კი დამრჩა შთაბეჭდილება, რომ შესაძლებლობას ზედმეტი ნერვიულობის გამო ვერ ავლენდი.

- რაღა დროს ჩემი ნერვიულობაა. მიზეზი სხვა რამ იყო - მეტისმეტად მონდომებული ვიყავი და ესეც ცუდად მოქმედებს.

- ჩვენს მოედნებზე შენნაირ ტექნიკურ ფეხბურთელს თამაში უნდა უჭირდეს.

- მიჭირს კი არა, ჩვენს მოედნებზე თამაში საშინელებაა. ბურთის გაჩერება და დამუშავება ჭირს, ამას რომ ვერ აკეთებ, იძაბები და რომელ ლამაზ ფეხბურთზეა ლაპარაკი?

მერაბ მამულაშვილი

BG Bet Guru
http://bet.goli.ge
სრულიად უფასოდ !!!

ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი ?
გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე !

- თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
- Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
- სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

საქართველოს ჩემპიონატი

XXIII ტურის მიმოხილვა

უკომპრომისო და შედეგიანი

საბედნიეროდ, ტურის წინათქმაში გამოთქმული შიში არ გამართლდა და ამინდმაც... ხუთივე მატჩის ჩატარების საშუალება მოგვცა! ეგ კი არა, მართლაც უკომპრომისო ტური გამოდგა (არც ერთი შეხვედრა ფრედ არ დამთავრებულა) და, რაც მთავარია, წინა ტურებთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა შედეგიანობაც. ყოველ შემთხვევაში, ხუთ შეხვედრაში გატანილი 14 გოლი ურიგო მაჩვენებელი არ არის და საერთოდაც, მეორე ეტაპის დაწყებიდან ყველაზე შედეგიანი სწორედ გასული ტური გამოდგა. ცნობისათვის: ჩემპიონატის დაწყებიდან ეს უკვე მესამე შემთხვევაა, კონკრეტულ ტურში 14 გოლი რომ გავიდა; ორჯერ იყო უფრო უკეთესი მაჩვენებელი, როდესაც XVIII და XIV ტურებში 15-15 გოლი გავიდა; სარეკორდო მაჩვენებელი კი, ჯერჯერობით კვლავაც XVIII ტურში დაფიქსირდა: პირველი ეტაპის დასკვნით ტურში ჩვენი ფეხბურთელები გოლის იშტაზე მოვიდნენ და 16 გოლიც გაიტანეს. აი, რაც შეეხება „ანტირეკორდს", ამ შემთხვევაში მართლაც „უკონკურენტოა" XI ტური: 23 და 24 ოქტომბერს ჩატარებულ ხუთ შეხვედრაში... მხოლოდ და მხოლოდ 3(!) გოლი რომ ვიხილეთ.

ევროდონე

ტურის მიმოხილვა ისევ გოლებით უნდა გავაგრძელოთ და, უპირველეს ყოვლისა, „ზესტაფონის" მართლაც გასაოცარი შედეგიანობა ვახსენოთ: **გია გეგუჩაძის** გუნდმა ამ სეზონში უკვე მეხუთე მატჩი მოიგო სამი და მეტბურთიანი სხვაობით! პირველი „მსხვერპლი" ცხინვალის „სპარტაკი" იყო, III ტურში 4:0 რომ მოუგო; ამის მერე „ზესტაფონის" ფეხბურთელებს, დაახლოებით სამთვიანი პაუზა ჰქონდათ და პირველი ეტაპის დასკვნით სამ ტურში მეტოქეთა გაცამტვერებაც დაიწყეს: „სამტრედიასთან"-7:0, „სიონთან"-4:0, „ვიტ ჯორჯიასთან"-3:0. და აი, ახლა უკვე „ბაიას" ჯერიც დადგა: როგორც ამ ჩემპიონატის ერთ-ერთ გამოკვეთილ ფავორიტს შეეფერება, „ზესტაფონმა" ისე ჩაატარა არცთუ სუსტ მეტოქესთან მატჩი და ზუგდიდური გუნდის კარში 6 გოლი გაიტანა. ისე, „ზესტაფონის" შედეგიანობა მხოლოდ ადგილობრივი მასშტაბით კი არა, ევროპული საზომებითაც დასაფასებელ-აღსანიშნავია: გია გეგუჩაძის გუნდმა 23 შეხვედრაში 50 გოლი გაიტანა (ანუ, ერთ მატჩში საშუალოდ ორ გოლზე მეტი). აღარაფერს ვამბობთ იმ მართლაც განსაკუთრებულ მოვლენაზე, როცა ამ 50-დან 33 გოლი გუნდის სამ ფორვარდზეა „გადანაწილებული"!

დიდი ფუფუნება

საუკეთესო ბომბარდირთა დავაში მართლაც საინტერესო სიტუაციაა: მართლაც ვერ ვიხსენებთ შემთხვევას, ერთი გუნდის... სამ თავდამსხმელს შორის წარმართულიყო ამ საპატიო წოდებისათვის ბრძოლა. არადა, ფაქტი ჯიუტია: 23 ტურის შემდეგ „ზესტაფონის" ფორვარდთა „ტრიოს" ისეთი მაჩვენებელი აქვს, მომავალ მეტოქეებს რომ დაზაფრავს. თავად განსაჯეთ: **ნიკოლოზ გელაშვილს** 12 გოლი აქვს გატანილი, **რატი წინამძღვრიშვილს**-11, ხოლო **ჯაბა დვალს**-10. სხვათა შორის, წინამძღვრიშვილმა დისკვალიფიკაციის გამო „ბაიასთან" მატჩი გამოტოვა, მაგრამ „ზესტაფონი" ისეა დაკომპლექტებული, რომ ორი-სამი კი არა, უფრო მეტი წამყვანი ფეხბურთელის არყოფნაც გუნდის ასპარეზობაზე ნეგატიურად არ მოქმედებს. აი, ახლაც, შეცვლაზე შემოვიდნენ **შოთა ბაბუნაშვილი** და **გიორგი ხიდეშელი,** სათადარიგოთა სკამზე დარჩნენ **ირაკლი ძარია** და ხორვატი ახალწვეული **გორან გრუიცა,** დღე-დღეზე მიიღებს თამაშის უფლებას მეორე ეტაპის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ახალწვეული **ზურაბ მენთეშაშვილი** და ასე შემდეგ. თუმცა, „ზესტაფონის" ერთ ახალწვეულს უკვე ჰქონდა დებიუტი — ექვსწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატს **გიორგი ფოფხაძე** დაუბრუნდა!

გადამწყვეტი გოლები

კვლავაც ბომბარდირთა თემას გავაგრძელებთ და კიდევ ორი გოლიადორი უნდა ვახსენოთ, „ზესტაფონის" ფორვარდთა სამეულს (გელაშვილი, დვალი, წინამძღვრიშვილი) სეზონის ბოლომდე კონკურენციას რომ გაუწევს. უპირველეს ყოვლისა, „ოლიმპის" თავდამსხმელი **ირაკლი მოდებაძე** გვინდა გამოვყოთ, ჯაბა დვალის მსგავსად ჩემპიონატში 10 გოლი რომ აქვს გატანილი. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ „ოლიმპის" ყველაზე შედეგიანმა ფეხბურთელმა მეორე ეტაპზე თავის აქტივს მხოლოდ ერთი გოლი შემატა („ვიტ ჯორჯიასთან" შეხვედრაში). მაგრამ, ქვეყნის ჩემპიონი თავის კონკურენტ „ზესტაფონისგან" განსხვავებით მეორე ეტაპზე შედეგიანობით ნამდვილად ვერ გამოირჩევა: ახალგაზრდა მწვრთნელის, **თორნიკე მაისურაძის** გუნდმა ბოლო ხუთ მატჩში მეტოქეთა კარში მხოლოდ... ხუთი გოლის გატანა მოახერხა. ახლაც, ბოლო ტურის შეხვედრაში „ოლიმპმა" მინიმალური სხვაობით გაიმარჯვა და ალბათ, ლოგიკურიც იყო, რომ იმ მეტად რთული გამარჯვების მომტანი გოლის ავტორი **რევაზ გეწაძე** გახლდათ. ეს გარემარბი ამ მატჩშიც ერთ-ერთი გამორჩეული იყო და საერთოდაც, სეზონის დაწყებიდან მოყოლებული, უკვე მერამდენედ გაიტანა გადამწყვეტი გოლი.

ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე ვანო სალინაძე (მარცხნივ) და დინამოს ახალი მთავარი მენეჯერი ზურაბ პოლოლიკაშვილი კოლხეთი-დინამოს მატჩზე

მამუკა ქანთარიას ფოტო

საუკეთესო ბომბარდირთა ხუთეულშია საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული გოლიადორი, მშობლიურ გუნდში დაბრუნებული **გიორგი მეგრელაძეც,** — გამოცდილმა ფორვარდმა პირველ ეტაპზე „ბაიას" შემადგენლობაში 6 გოლი გაიტანა, მეორე ეტაპზე კი უკვე „ტორპედოს" ღირსებას იცავს და თავის აქტივს კიდევ 2 გოლი მიუმატა. საერთოდ კი, „ტორპედო" კვლავაც რჩება უმაღლესი ლიგის ყველაზე დაბალშედეგიან გუნდად — ქუთათურებმა 23 მატჩი

ჩაატარეს და მეტოქეთა კარში... 12 გოლი გაიტანეს. რაც შეეხება მეორე ეტაპს, „ტორპედომ" მხოლოდ სამჯერ იხეირა და სამივეჯერ თავი გუნდის ახალწვეულებმა გამოიჩინეს — გიორგი მეგრელაძემ (ორჯერ) და **ლაშა ქებაძემ.**

პესიმიზმი და ოპტიმიზმი

შარშან, 11 სექტემბერი იყო, ხუთნლიანი პაუზის შემდეგ უმაღლეს ლიგაში ფოთის „კოლხეთისა" და თბილისის „დინამოს" დაპირისპირება კვლავაც რომ შედგა; ტურის წინათქმაშიც აღვნიშნეთ, რომ იმ დროისათვის მასპინძლები ჩინებულად ასპარეზობდნენ და უმაღლეს ლიგაში ერთადერთი გუნდი სწორედ „კოლხეთი" იყო, წაუგებლად რომ თამაშობდა და საერთოდაც, საკუთარ კარში გოლი არ ჰქონდა გაშვებული. თუმცა, „დინამომ" შეძლო იმ შეხვედრის მოგება, მერე უკვე მეორე წრის მატჩიც დიდი ანგარიშით მოუგო „კოლხეთს" და აი, მესამე ცდაზეც შეძლო ფოთელთა გუნდის დამარცხება. სამწუხაროდ, დღესდღეობით „კოლხეთს" სერიოზულზე სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს და უმეტესწილად, ამიტომაც არის, რომ **ბესიკ შეროზიას** გუნდი პირველ ლიგაში დაქვეითების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. ზედიზედ მეოთხე მარცხმა „კოლხეთის" მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა და ამ გუნდის უახლოესი მატჩების განრიგსაც თუ გავითვალისწინებთ, ცოტაც არ იყოს, პესიმისტური განწყობაც უნდა ჰქონდეთ ფოთელ ქომაგებს. სამაგიეროდ, მეორე ეტაპზე პირველი გამარჯვება მოიპოვა თბილისის „დინამომ", თანაც, ეს შეხვედრა სადებიუტო იყო კლუბის ახალი მთავარი მენეჯერისთვის, **ზურაბ პოლოლიკაშვილისათვის.** „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** წინა მატჩისაგან განსხვავებით „დინამოს" შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელა - ძირითადში გამოჩნდნენ **თემურ ღონღაძე, ირუი ჰომოლა, ლევან ხმალაძე** და **სამირ ჰაჯიბულიჩი.** ამასთან, როგორც იქნა თავი გამოიჩინა „დინამოს" ერთ-ერთმა მრავალრიცხოვან ახალწვეულთაგანმა — სერბმა **პეტარ ელიჩმა** საქართველოს ჩემპიონატში სადებიუტო გოლი გაიტანა. თუმცა, ბევრად ეფექტური მაინც დინამოელთა კაპიტნის, **ალექსანდრე კოშკაძის** გატანილი გოლი იყო — საჯარიმოს მისადგომებიდან, ბურთი მეტოქის კარის „ცხრანიში" რომ გაგზავნა.

ვეტერინარული გაკვეთილები

მეორე ეტაპის უდავო აღმოჩენად რაღა თქმა უნდა, „ვიტ ჯორჯია" უნდა მივიჩნიოთ: **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდმა ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო და დიდი ალბათობით, სეზონის ბოლომდე მეოთხე ადგილსაც არავის დაუთმობს. ეგ კი არა, ამ ახალგაზრდულმა გუნდმა თუ ასე გააგრძელა, შესაძლოა, მესამე ადგილისათვისაც იბრძოლოს. ყოველ შემთხვევაში, „ვეტერინარების" ბოლოდროინდელი ასპარეზობიდან გამომდინარე, მოვლენების ასეთი განვითარება მოულოდნელი არავისთვის უნდა იყოს. „ვიტ ჯორჯიამ" ამ სეზონში უკვე მეორედ შეძლო მატჩის „შემოტრიალება": 29 აგვისტოს „სამტრედიასთან" პირველი ტაიმის შემდეგ 0:2-ს აგებდა და საბოლოოდ ის შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა (4:2). ასე მოხდა ახლაც ბოლნისში: პირველი ტაიმი მასპინძლებმა (რომელთა შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა „ვიტ ჯორჯიას" ყოფილ ფეხბურთელს **დავით ლომაიას)** მოიგეს, მაგრამ შესვენების შემდეგ „ვეტერინართა" მთავარმა მწვრთნელმა სწორი და ეფექტიანი შეცვლები განახორციელა, თავისი გუნდის ტაქტიკური სქემაც რამდენჯერმე შეცვალა და საბოლოოდ გამარჯვებაც მონდომებით მოასპარეზე სტუმრებს დარჩათ. სხვათა შორის, მეორე ტაიმში „ვეტერინართა" მიერ გატანილი ორივე გოლი ეფექტური იყო და ორივე შემთხვევაში თავი ახალგაზრდა ნახევარმცველებმა (**გურამ გურეშიძე, გიორგი ვასაძე**) გამოიჩინეს.

ზესტაფონი-ბაია 6:1

დავით კოხრეიძის ფოტო

გია ტუხაშვილი

● ლეგიონერები

ლიპარტიამ კმაყოფილება გამოთქვა

ვაბალიპარტიას ლუგანსკის "ზარიას" შემადგენლობაში არცთუ ურიგო ოფიციალური დებიუტი გამოუვიდა. ატალახებულ მოედანზე "ზარიას" ქართველმა დებიუტანტმა "ვოლინის" განადგურებაში (3:0) თავისი წვლილი შეიტანა და მისი თამაშირ-ინითა შეაფასეს. ნამატჩევს ლიპარტიამ პრესასდებიუტით მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარა.

"საკუთარი თამაშის შეფასება გამიჭირდება, სჯობს, ამაზე მასმედიამ და გულშემატკივრებმა იმსჯელონ. მიხარია, რომ ჩემმა გუნდმა მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

სოლიდური ანგარიშის მიუხედავად, მეტოქე სულაც არ ყოფილა ურიგო გუნდი. თუმცა ფაქტია, რომ "ზარიამ" უკეთ ითამაშა. ცუდი კლიმატური პირობების მიუხედავად, მე და ჩემმა თანაგუნდელებმა მწვრთნელების ყველა დავალების შესრულება შევძელით.

ასეთ მინდორზე კი კარიერის განმავლობაში პირველად ვითამაშე. "ზარია" ტექნიკური გუნდია და ჩვენთვის გამარჯვება ადვილი ნამდვილად არ ყოფილა. ვიმედოვნებ, შემდეგ მატჩებს უკეთეს პირობებში ჩავატარებთ", - თქვა ლიპარტიამ.

მისი თამაშით კმაყოფილი დარჩა "ზარიას" პრეზიდენტი **ევგენი გელერი:** "გამარჯვებას გუნდური თამაშით მივაღწიეთ და რომელიმე ფეხბურთელის გამორჩევა გამიჭირდება. მოხარული ვარ, რომ ახალწვეულებმა და კონკრეტულად, ჯაბა ლიპარტიამ თავი კარგად წარმოაჩინეს".

ინტერი ფინალს უახლოვდება

ბაქოს "ინტერი", რომლის შემადგენლობაშიც ჩვენი არაერთი თანამემამულე თამაშობს, აზერბაიჯანის თასის ნახევარფინალში გავიდა. **კახა ცხადაძისა** და **გიორგი ჩიხრაძის** გუნდი განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩში შინ 0:0 დაუზავდა ქვედალიგელ "აფშერონს" და რაკი პირველი შეხვედრა 1:0 ჰქონდა მოგებული, შემდეგი ეტაპის საგზურიც მას დარჩა.

"ინტერის" შემადგენლობაში ქართველთაგან **გიორგი ლომაიამ, კახა მჟავანაძემ, ილია კანდელაკმა** და **დავით ოდიკაძემ** ითამაშეს. ოდიკაძე 70-ე წუთზე შეცვალეს, დანარჩენმა ქართველებმა კი მოედანზე 90 წუთი დაჰყვეს.

თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა "გაბალა", რომლის ღირსებასაც **გოგა ბერაია** იცავს. "გაბალა" შინ "ბაქის" 0:0 ეთამაშა, სტუმრად კი 0:1 დამარცხდა.

● ქალთა ფეხბურთი

პრესტიჟის გამარჯვება ფარერელებთან

საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ბრძოლა პირველივე ეტაპზე დაასრულა. უეფამ ევროპის რვა უსუსტესი გუნდი ორ ჯგუფად გაყო და მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულებს მიეცათ ძირითად შესარჩევ რაუნდში თამაშის უფლება.

საქართველოს ნაკრების მეტოქეები მალტაზე ადგილობრივ გუნდთან ერთად სომხეთი და ფარერები იყვნენ. პირველ ტურში ქართველები მალტელებთან 0:1 დამარცხდნენ, შემდეგ სომხეთთან 0:0 ითამაშეს, გუშინ კი ტურნირზე ერთადერთი ბურთი გაიტანეს და ფარერელებთან პრესტიჟის გამარჯვება მოიპოვეს. გამარჯვების გოლი მსაჯის მიერ დამატებულ მეხუთე წუთზე **ლელა ჭიჭინაძემ** პენალტით გაიტანა.

ამით ქართველები ჯგუფში ბოლო ადგილს გადაურჩნენ და 4 ქულით მესამეზე გავიდნენ, შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება კი 5 ქულით სომხეთმა მოიპოვა.

ლევან ჯანეზაშვილი

ფეხბურთელის ცხოვრება

ნანისა და ჟოზეს ძმობა



„მანჩესტერ იუნაიტედის“ პორტუგალიელ გარემარბ **ნანის** ლივერპულელმა **ჯეიმი კარაგერმა** ფეხი რომ ატკინა და მოედანი საკაცით დაატოვებინა, კვირას ყველამ ნახა. ის ეპიზოდი ტელეარხებმა, ჟურნალ-გაზეთებმა და ინტერნეტ გამოცემებმა დაწვრილებით გაარჩიეს, ექიმებმა კი, ამასობაში, ნანის იარა შეისწავლეს, დაამუშავეს და დაადგინეს, რომ პორტუგალიელს სამი თამაშის გამოტოვება მოუწევს.

თავიდან ზუსტი დიაგნოზის დასმა ძნელი გახლდათ, სურათი კი მძიმე ჩანდა: ჭრილობა, სისხლდენა და ფეხბურთელის ცრემლი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. როდესაც „იუნაიტედის“ მედიკოსებმა იარა ახლოდან ნახეს, მისი სიღრმით გაკვირვებულები დარჩნენ. ბუნებრივია, მოგვიანებით ჭრილობას ნაკერები დაადეს და დღეს ამბობენ, რომ მთავარი საშიშროება ნაკერების შესაძლო წყვეტაა.

ამრიგად, პორტუგალიელ გარემარბს დაახლოებით ერთი თვე გაუცდება. სხვა სიტყვებით, ის მონაწილეობას ვერ მიიღებს შემდეგ შეხვედრებში: შაბათს ფეხბურთის ასოციაციის თასზე „არსენალთან“, ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩში „მარსელთან“ და პრემიერლიგაში „ბოლტონთან“. ამის შემდეგ კი ევროპაში საკლუბო ფეხბურთი ისვენებს, გულშემატკივართა წინაშე ნაკრებები წარსდგებიან, რის მერეც, 2 აპრილს, „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ვესტ ჰემს“ ხვდება და წესით ნანი სწორედ იქ უნდა დაბრუნდეს.

ადრე მოგახსენეთ, რომ ჯეიმი კარაგერმა ნანის ბოდიში შეუთვალა და თამაშის დამთავრების შემდეგ „ენფილდზე“ შენობის გარეთ უცდიდა კიდეც, რათა პირადად შეხვედროდა და თავისი გულისტკივილი გამოეხატა, მაგრამ გაბრაზებულმა პორტუგალიელმა სახე მოარიდა. მან ლივერპულელს ზურგი აქცია და ყავარჯნით „იუნაიტედის“ ავტობუსში ავიდა.

რამდენადაც ცნობილი გახდა ნანი თავის კლუბზეც გაბრაზდა. მოგეხსენებათ, სერ **ალექს ფერგიუსონს** პრესა-ტელევიზიისთვის საპროტესტო დუმილი აქვს გამოცხადებული და მას მხარი „იუნაიტედის“ სხვა თანამშრომლებმაც აუბეს. შედეგად გამოვიდა, რომ ნანის პოზიცია არავინ დაიცვა, რაზეც თავად ფეხბურთელმა „ტვიტერში“ გულისტკენით ილაპარაკა: *„დიდი მადლობა ყველას ასეთი დიდი მხარდაჭერისთვის“* — დაწერა გვარიანი უხეშობის მსხვერპლმა ირონიულად.

თუმცა, ნანის პრობლემები მხოლოდ მოედნითა და საექიმო კაბინეტით არ შემოიფარგლება. პორტუგალიაში მას საკუთარი ძმა **ჟოზე ალმეიდა** უჩივის სასამართლოში. 33 წლის ჟოზე ამბობს, რომ ნანიმ მასთად დადებული კონტრაქტი დაარღვია და უკაპიკოდ დატოვა. კერძოდ, საქმე ასე ყოფილა: ნანიმ, რომელიც დღეს 24 წლის გახლავთ, 2007 წელს, როდესაც ის „მანჩესტერ იუნაიტედში“ ლისაბონის „სპორტინგიდან“ 17 მილიონ ფუნტად გადავიდა, ძმას მისი საქმეების გაძღოლა სთხოვა. ჟოზე ალმეიდა დათანხმდა და უძრავი ქონებით ვაჭრობის ფირმა დახურა. ის ძმასთან ინგლისში გადასახლდა და მას ხელშეკრულება გაუფორმა, რომლის თანახმადაც წელიწადში 150 ათას ფუნტი უნდა მიეღო. როგორც უფროსი ალმეიდა ამბობს (ნანის სრული გვარ-სახელი **ლუის კარლოს ალმეიდა და კუნიაა**) უმცროსმა სიტყვა გატეხა და ისეთ დღეში ჩააგდო, რომ ის იძულებული გახდა 650 ათას ფუნტიანი სახლი გაეყიდა. ჟოზემ, რომელიც დღეს ჰოლანდიაში ცხოვრობს და საფეხბურთო აგენტად მუშაობს სასამართლო დავაზე ლაპარაკი იუარა, მისმა მეგობარმა კი თქვა:

„მან ნანის გამო ყველაფერი დათმო. არადა, თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ნანიმ ფულის გადახდა შეწყვიტა. ჟოზე გაოგნებული დარჩა. მას ვერც კი წარმოედგინა, რომ ძმას ძმისთვის შეეძლო ასეთი რამ გაეკეთებინა. მას სხვა გზა აღარ დარჩა და ამიტომაც მიმართა სასამართლოს“.

ფეხბურთელი

ჯერმაინ დეფო: სფურსიდან წასვლას ვაპირებდი



ვინ წარმოიდგენდა, რომ **ჯერმაინ დეფო** იანვარში „ტოტენჰემიდან“ წასვლას აპირებდა. მიზეზი: **ჰარი რედნაპმა** ის რამდენიმე მნიშვნელოვან შეხვედრაში არ ათამაშა. კვირას მწვრთნელმა დეფო ათამაშა და თავდამსხმელმა თავისი წილი საქმე ჩინებულად შეასრულა, „ვულვერჰემპტონს“ ორი გოლი გაუტანა, თუმცა ფეხბურთელი ეჭვობს, რომ რედნაპი მას დღეს, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში, „მილანის“ წინააღმდეგ ისევ არ ათამაშებს. რა მოხდება „მილანთან“ ამ საღამოს გამოჩნდება, ჩვენ კი სტატისტიკას ჩავხედოთ: „ვულვზამდე“ ანუ გასულ კვირამდე ინგლისის ნაკრების 28 წლის თავდამსხმელს პრემიერლიგაში შაშანდელი აპრილის შემდეგ არ გაეტანა...

მაინც, რატომ უწევს დეფოს ასე იშვიათად თამაში? ყველაფერს რედნაპის ტაქტიკა განაპირობებს. „სფურსის“ თავკაცს ერთი თავდამსხმელით უყვარს თამაში, რომლის უკანაც, ჩვეულებრივ, **რაფაელ ვან დერ ვაარტი** გამოჰყავს. ასეთი განლაგება ცენტრფორვარდებს დიდი კონკურენციის პირობებში აგდებს. თან, ყველაფერს ნოემბერში კოჭის ტრავმა დაემატა, ხოლო გამოჯანმრთელების შემდეგ შემადგენლობაში ადგილის დაბრუნება იოლი არასდროს არ არის — სანამ შენ ავადმყოფობდი, ადგილს სხვა იმკვიდრებდა.

„სათადარიგოთა სკამთან შეგუება კი ძნელია — ამბობს თავდამსხმელი, რომელმაც „მანჩესტერ იუნაიტედთან“, „ლივერპულთან“, „არსენალთან“ და „მილანთან“ შეხვედრებს სწორედ სკამიდან ადევნა თვალ-ყური' — *ასეთ დროს საკუთარ თავს ეკითხები: რატომ ვზივარ აქ? მე ხომ ის ფეხბერთელი ვარი, რომელიც თავისი კლუბისა და ნაკრების შემადგენლობაში დიდ შეხვედრებს არის დაჩვეული. ნეტავ ახლა მწვრთნელმა მოედანზე გამიყვანოს, მე გოლი გავიტანო და ჩვენ ჩემი გოლის წყალობით მოვიგოთ. თუმცა, ასე რომ ფიქრობ, იქვე ცუდი მაგალითიც გახსენდება. კერძოდ, მე, იანვარში, ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ჩარლტონს“ ორი გოლი გავუტანე („სფურსმა“ ის შეხვედრა 3:0 მოიგო) მაგრამ შემდეგ შეხვედრაში ისევ სათადარიგოთა სკამზე გამამწესეს. ამან ძალიან გამანაწყენა, რადგან მეგონე, ნავსს ერთხელ თუ გავტეხდი, მერე მენდობოდნენ და მენდობოდნენ. ბუნება მაქვს ასეთი, საკმარისია ერთი შეცვგდო, რომ მერე საკუთარი თავის რწმენა მიბრუნდება. „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრის წინ დარწმუნებული ვიყავი, რომ რედნაპი მათამაშებდა, მაგრამ მწარედ შევცდი“.*

როგორც ინტერვიუდან ირკვევა დეფოსთვის ყველაზე ძნელი გადასატანი ჩემპიონთა ლიგის პირვედ მერვედფინალურ შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ყოფილა.

„გამიჭირდა, რადგან ეს ძალიან დიდი თამაში გახლდათ. ამ სეზონს დიდი იმედით ველოდი, მით უფრო, რომ შარშან, „ტოტენჰემის“ მეოთხე ადგილზე გაყვანაში დიდი როლი ვითამაშე. როდესაც ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში ხვდები, რასაკვირველია, თამაში გინდა, მით უფრო, როდესაც ამ საქმისთვის ოფლი გაქვს დაღვრილი.

სამწუხაროდ, ამ სეზონში მწვრთნელმა თამაშის სტილი შეცვალა, წინ ერთ თავდამსხმელს აყენებს და უკნიდან ვარ დერ ვაარტს ახმარს, რაც სიტუაციას ართულებს. ჯგუფური ეტაპის მატჩები კი, სამწუხაროდ, ტრავმის გამო გამოვტოვე“.

დეფომ გასულ სეზონში 24 გოლი გაიტანა და „სფურზის“ საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ასეთი მიღწევის შემდეგ ის ელოდა, რომ იმ შემთხვევაში თუ რაიმე მიზეზით კარგ ფორმაში აღარ იქნებოდა, მას ისევე მოეპყრობოდნენ, როგორც **ფერნანდო ტორესსა** და **უეინ რუნის** ეპყრობიან, მაგრამ, ვაგლახ.

„შეხედეთ ტორესს, ის ცუდ ფორმაშია, მაგრამ მწვრთნელს უნდა, რომ ძველებურად ათამაშდეს და რეგულარულად შემამადგენლობაში ჰყავს“ - ჩივის დეფო.

ამბები

ჟოლას ნილაბი

ჟოლა ამეობიმ განაცხადა, რომ ამიერიდან შესაძლოა „ნიუკასლ იუნაიტედის“ ნილბიან ფეხბურთელად იქცეს. საქმე ისაა, რომ შაბათს, „ნიუკასლისა“ და „ევერტონის“ შეხვედრაში („ევერტონმა“ გაიმარჯვა 2:1) 29 წლის ნიგერიელი მოედანს მძიმე ტრავმის შემდეგ სწორედ ნილბით დაუბრუნდა. ეს გახლდათ დამცავი ნილაბი. ის კლუბმა ამეობის გატეხილი ნიკაპის გადასარჩენად შეიძინა. ფეხბურთელმა თქვა:

„ვიცი, რომ ძალიან ვრისკავდი. ჩემმა ქირურგმა მითხრა, რომ თუკი ნიკაპის ძვალს კიდევ ერთხელ დავიზიანებ, ის ოპერაციას ვეღარ გამიკეთებს, რადგან ეს უკვე დიდ რისკთან იქნება დაკავშირებული. თავად ნილაბი საგანგებო მასალისგან არის დამზადებული. ეს მასალა ტყვიაგაუმტარი შუშა გახლავთ და ვფიქრობ, ესთეტიკური თვალსაზრისითაც არ არის ცუდი. ნილაბი სახეზეც კარგად მაქვს მორგებული, მაგრამ სირბილში, როდესაც სახე ოფლიანდება, მაინც იქმნება გარკვეული დისკომფორტი.

რაც შეეხება უხერხულობის მომენტს, როდესაც თამაშში ხარ ჩართული გავიწყდება, რომ ნილაბი გიკეთია და გგონია, რომ ძველებურად, დაუფარავი სახით თამაშობ“.

ჩელსის სუნი ეცა

მას მერე, რაც „ჩელსი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 15 ქულით ჩამორჩებოდა ერთ კვირაზე ოდნავ მეტია გასული, მაგრამ დღეს, მიუხედავად იმისა, რომ **ფერნანდო ტორესმა** კვლავ ვერ გაიტანა ახალ გუნდში თავისი პირველი გოლი, მდგომარეობა შეიცვალა — ჰაერში შესაძლო სენსაციის სუნი დატრიალდა. „ბლაქპულთან“ ორშაბათის შეხვედრაში ორი გოლის ავტორმა **ფრენკ ლემპარდმა** განაცხადა:

„ჩვენ დიდი ტესტი ჩავაბარეთ და მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ ფანტასტიკის სფეროს ჰგავს, თუ საკუთარ შესაძლებლობებს ვირწმუნებთ, ჩემპიონობას შესაძლოა ჯერ კიდევ გამოვკრათ ხელი. რასაკვირველია, ცხრილის სათავეში მყოფ გუნდებს დღესაც შთამბეჭდავი ქულათა მარაგი აქვთ, მაგრამ ოთხეულში შესვლა, როგორც მიზანი, ნამდვილად არ მომწონს. გაცილებით სჯობს ჩემპიონობაზე ვიფიქროთ“.

ფიქრით კი, კაცმა რომ თქვას, რატომაც არ უნდა იფიქრონ. ჯერ ერთი „ლურჯებს“ ერთი თამაში მარაგში აქვთ და თუ მასაც მოიგებენ და ზედ „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ გამარჯვებასაც დააყოლებენ, სიტუაცია კიდევ უფრო შეიცვლება. „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ჩელსის“ მეორე შეხვედრა 7 მაისს არის დანიშნული.

დასავლეთლონდონელთა მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი** უფრო რეალისტი ჩანს: *„დღეს, როდესაც ჩვენ ლიდერს კიდევ 9 ქულით ჩამოვრჩებით, ჩემპიონის ტიტულზე ფიქრი მეტისმეტი მგონია. გაცილებით სწორი მიდგომა იქნება თუ შორეულ გეგმებს არ დავსახავთ და ყოველი კარსმომდგარი თამაშის მოგებას შევეცდებით. ზოგადად კი, ვფიქრობ, კრიზისული პერიოდი, რომელმაც ამ სეზონში ასე დაგვწია უკან, უკვე გადავლახეთ“.*

რაც შეეხება „ტორესის მდუმარებას“ „ჩელსის“ თავკაცი იხტიბარს მაინც არ იტეხს და აცხადებს, რომ ესპანელის თამაშით ძალიან კმაყოფილია.

ედუარდსი დაშავდა

„ვულვერჰემპტონის“ ~~ნახევარმცველი~~ **დევიდ ედუარდსი** სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში ვერ ითამაშებს. გუნდის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს ხერხემლის პრობლემა აქვს და დასვენება სჭირდება.

აღსანიშნავია, რომ ედუარდსს მთელი სეზონის განმავლობაში ანუხებდა ხან ერთი და ხან მეორე ტრავმა. მას სტკიოდა ბარძაყი, ორთავა კუნთი და სხვა. „ვულვერჰემპტონის“ ექმიმა **სტივ კემპმა** თქვა: *„დაახლოებით ორი კვირის წინ, „ბლექპულთან“ თამაშის შემდეგ დევიდმა ზუგის ქვედა ნაწილში იგრძნო ტკივილი. რასაკვირველია, ~~ჩვენ~~ მას მყისვე გავუკეთეთ სკანირება და დავინახეთ, რომ დატვირთვების გაზრდა სასურველი არ იყო. მეტსაც გეტყვით, კიდევ კარგი პრობლემა დასაწყის ეტაპზე აღმოვაჩინეთ. გვინდა შემდეგი ერთი თვის განმავლობაში მას ვუმკურნალოთ და მოედანზე დავაბრუნოთ“.*

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

● ინტერვიუ მასიმილიანო ალეგრი



თავშეკავებული ოპტიმიზმი

ჩამოსაწერი არც ნაპოლია

მასიმილიანო ალეგრის შესახებ აზრები ორად არის გაყოფილი - ბევრი მიიჩნევს, რომ სერია A-ში „მილანის“ ლიდერობა სწორედ მთავარი მწვრთნელის დამსახურებაა, მეორე ნაწილის აზრით კი ლომბარდიული გრანდის ხეირიანად დასამოძღვრად მას კვალიფიკაცია და გამოცდილება არ ჰყოფნის. და ის, რომ „როსონერი“ სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას, სუსტი კონკურენტების დამსახურებაა. ხშირად გაიგებთ ასეთ ფრაზასაც: ლეონარდოს რომ ზლატან იბრაჰიმოვიჩი ჰყოლოდა, სკუდეტოს ისიც მოიგებდა. იტალიელი ჟურნალისტისა და ალეგრის დიალოგი სწორედ ამ კითხვით დაიწყო, პასუხს და მცირე ინტერვიუს ქვემოთ გაეცნობით...

- ისე საუბრობთ, თითქოს სკუდეტო უკვე მოგებული მქონდეს და ისღა დამრჩენია, ლეონარდოს გასული სეზონის მუშაობა გავიხსენო. ბრაზილიელი ძალიან კარგი სპეციალისტია, მასთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს და ჩვენ წაკიდებას ვერავინ შეძლებს. ჯერ ისიც არ ვიცი, მე რას ვიზამ იბრაჰიმოვიჩთან ერთად და ლეონარდოზე მით უმეტეს ვერაფერს გეტყვით. მართალია, ჩვენ კონკურენტები ვართ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლეოს ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ.

- ბევრი მიიჩნევს, რომ „მილანს“ სკუდეტოში ვეღარავინ შეეცილება...

- ყველას თავისი აზრი, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს იმის უფლება, რომ ასე ვიფიქროთ. „ინტერი“ და „ნაპოლი“ კუდში გვიდგანან და მოდუნება არაფრის დიდებით არ შეიძლება. ვალტერ მაძარის გუნდი ბევრმა ჩამოწერა, რაც შეცდომა მგონია. ჩემპიონატის დასრულებამდე ათი ტურია დარჩენილი და უამრავი ქულა უნდა გათამაშდეს, ასე რომ, ჯერ კიდევ ყველაფერი წინ არის. სეზონის დასასრული არც ისე ახლოა, როგორც ეს ბევრს ჰგონია. გადამწყვეტი ბრძოლები წინ გველის და თუ დასკვნით ეტაპს ჩავაგდებთ, აქამდე მიღწეული წარმატებები წყალში ჩაგვეყრება. ასე რომ სეზონის ყველაზე საპასუხისმგებლო ნაწილს მაქსიმალური მობილიზებით უნდა შევხვდეთ.

- რადგან საპასუხისმგებლო მატჩებზე ჩამოვარდა სიტყვა, ლონდონში გასამართ პაექრობაზე ვისაუბროთ...

- „ტოტენჰემთან“ საშინაო მარცხის შემდეგ, ბევრმა ჩამოგვწერა, რასაც პირადად მე ვერაფრით დავეთანხმები. მერვედფინალური ეტაპი ოთხი ტაიმისგან შედგება და ჯერ მხოლოდ ორი გვაქვს ნათამაშები. დარჩენილ ორ ტაიმში იმდენი რამის მოსწრება შეიძლება, რომ ერთბურთიანი ჩამორჩენა პესიმიზმში ნამდვილად ვერ ჩამაგდებს. ფეხბურთელები სრულ საბრძოლო განწყობაზე არიან და ინგლისში გამარჯვებისთვის მივემგზავრებით. ისე კი, მეტოქეს ძალიან დიდ პატივს ვცემ, ვფიქრობ, რომ „ტოტენჰემი“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია ევროპაში.

- ზამთარში ნაყიდ ფეხბურთელებს ჩემპიონთა ლიგაზე ვერ ათამაშებთ, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ამ სეზონში პრიორიტეტული მიზანი მაინც სკუდეტოს მოპოვებაა?

- ზოგადად, არ ვთვლი, რომ სკუდეტო უფრო პრესტიჟულია ვიდრე ჩემპიონთა ლიგის მოგება, თუმცა თქვენ ნათქვამში არის სიმართლის მარცვალი. მე ჩემი გეგმით მოვედი „მილანში“ და მსურს, რომ გუნდი მეთოდურად, მიზანმიმართულად განვითარდეს. სიმართლე უნდა ითქვას, ჯერ არ გვყავს ისეთი გუნდი, რომელმაც აუცილებლად ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირი უნდა მოიგოს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრძოლაზე ვამბობთ უარს. სამაგიეროდ, მზად ვართ იტალიის ჩემპიონები გავხდეთ და ზამთრის სატრანსფერო პერიოდშიც ამაზე გავაკეთეთ აქცენტი. დიდი სიამოვნებით დავამატებდი ჩემპიონთა ლიგის გაანცხადს კასანოს, ვან ბომელს და ემანუელსონს, მაგრამ ამის საშუალება არ მაქვს.

- რამდენად კმაყოფილი ხართ ახალწვეულების თამაშით?

- ძალიან კმაყოფილი ვარ და ვთვლი, რომ მათი შეძენით აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. ანტონიო კასასომ და ურბი ემანუელსონმა შეტევას კრეატიულობა შემატეს, მარკ ვან ბომელმა კი ცენტრი გაამყარა. არც კი მეგონა თუ ასე მალე შეეგუებოდნენ ახალ გარემოს და პირველივე შეხვედრიდან მაღალ დონეზე ათამაშდებოდნენ.

- დავუბრუნდეთ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის განმეორებით მატჩს, რომელსაც საკადრო პრობლემებით ხვდებით...

- ალბათ კევინ პრინც ბოატენგის ტრავმას გულისხმობთ, რომელიც მართლაც დიდი ძალაა გუნდისთვის და ძალიან სამწუხაროა, რომ ლონდონში ვერ იასპარეზებს. „იუვენტუსსთან“ მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა, მაგრამ მოასწრო და შესანიშნავად წარმოაჩინა თავი. მასთან ერთად ჩვენი ნახევარდაცვა უფრო მობილური და სწრაფია, რაც „ტოტენჰემის“ წინააღმდეგ ძალიან გამოგვადგებოდა. რას ვიზამთ, იმ ფეხბურთელებით უნდა გავიდეთ ფონს, რომლებიც მწყობრში არიან. ზემოთაც ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლის დიდი იმედი მაქვს.

- რა გეგმები გაქვთ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში? - ამბობენ, რომ კაკას დამატება გსურთ...

- ბევრი რამე იმაზე იქნება დამოკიდებული როგორ დავასრულებთ მიმდინარე სეზონს. ახალი სისხლი ყოველთვის საჭიროა, მაგრმ ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე მაინც ბირთვი უნდა გამოიკვეთოს და კიდევ უფრო შეთამაშდეს. ჩემი მიზანი ისეთი გუნდის აშენებაა, რომელიც წლების განმავლობაში უმაღლეს დონეზე იასპარეზებს და ტიტულებს მოიგებს. რაც შეეხება კაკას, მასზე მხოლოდ გიჟი თუ იტყოდა უარს.

ლაშა წიკლაური

● არტერული ბიბლიოთეკა

კლასიკური IV ბრალი

ტურის ბებერი გმირი

კლაუსურას მე-4 ტურის შემდეგ ლიდერები შეიცვალნენ, ახლა „რასინგი“ და „ესტუდიანტესი“ ლიდერობენ, თუმცა ჩემპიონატის ამ ეტაპზე ლიდერობა ბევრს არაფერს ნიშნავს. ტურში ლა პლატას კლასიკო ვერ გამოდგა კარგი სანახავი, თამაშის ტემპიც არ იყო გვარიანი და არც „ხიმნასიას“ გამოუდია თავი, „ესტუდიანტესმა“ იოლად მოიგო. ტურში სამი თრილერი ვნახეთ. რას წარმოიდგენდა „რასინგის“ კოლუმბიელი ფორვარდი **ტეოფილო გუტიერესი**, რომ მისი 47-ე წუთზე გატანილი გოლი გამარჯვებისა გამოდგებოდა, იმ დროს „რასინგი“ „ოლიმპოს“ ხომ 4:0-ს უგებდა. მაგრამ შემდეგ ყოფილი ლიდერი, რომელიც ამ წაგებამ ლიდერობიდან ეგრევე გასავარდნ ზონაში ჩააგდო, გამოფხიზლდა და მასპინძლებს 3 გოლი გაუტანა.

ტურში სამი დუბლი შესრულდა, მათი ავტორები არიან: **ესეკიელ მაჯოლო** (ოლიმპო), **ესტებან ფუერტესი** (კოლონი) და **დენის სტრაკვალურსი** (ტიგრე). ტურის გმირია სწორედ ფუერტესი, ლეგენდარულ ფორვარდს უკვე 38 წელი შეუსრულდა, მაგრამ არგენტინის ჩემპიონატში ჯერ კიდევ ბევრს სჯობს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ოლ ბოისი-სან ლორენსო 0:3

გოლები: 0:1 მენსეგესი (68), 0:2 ველასკესი (88), 0:3 სალგეირო (90)

გაძევება: ბარიენტოსი (65. ოლ ბოისი)

ხიმნასია-ესტუდიანტესი 0:2

გოლები: 0:1 ფერნანდესი (51), 0:2 ე. პერესი (84-პენ)

ნიუელს ოლდ ბოისი-ურაკანი 3:3

გოლები: 1:0 ბიელერი (5), 2:0 ფიდელეფი (24), 2:1 მაიდანა (28), 2:2 მატეო (41 ს.კ.), 2:3 კვინტანა (45), 3:3 სპერდუტი (57)

რასინგი-ოლიმპო 4:3

გოლები: 1:0 ლუგუერსიო (9), 2:0 მოსე (15 ს.კ.), 3:0 ლიხტი (17), 4:0 გუტიერესი (47), 4:1 მაჯოლო (50), 4:2 მაჯოლო (56), 4:3 ბიანკი არსე (58)

გოდოი კრუსი-კოლონი 2:3

გოლები: 0:1 აკოსტა (23), 1:1 ფაკიოლი (26), 1:2 ფუერტესი (39), 2:2 ვილიარი (68), 2:3 ფუერტესი (87)

ბანფილდი-ლანუსი 2:1

გოლები: 1:0 ბოლონია (11-პენ), 2:0 აჩუკარო (89), 2:1 რეგუეირო (90)

რივერ პლ.-არხენტ. ხუნიორსი 0:0

გაძევება: ფერარი (37. რივერი), ტორენი (39. არხენტინოსი)

ძილვესი-ტიგრე 1:2

გოლები: 1:0 კანეო (22), 1:1 სტრაკვალურსი (52), 1:2 სტრაკვალურსი (72)

გაძევება: მ. გომესი (5)

ველეს სარსფ.-ბოკა ხუნიორსი 1:0

გოლი: 1:0 ორტისი (39)

არსენალი-ინდეპენდიენტე 3:0

გოლები: 1:0 კაფა (4), 2:0 კრუპოვიესა (34-პენ), 3:0 ლეგისამონი (80)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ესტუდიანტესი	4	3	0	1	5-2	9
2. რასინგი	4	3	0	1	7-5	9
3. რივერი	4	2	2	0	3-0	8
4. სან ლორენსო	4	2	1	1	7-3	7
5. არსენალი	4	2	1	1	7-4	7
6. ოლიმპო	4	2	1	1	11-9	7
7. კოლონი	4	2	1	1	7-6	7
8. ბანფილდი	4	2	1	1	5-4	7
9. ტიგრე	4	2	1	1	3-3	7
10. ლანუსი	4	2	0	2	7-6	6
11. ველესი	4	1	2	1	5-5	5
12. ბოლი	4	1	1	2	9-9	4
13. არხენტ.	4	0	4	0	2-2	4
14. ველესი	4	1	1	2	6-7	4
15. ხიმნასია	4	1	1	2	5-7	4
16. ოლ ბოისი	4	1	1	2	2-5	4
17. ბოკა	4	1	1	2	2-5	4
18. ურაკანი	4	0	3	1	5-7	3
19. ინდეპენდ.	4	0	2	2	2-6	2
20. ძილვესი	4	0	0	4	2-7	0

ბომბარდირები: 5 - ფუერტესი (კოლონი); 4 - მაჯოლო (ოლიმპო), ვალერი (ლანუსი).

● სამპდორია

კავაზინი: ბაქბიკას ფეხბურთელებს ვარგებ

და არა პირიქით

ალბერტო კავაზინი კმაყოფილია, რომ სეზონის ბოლომდე გენუის „სამპდორიას“ უხელმძღვანელებს. შეგახსენებთ, რომ 55 წლის სპეციალისტმა **დომინიკო დი კარლო** შეცვალა, ვისი თავკაცობითაც „სამპა“ ღრმა კრიზისში ჩაეფლო. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გენუური გუნდი სერია B-ში გავარდნის კანდიდატთა შორის გაერია. ახალ მწვრთნელს რთული ამოცანის გადაჭრა მოუწევს - კრიზისიდან უნდა გამოიყვანოს გუნდი, რომელსაც აშკარად საკადრო დეფიციტი აქვს. განსაკუთრებით ეს შეტევის ხაზზე ითქმის, სადაც ერთ დროს **ანტონიო კასანოსა** და **ჯამპაოლო პაცინის** მრისხანე ტანდემი მოქმედებდა. ჯერჯერობით, ვერც **ფედერიკო მაკედა** ამართლებს იმედებს და ვერც **მასიმო მაკარონე** - რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა თავდამსხმელებზე. მიუხედავად ამისა, კავაზინი ოპტიმისტურად არის განწყობილი და ერთი სული აქვს, როდის გაიყვანს გუნდს მოედანზე. მოვუსმინოთ „სამპდორიას“ ახალ მთავარ მწვრთნელს:



„პირველ რიგში, მადლობა მინდა ვუთხრა კლუბის მესვეურებს რომ ნდობა გამომიცხადეს და ვეცდები, გაცემული ავანსი ბოლომდე გავამართლო. უახლოეს დღეებში დომენიკო დი კარლოს შევხვდები და მისგან საინტერესო ინფორმაციებს მივიღებ. ეს ჩემთვის დიდი გამოწვევაა და ენთუზიაზმით ვარ აღსავსე. ერთი სული მაქვს, როდის მოვა უქმეები და „კატანიას“ შევეჭიდებით. ვფიქრობ, რომ ფეხბურთელები მზად არიან როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ჩემი საფეხბურთო მსოფლმხედველობა? - ერთ სტრატეგიაზე არ ვიციკლები და მით უმეტეს, ერთი სქემის მძევალი არასდროს ვყოფილვარ. უმეტესად 3-5-2-ს, ან 4-4-2-ს ვიყენებ, თუმცა ხშირად სამი ფორვარდითაც გამყავს გუნდი მოედანზე. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული როგორი შემადგენლობა გყავს და გაძლევებენ თუ არა ფეხბურთელები ამა თუ იმ ტაქტიკის გამოყენების საშუალებას. დიახ, მე იმ მწვრთნელთა კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებიც ტაქტიკას არგებენ ფეხბურთელებს და არა პირიქით. ვფიქრობ, რომ თუ მოთამაშეები თავის ამპლუაში ასპარეზობენ და საქმეს კარგად აკეთებენ, ნებისმიერი სქემა მომგებიანია. წინ დიდი გეგმები მაქვს და დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს“.

ლაშა წიკლაური

● უდინეზე

სანჩესის ფასი როსელს სცოდნია

უდინეზეს პრეზიდენტმა საკმაოდ ვრცლად ისაუბრა იმის შესახებ თუ რა ძვირფასი და ფასდაუდებელი მოთამაშეა მისი გუნდისთვის ***ალექსის სანჩესი****. ჩილელმა შემტევმა მალე დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და ფრიულელთა ერთ-ერთ საკვანძო ფიგურად იქცა. იტალიურ პრესაში ერთი ამბავია ატეხილი: ხან „ინტერში“ გადაყავთ, ხან „იუვენტუსში“, ხანაც „მილანში“, აღარაფერს ვამბობთ ინგლისური პრემიერლიგის გუნდებზე. ბუნებრივია, რომ ჟურნალისტები ჩილელის სხვა გუნდში შესაძლო გადაბარგებით დაინტერესდნენ და* ***ჯამპაოლო პოცოს*** *დაუკავშირდნენ. კლუბის პრეზიდენტი შემდეგ პოზიციაზე დგას:*

„პირადად ჩემი აზრია, რომ ალექსის სანჩესი ლიონელ მესის კალიბრის ფეხბურთელია. ამიტომ, უახლოეს დღეებში სანდრო როსელთან ვაპირებ დაკავშირებას, მაინტერესებს, რამდენად შეელევა არგენტინელს. რამდენსაც მეტყვის, იმდენს დავაფასებ სანჩესს და შემდეგ წინადადებებს დაველოდები. ჩილელი იდეალურად ჩაეწერა გუნდის მონახაზში და ანტონიო დი ნატალესთან შეტევის ბრწყინვალე ტანდემი შექმნა. დიდი სურვილი მაქვს, რომ კიდევ დიდ ხანს დავტოვო „უდინეზეში“.

ლაშა წიკლაური

● ჰამბურგი

წავიდა ფეე...

ჰამბურგში ის ცხოვრება აღარ არის: ზაფხულში მწვრთნელიც წავა და ხელმძღვანელებიც



არმინ ფეე სეზონის ბოლოს ჰამბურგს დატოვებს

კვირას „ჰამბურგმა" „მაინცთან" 2:4 რომ წააგო, კლუბის სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვიტა, რომ თავმჯდომარე **ბერნდ ჰოფმანს** და ვიცე-თავმჯდომარე **კატია კრაუსს** კონტრაქტები არ გაუგრძელონ, რაც იმას ნიშნავს, რომ სეზონის ბოლოს HSV-ს ორივე მათგანი დატოვებს. გუშინ კი, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **არმინ ფეემაც** განაცხადა, რომ „ჰამბურგს" სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს.

„გუნდში ახლა ისეთი სიტუაციაა შექმნილი, რომ აქ დარჩენა არ შემიძლია. ყველაფერი თავდაყირა დგას, მომავალი სეზონისთვის არანაირი კონცეფცია არ არსებობს. „ჰამბურგი" ძალიან სახიფათო სიტუაციაშია და მე აქ ვერ დავრჩები," - განუცხადა ფეემ „კიკერს".

...მაგრამ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ფეე ამბობს. საქმე იმაშია, რომ პირველი ივნისიდან „ჰამბურგის" სპორტულ დირექტორად **ფრანკ არნესენი** ინიშნება, რომელიც ახლა ლონდონის „ჩელსის" სპორტული დირექტორია. ფაქტი იყო, რომ ფეეს ლობისტი ჰოფნაბი არნესენთან ვერ იმუშავებდა და მიუხედავად იმისა, რომ არმინი მომავალ ბოსს ორი კვირის შემდეგ უნდა შეხვედროდა, ფეემ გადაწყვიტა, რომ არნესენთან მუშაობა არ უნდა. „ჰამბურგის" გულშემატკივრები დიდი ხანია ითხოვდნენ ჰოფმანის მოხსნას, ფეეს კი ნაკლებად აკრიტიკებდნენ, რადგან ფანების აზრით, „ჰამბურგში" შექმნილი ქაოსისა და ბოლო წლების წარუმატებლობების კასკადის თავი და თავი ჰოფმანია. პარადოქსი ის არის, რომ ფეემ სეზონის ბოლომდე მაინც უნდა იმუშავოს. გამორიცხული არაა, რომ მანამდეც გააგდონ, თუმცა ფაქტია ისიც, რომ ზაფხულამდე „ჰამბურგს" ისედაც არაფერი ეშველება.

არმინ ფეემ „ჰამბურგი" 2010 წლის ზაფხულში ჩაიბარა და ზუსტად ისე, როგორც მისმა წინამორბედებმა, ამ პოსტზე დიდხანს ვერ გაძლო. მისი თქმით, მიღებული გადაწყვეტილება მყარია, თუმცა სეზონის ბოლომდე მაქსიმუმს გააკეთებს იმისათვის, რომ გუნდში შეძლებისდაგვარად კარგი ატმოსფერო დატოვოს და „ჰამბურგს" ევროპის ლიგის საგზური მოაპოვებინოს.

გოტფრიდ ლენცი

● ბაიერნი

მიუნხენში ლიოვზე ფიქრობენ!

ჰიონესმა და რუმენიგემ ხანგრძლივი გეგმა გაწერეს და იოახიმ ლიოვი რეალურია!



დათანხმდება იოახიმ ლიოვი „ბაიერნის" შეფების წინადადებას?

სათაურის ნაკითხვის შემდეგ, შესაძლოა, გაგეცინათ და ფიქრობთ, რომ ეს უტოპიაა, რადგან როგორ შეიძლება, **იოახიმ ლიოვი** მიუნხენის „ბაიერნის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნოს მაშინ, როცა ეს უკანასკნელი გერმანიის ნაკრებში ძალიან კარგად მუშაობს და პოსტის დაკარგვის იოტისოდენა საფრთხეც კი არ ემუქრება. გეთანხმებით, აბსოლუტურად მართალი ხართ, მაგრამ საქმე სხვა რამეშია...

მოგეხსენებათ, გადაწყდა, რომ **ლუის ვან გაალი** „ბაიერნს" სეზონის ბოლოს დატოვებს, თუმცა ჯერ კიდევ არაა გამორიცხული, რომ ბავარიული გრანდის ხელმძღვანელებმა ჰოლანდიელი მანამდეც დაიფრინონ - ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ რეკორდმაისტერი შედეგებს არ გამოასწორებს და მაგალითად, ჩემპიონთა ლიგიდან გავარდება.

ახლა რაც შეეხება მთავარს: გუშინ აბსოლუტურად ყველა გერმანულმა გაზეთმა დაწერა, რომ „ბაიერნის" ხელმძღვანელები სერიოზულად ფიქრობენ ბუნდესმწვრთნელ ლიოვზე. როგორ და რანაირად? აგიხსნით: „ბილდის", „შპორტ აინსის", „შპიგელის", „ფრანკფურტერ ალგემაინეს" და სხვა გამოცემების მტკიცებით, პრეზიდენტმა **ული ჰაინესმა** და ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ხანგრძლივი სამოქმედო გეგმა გაწერეს. მათ სურთ, რომ ზაფხულში „ბაიერნი" **იუპ ჰაინკესს** ჩააბარონ. ეს უკანასკნელი ახლა „ლევერკუზენის" დამრიგებელია, მაგრამ „ფარმაცევტებთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებას აჭიანურებს და თუ მიუნხენელები მოინდომებენ, ზაფხულში თავისუფალი იქნება. ჰაინესისა და რუმენიგეს გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ ჰაინკესს გუნდი ერთი წლით, ანუ, 2012 წლის ზაფხულამდე ჩააბარონ. ძალლის თავიც აქაა დამარხული: იოახიმ ლიოვს გერმანიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი სწორედ 2012 წლის ზაფხულში, ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე უმთავრდება...

მოვლენების ასეთი განვითარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ლიოვი „ბაიერნის" ბოსებს ახლავე მისცემს თანხმობას. ეს კი, გერმანელი ექსპერტების მტკიცებით საკმაოდ რეალურია. ჩვენი გერმანელი კოლეგები კი წერენ, რომ ჰიონესსა და ლიოვს შორის უკვე შედგა სატელეფონო საუბარი და ული იოგისგან პასუხს ელოდება.

ვიდალი და შაჰინი მიუნხენში?

გარდა ამისა, „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა უკვე ტრანსფერებზეც დაიწყეს ზრუნვა და ზაფხულისთვის ორ ძალიან კარგ ფეხბურთელს უმიზნებენ. „ბილდის" ინფორმაციით, „ბაიერნში" გადასვლის უპირველესი კანდიდატი „ლევერკუზენის" ჩილელი საყრდენი ნახევარმცველი **არტურო ვიდალია**, რომელიც ბრწყინვალე სეზონს ატარებს (9 გოლი და 9 საგოლე პასი მიმდინარე სეზონში). ვიდალს „ფარმაცევტებთან" კონტარქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ზაფხულში „ლევერკუზენს" მისი გაყიდვის ბოლო შანსი აქვს. ფაქტია, რომ თუ „ბაიერნი" ვიდალით მართლა სერიოზულად დაინტერესდა, ეს უკანასკნელი „ლევერკუზენთან" ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარს იტყვის, რითაც თავის ამჟამინდელ გუნდს აიძულებს, ზაფხულში მის გაყიდვას დათანხმდეს. ჰიონესისა და რუმენიგეს აზრით, ვიდალი ის ფეხბურთელია, რომელიც **მარკ ვან ბომელის** ნასვლით შექმნილ სიცარიელეს იდეალურად ამოავსებს.

ვან გაალის მიერ „ჰოფენჰაიმიდან" ნაყიდმა **ლუის გუსტავომ** ნახევარდაცვაში იმედები ისე ვერ გაამართლა, როგორც მიუნხენში ფიქრობდნენ და ამიტომაც მიიჩნევენ საჭიროდ შუა ხაზისთვის, **ბასტიან შვაინშტაიგერის** მენყვილედ ისეთი ფეხბურთელის ყიდვას, როგორიც ვიდალია. მაგრამ „ბაიერნს" კონკურენტები ჰყავს: ესპანური პრესის ინფორმაციით, ვიდალის გადაბირება მადრიდის „ატლეტიკოსაც" სურს, იტალიური „გაძეტა დელო სპორტი" კი წერს, რომ ჩილელი ნახევარმცველი „მილანსაც" უნდა.

ამასობაში, მიუნხენერ თაგესცაითუნგი იტყობინება, რომ ჰიონესსა და რუმენიგეს ძალიან უნდათ დორტმუნდის „ბორუსიას" თურქი ნახევარმცველის, **ნური შაჰინის** ყიდვაც. შეგახსენებთ, რომ შაჰინი „კიკერის" შეფასებების მიხედვით ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის საუკეთესო ფეხბურთელია.

გოტფრიდ ლენცი

ნური შაჰინი

● ჰარი სენ-ჟერმენი

ერთიანი ბივალიტეტი

მაკელელე მიდის



"პარი სენ-ჟერმენის" კაპიტანმა **კლოდ მაკელელემ** ოფიციალურად დაადასტურა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ ფეხბურთელის კარიერას დასრულებს. *"ფიზიკურად ნამდვილად შემეძლო 2-3 წელიწადი კიდევ მეთამაშა, მაგრამ მე უკვე მივიღე ფეხბურთისგან ყველაფერი, რაც მინდოდა და რაც შეიძლებოდა მიმელო. ჩემი მომავალი? არ ვიცი, სეზონის დასრულების შემდეგ დაველაპარაკები კლუბის პრეზიდენტს და ვნახოთ, რამე სამსახურს თუ შემომთავაზებს,"* – განაცხადა ვეტერანმა.

"პარი სენ-ჟერმენის" სატრანსფერო გეგმებზე ალაპარაკდა თურქული ჟურნალი "ვიტანი". მისი ინფორმაციით, ზაფხულზე საფრანგეთის დედაქალაქის კლუბს მიაშურებს "გაზიანტეპსპორის" 26 წლის ნახევარმცველი **სელკუნ ინანი**. ფრანგების გარდა თურქის სამსახურით "ესპანიოლი" და "სევილია" არიან დაინტერესებულნი. შეგახსენებთ, რომ პსჟ-ში უკვე თამაშობს ერთი თურქი **მევლუთ ერდინგი**.

დაბოლოს, გეტყვით, რომ დედაქალაქურ კლუბთან კონტრაქტი გააგრძელა მისმა ერთ-ერთმა ყველაზე პერსპექტიულმა ფეხბურთელმა, 21 წლის **მამადუ საკომ**. მამადუს შეუძლია როგორც დაცვის, ისე შუა ხაზისა და თავდასხმის ფლანგებზე ასპარეზობა, რაც განსაკუთრებით ფასობს. მისით "არსენალი" და "რეალი" იყვნენ დაინტერესებულნი.

ლევან ბიბილაშვილი

● ამბები

კარნავალი და რონალდინიო

5 მარტს რიო დე ჟანეიროში მსოფლიოში ყველაზე ცნობილი კარნავალი დაიწყო. აღნიშნული ფესტივალი 4 დღე-ღამე გრძელდება და აუცილებლად აღდგომამდე 40 დღით ადრე იწყება. ტრადიცია კი მას მე-17 საუკუნეში ჩაეყარა. ბუნებრივია, კარნავალის შესახებ თხრობა "ლელოს" საქმე არ იქნებოდა, რომ არა მასში **რონალდინიოს** სტუმრობა. ვარსკვლავმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ღონისძიებებში და ბრაზილიელ ლამაზმანებთან ერთად კარგადაც გაერთო.

კალუ ჩელსიდან გარბის

სალომონ კალუ "ჩელსის" მიტოვებით იმუქრება, თუკი მწვრთნელები მას მეტ სათამაშო დროს არ გამოუყოფენ. არადა, როგორი საქმეა **დროგბას, ტორესისა** და **ანელკას** კამპანიაში მისთვის ამგვარი გარანტიის მიცემა? კოტდივუარელს კი თავისი სამართლიანი პრეტენზიები აქვს, რადგან ის იმ კალიბრის ფეხბურთელი ნამდვილად არ არის, სკამზე ჯდომას ასე იოლად შეეგუოს. პრემიერლიგის სხვა გუნდებში მას ნამდვილად ექნებოდა მყარი ადგილი ძირითად შემადგენლობაში. **კარლო ანჩელოტის** განცხადებით კი ის სალომონს გუნდისთვის პერსპექტიულ და გამოსადეგ ფეხბურთელად მიიჩნევს და მისი დიდი იმედი აქვს. დაგვეთანხმეთ, რომ იტალიელის ამ განცხადებას პოლიტკორექტულობის ელფერი დაჰკრავს...

არსენალის გეგმები

ლონდონის "არსენალის" ხელმძღვანელობა სამომავლოდ დიდ გეგმებს ისახავს მიზნად და საამისოდ, პირველ რიგში, საზაფხულო სატრანსფერო მიზნებზე ზრუნვას იწყებს. როგორც "დეილი მეილი" გვამცნობს, ჩრდილოლონდონელები დორტმუნდის "ბორუსიას" 22 წლის განაპირა ნახევარმცველის **კევინ გროსკროიტცის** შეძენას ეშურებიან. გერმანელმა სადებიუტო არასრულ სეზონში 6 გოლის გარდა 6 შედეგიანი გადაცემა მიითვალა, რაც მშვენიერი შედეგია. მისი კონტრაქტი გერმანიის მომავალ ჩემპიონთან 2014 წელს იწურება. გროსკროიტცის სავარაუდო სატრანსფერო ღირებულება არ სახელდება. იქიდან გამომდინარე, რომ დანიელ **ნიკლას ბენდტნერს** თვალი გაქცევაზე უჭირავს, "მეთოფეებს" თავდამსხმელიც დასჭირდებათ და როგორც პრესაში დაიწერა, "არსენალის" თავკაცი ეინდჰოვენელი **ოლე ტოიონენის** შეძენას გეგმავს. შვედი შემტევის ანგარიშზე ერედივიზიეს მიმდინარე სეზონში 18 გოლი და 10 პასია.

ბრანდაო ეჭვმიტანილია

მარსელის "ოლიმპიკის" ბრაზილიელი თავდამსხმელი **ბრანდაო** გუშინ მარსელის პოლიციამ დააკავა. აღნიშნული ინფორმაცია პირველად ზღვისპირა ქალაქის რადიოსადგურებმა გაავრცელეს და ამის შემდეგ მოედო ის მთელ მსოფლიოს. საქმე ის არის, რომ სამართალდამცავებს საამისო საფუძველი 25 წლის ქალბატონის განცხადებამ მისცა, ვინც ამტკიცებს, რომ ფეხბურთელმა ის ქალაქ ექს ან პროვანსის დისკოტეკიდან შინ მიაცილა და ძალაც სწორედ მაშინ იხმარა. *"კლუბი მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ინფორმირებულია და გვესმის, რომ უახლოეს დღეებში ბრანდაო ვარჯიშებს დააკლდება. ამასთან ვაცხადებთ, რომ "ოლიმპიკი" უარს აცხადებს რაიმე კომენტარზე, მიაჩნია რა, რომ ეს ფეხბურთელის პირადი ცხოვრებაა. თანაც ამით ჩვენ უდანაშაულობის პრეზუმფციასაც ვიცავთ,"* - აღნიშნული განცხადება კლუბის ოფიციალურმა საიტმა გაავრცელა.

ინგლისელები ბლატერის წინააღმდეგ

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის მაღალჩინოსანთა განცხადებით, მათ გადაწყვეტილი აქვთ ფიფას პრეზიდენტის სამომავლო არჩევნებში მხარი დაუჭირონ ნებისმიერ კანდიდატურას, ვინც **ზეპ ბლატერის** რეალური ალტერნატივა იქნება. მათი გაცოფება გასაგებია, მათ ხომ დღემდე მიაჩნიათ, რომ შვეიცარიელმა ჩინოვნიკმა მათ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მოჰპარა. „დეილი მეილის" ცნობით, ერთ ასეთი კანდიდატურაზე კულუარებში უკვე საუბრობენ, ეს არის ყატარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **მოჰამედ ბენ ჰამამი**.

კენჭისყრა 18 მარტს შედგება

ჩემპიონთა ლიგის 1/8 და 1/4 ფინალების კენჭისყრა ნიონში, უეფას შტაბბინაში შედგება. ის ევროპის დროით 12:00-ზე დაიწყება და მას უეფას გენერალური მდივანი **ჯანი ინფანტინო** და ლონდონში გასამართი ფინალური მატჩის საპატიო ელჩი **გარი ლინეკერი** გაუძღვებიან. ამავე დღეს ერთი საათის დაგვიანებით დაიწყება ევროპის ლიგის კენჭისყრაც, რომელსაც ინფანტინო და ირლანდიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **რონი ვილანი** უხელმძღვანელებენ. 1/4-ფინალურ ეტაპზე უკვე დაიშვება, რომ ერთმანეთს ერთი ქვეყნის წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ. ამასთან 1/4-ფინალურ წყვილებს უკვე ეცოდინებათ შემდგომ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში რომელი "დუელის" გამარჯვებულთან მოუწევთ დაპირისპირება.

ლევან ბიბილაშვილი

ესპანეთი. ლა ლიგა. XXVIII ტურის ბამოსახურება

ᲐᲛᲐᲡ ᲕᲘᲡ ᲨᲔᲯᲔᲓᲐᲗᲘ, ᲙᲘᲗᲘᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲥᲐᲠᲘᲛ!

ᲡᲐᲡᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝᲡ ᲛᲝᲒᲐᲠᲢᲘᲡ ᲛᲐᲡᲢᲝᲠᲙᲚᲐᲡᲘᲡ

რᲝᲚᲔᲑᲘ" დაარსებიდან 109, ხოლო „ვალენსიიამ" 92 წელნაადი ბრნყინვალე ბამარჯვებებით აღინიშნეს. 27-ე ტურის სარეკვანო რბოლაში ეოლ-ᲠᲘᲓᲘᲗᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲐᲠᲢᲘᲡ ᲛᲐᲡᲢᲝᲠᲙᲚᲐᲡᲘᲡ „ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐᲡ" ᲙᲚᲣᲑᲘ 7 ᲭᲣᲭᲣᲚᲘ ᲣᲪᲮᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲝᲜᲐ. ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲡᲐᲛᲔ „ᲠᲝᲚᲔᲑᲘᲡ" ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘ. „ᲠᲝᲚᲔᲑᲘᲡ" ᲜᲘᲰᲐᲚᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲐᲒᲝᲜᲐ. ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲡᲐᲛᲔ „ᲠᲝᲚᲔᲑᲘᲡ" ᲛᲝᲒᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲐᲒᲝᲜᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲒᲐᲠᲘ ᲛᲐᲡᲢᲝᲠᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲐᲠᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სამბო

მზე ისევ ჩრდილოეთიდან ამოდის



მარტივი ჭეშმარიტებაა – ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, რაც უფრო მაღალ საფეხურზე ადიხარ, მით უფრო იზრდება მოთხოვნებიც და საჭიროებაც. ქართული სამბოც ამ დღეშია – მოგეხსენებათ, ახლახან დიდი ზარ-ზეიმით გახსნეს საკუთარი დარბაზი, რაც აქამდე უსახლკაროდ მყოფი და სამადლოდ სხვათა ბაზას შეფარებული ამ სახეობისთვის უდავოდ დიდი შენაძენია, მაგრამ ახლა დღის წესრიგში იქაურობის შენახვა დადგა. მიახლოებითი გათვლებით, დენს, გათბობას, კომუნალურ გადასახადებსა თუ სხვა სახის ხარჯებს წელიწადში დაახლოებით 50 000 ლარი სჭირდება, საამისო საშუალება კი ისედაც ღარიბ ფედერაციას არ გააჩნია. ამას სამბისტთა შორს მიმავალი გეგმებიც ემატება – ახალ ბაზაზე ანუ ვაკეში მდებარე ძიუდოს ყოფილ ცენტრალურ დარბაზში სასტუმროს მოწყობაც სურთ, რათა იქაურობა ნაკრებისთვის ნამდვილ ბაზად იქცეს და არა მხოლოდ ლეიბების გასაშლელ არენად. თუმცა ეს სასტუმრო შეკრებების გარდა, სამბოს განვითარებისთვისაც სჭირდებათ – სურთ, იქ რაიონებიდან ჩამოყვანილი პერსპექტიული მოზარდები თუ ნაკრების წევრები დააბინავონ, რაც ხელს შეუწყობს მათ სწრაფ დაოსტატებას. მათ ხომ აქ სრულფასოვანი სპარინგების პრობლემა არ ექნებათ, რაც ასე მწვავედ დგას რეგიონებში, მისი მოგვარება კი პროგრესისთვის რაოდენ აუცილებელია, ყველას კარგად მოეხსენება. სასტუმროსა და კვების ბლოკის მოწყობას

სასტუმროსა და კვების ბლოკის მოწყობას დაახლოებით 100 000 ლარი სჭირდება, რაც სამბისტებისთვის მიუწვდომელი ფუფუნებაა

დაახლოებით 100 000 ლარი სჭირდება, რაც სამბისტებისთვის მიუწვდომელი ფუფუნებაა. ნუხელ, გვიან ღამით ამ პრობლემის მოსაგვარებლად ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი და საქართველოში სამბოს მამოძრავებელი **ოლეგ იაძე** სამდღიანი ვიზიტით მოსკოვში გაფრინდა, სადაც შეხვდება სამბოს საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობას, ქართულ სათვისტომოს და მათგან ეცდება დაფინანსების მიღებას. ის ამას უფრო მეტად თანამემამულეთაგან ელოდება, თუმცა საერთაშორისო ფედერაციის თავკაცებთანაც ისაუბრებს აქაურ პრობლემებზე. ამას ისიც ემატება, რომ ბოლო ხანებში ქართულ-რუსული სპორტული ურთიერთობები შედარებით დათბა. თუმცა სამბისტები ერთმანეთში ძველებურ მეგობრობას მაინც ინარჩუნებდნენ. თუმცა პოლიტიკა მათაც შეეხო - ქართველ სპორტსმენებს რუსეთის ტერიტორიაზე გამართულ შეჯიბრებებში გამოსასვლელად არ აფინანსებდნენ. შარშანაც ჩვენი ნაკრები „პრეზიდენტის თასად“ წოდებულ პრესტიჟულ შეჯიბრებაზე არ გაუშვეს, რის გამოც რუსეთის სამბოს ფედერაციის დიდი მონადინებით, კინაღამ ახალგაზრდებისა და ჭაბუკების მსოფლიოს ჩემპიონატი ჩამოგვართვეს. მაშინ საბოლოოდ საღმა აზრმა გაიმარჯვა, წლეულს კი ურთიერთობათა გზაზე სოლიდური ნაბიჯი იყო ზემოაღნიშნული დარბაზის გახსნაზე სამბოს მსოფლიო ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის **დავიდ რუდმანის** ჩამოსვლა. თუმცა ამას წინ ერთი ფაქტიც უძღოდა, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა ქართული სპორტის მმართველთა გულების გალღობა – საერთაშორისო ფედერაციამ იმ დარბაზის სარემონტოდ 50 000 დოლარი გამოყო. მართალია, ეს საერთაშორისო ფედერაციამ გააკეთა და არა რუსეთისამ, მაგრამ იქ ყველაფერს რუსები წყვეტენ და რომ არა მათი კეთილი ნება, არც ეს კარგი საქმე გაკეთდებოდა. საქმე კი მართლაც საშურია და ქართული სპორტისთვის სასიკეთო – ამით კიდევ ერთი სპორტული ბაზა შეგვემატა, ხოლო სამბისტები კადრებს ძიუდოსაც უზრდიან და ამით ეს არაოლიმპიური სახეობა ქართული ოლიმპიური სპორტის სამსახურშიც დგას.

სამბისტები კადრებს ძიუდოსაც უზრდიან და ამით ეს არაოლიმპიური სახეობა ქართული ოლიმპიური სპორტის სამსახურშიც დგას

როგორც ჩვენი სამბოს მესვეურები ამბობენ და საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებიც უდასტურებენ, მსგავსი ფინანსური დახმარება უპრეცედენტოა და ადრე ასე არავინ გაუნებივრებიათ. ცხადია, ეს ქართული სამბოს, მისი აქაური ხელმძღვანელობის მართლაც რომ შეუპოვარი, დაუღალავი შრომის დაფასებაა და რუდმანის ახლანდელი ვიზიტიც ამას ემსახურებოდა – ახლოდან დაენახა და გაეცნო ქართული სამბოს პრობლემები, რათა უკეთ დაესახათ მათი მოგვარების გზები. იაძის მოსკოვური ვიზიტიც ზუსტად ჯდება ამ გეგმაში – ის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ **ვასილ შოსტაკოვს** შეხვდება, რომელიც რუსეთის დუმ-ის დეპუტატია და ქართულ სათვისტომოსთან შეხვედრაც მისი ორგანიზებულია. ვეჭვობთ, საჭირო თანხის გარკვეულ ნაწილსაც კვლავ საერთაშორისო ფედერაცია გაიღებს.

ზემოაღნიშნულმა დახმარებამ ვითარება იმდენად დაათბო, რომ წლეულს ჩვენს სამბისტებს მოსკოვში შეჯიბრებებზე წასვლას არავინ უშლის. იაძის შემდეგ იქ უკვე ეროვნული ნაკრებიც გაემგზავრება, რომელიც 12-16 მაისს სოფიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, საამისოდ კი რუსეთის დედაქალაქში ზედიზედ ორ შეჯიბრებაში გამოვა. 22-23 მარტს ჩვენები ჰენრიხ შულცის სახელობის საერთაშორისო ტურნირში იჭიდავებენ, 24-27 მარტს კი მოსკოვშივე სამბოს დამაარსებელ ხარლამპიევის სახელობის მსოფლიოს სუპერთასზე იასპარეზებენ. საქართველოს ნაკრები ამ შეჯიბრებებში ასეთი შემადგენლობით გამოვა: **უშანგი კუზანაშვილი** (57), **ლევან ნახუცრიშვილი** (68), **ზურაბ ნოზაძე, კახა მამულაშვილი** (ორივე-74), **ნიკოლოზ კუცია** (82), **მინდია ბოდაველი** (90), **მირიან პავლიაშვილი** (100), **ლევან მუქერია** (+100). როგორც ვხედავთ, გუნდი არასრულია – 52-62-ში მონაწილე არ გვეყოლება. მოგეხსენებათ, აქამდე 52-ის ლიდერი მსოფლიოს ჩემპიონი კუზანაშვილი იყო, მაგრამ წლეულს მან წონა შეიცვალა და 57-ში გადავიდა. 52-ში სადღეისოდ ლიდერად **დიმიტრი მულაძე** მოიაზრება, რომელსაც ამჯერად ნეკნი სტკივა და ამიტომ არ მიჰყავთ. ტაქტიკური მოსაზრებით ასვენებენ საევროპო კანდიდატებსაც 62-ში, სადაც იაძეს დიდი არჩევანი აქვს – სახელოვანი ძიუდოისტი, ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ძიუდოში და სამბოში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი, სადღეისოდ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი სპორტსმენი **ნესტორ ხერგიანი** ან მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **დავით სვიმონიშვილი**. მწვრთნელებმა ამ ეტაპზე მათი გამოცდა არ ჩათვალეს საჭიროდ.

ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი გუნდის ძირითადი ბირთვი უკვე ცნობილია, მაგრამ მწვრთნელები მათ ვინაობას ჯერ არ ასახელებენ

საერთოდ, ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი გუნდის ძირითადი ბირთვი უკვე ცნობილია, მაგრამ მწვრთნელები მათ ვინაობას ჯერ არ ასახელებენ. შესაბამისად, წარმოდგენილ შემადგენლობაში მოსკოვური პაექრობები ზოგისთვის მხოლოდ სასტარტო იქნება საევროპოდ მზადების გზაზე, ზოგიერთ წონაში კი ამას საკონკურენციო დატვირთვაც დაემატება – სოფიაში წამსვლელი გუნდი საბოლოოდ იქ გაირკვევა. თუმცა ამჯერად მოსკოვში რამდენიმე ახალგაზრდასაც ცდიან, რომლებიც თანატოლთა ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. სამწუხაროდ, სოფიაში წასვლამდე ჩვენი სამბისტები სხვა ტურნირებში ვეღარ გამოვლენ, რადგან საამისო თანხები არ გააჩნიათ.

ირაკლი თავაძე

● 8 მარტი

ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცეს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა ქალთა საერთაშორისო დღის - 8 მარტისადმი მიძღვნილი აქცია გამართა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ **გიორგი გალდავამ**, სპორტსმენთა სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ **იროდი ბეჟაშვილმა** ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს დარგის როგორც ამჟამად მოღვაწე, ისე ვეტერანი ქალები.

საჩუქრები გადაეცა 70-მდე ქალბატონს, მათ შორის რეგიონში მომუშავე სპეციალისტებს.

„ლელოს“ კორ.

● ჩოგბურთი

განიავებული პირველი, მოგებული მეორე და... ჭრაკვა მესამეში



ანა ტატიშვილი

სამწუხაროდ, საქართველოს პირველ ჩოგან **ანა ტატიშვილს** (127) ერთობ ეპიზოდური როლი ერგო ინდიან ველსის (აშშ) პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდიც 4,5 მილიონი დოლარია. ჩვენებური პირველ საკვალიფიკაციო წრეში მსოფლიოს 88-ე ჩოგან **ლაურა პოუს-ტიოს** (ესპანეთი) ხვდებოდა. ანას ორი მეტოქის დამარცხება ესაჭიროებოდა ძირითად ბადეში გასასვლელად, საკვალიფიკაციოს ბადეც, თითქოს, ხელს უწყობდა საამისოდ, მაგრამ...

ქართველმა ჩოგბურთელმა კარგად დაიწყო და თავიდანვე 3:1 დაწინაურდა, შემდეგ კი ერთი გეიმიც ვერ მოიგო სეტში. ანამ მდგომარეობა მეორე სეტში გამოასწორა, რომელიც იმავე ანგარიშით მოიგო, როგორც პირველი წააგო. დაიწყო გადამწყვეტი სეტი და ესპანელის უპირატესობა აშკარა გახდა, ამის მიზეზი კი ანას ტრავმა ყოფილა, ბოლოს ქართველმა ბრძოლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა - 3:6, 6:3, 0:4.

ამერიკულ ქლეაროუთერში 25-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში „უაილდ ქარდი“ 20 წლის **მაგდა ოქრუაშვილს** მისცეს. პირველ წრეში ურეიტინგო ქართველმა სენსაციურად დაამარცხა ახალზელანდიელი **საშა ჯონსი** (254) - 6:0, 6:1. ჩვენებური მეორე წრეში ამერიკელ **გრეის მინთან** (610) დამარცხდა - 3:6, 6:7 (4).

დიუონის (საფრანგეთი, 10 ათასი დოლარი) საერთაშორისო ტურნირში **სოფიო ქვაცაბაიამ** (415) ორ სეტში წააგო ჰოლანდიელ **მარსელა კოეკთან** (410) - 3:6, 4:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● პროფესიული კრივი



ავთანდილ ხურციძე



მარიუშ სენდროვსკი

ხურციძე ბიბულისთვის თბილისში იბრძოლებს

ავთანდილ ხურციძე, მეტსახელად "ტორნადო", საშუალო წონაში IBO-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონობისთვის თბილისში იბრძოლებს. ჩემპიონის ქამრისთვის იგი სპორტის სასახლის რინგზე 13 მარტს გავა და პოლონელ **მარიუშ სენდროვსკის** შეერკინება. ბრძოლის ორგანიზატორები უკრაინული საპრომოუტერო კომპანია Elite Boxing Promotion და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო არიან.

13 მარტს თბილისის სპორტის სასახლეში სულ ექვსი ბრძოლა გაიმართება. ქართველი პროფესიონალი მოკრივეები სარეიტინგო შეხვედრებს ჩაატარებენ. ხურციძე-სენდროვსკის დაპირისპირება პროგრამის ბოლოს, 20 საათზე დაიწყება.

ხურციძეს ქართველი გულშემატკივრის წინაშე ზედმეტი წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება, მისი მეტოქე კი საკმაოდ გამოცდილია. სენდროვსკი 33 წლისაა და პროფესიულ რინგზე ხურციძეზე ერთით ნაკლები, 25 ბრძოლა აქვს ჩატარებული, საიდანაც 21 მოიგო, 2-ჯერ დამარცხდა და ორიც ფრედ დაასრულა. მანამდე იგი სამოყვარულო კრივში გამოდიოდა და სიდნეის 200 წლის ოლიმპიურ თამაშებზე 63 კილოგრამ წონით კატეგორიის პირველივე წრეში დამარცხდა.

ლევან ჯანეზაშვილი

კროსვორდი

თარაზულად: 1. საფარიკაო იარაღი, 5. კრივის ხელთათმანთან გაიგავებული წონა, 6. ბარქაიას მეტსახელი, 9. თბილისის ყოფილი საფეხბურთო კლუბი 1990-იანი წლების მეორე ნახევარში, 10. ცხენოსანი ... 11. კონტინენტი, 14. ერთ დროს წნორის მქუხარე სახელიანი საფეხბურთო კლუბი, 15. იაპონური სპორტულ-ლოგიკური თამაში, 17. ლეგენდარული კუბელი მოკრივე... 18. სასჯელი სპორტულ შეჯიბრებაში, 19. საქართველოს სამბისტთა ეროვნული ნაკრების თაკკაცი, 20. საჭადრაკო ფიგურა, 25. საფრანგეთში მოთამაშე თბილისელი ფრენბურთელი, 26. საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ბატუტისტი ქალი, 27. თბილისთან მდებარე ტბა, 31. ქართული ცხენოსნური თამაში, 32. ძალოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა, 33. თბილისის ბავშვთა საფეხბურთ სკოლა.

შვეულად: 1. სამაგიდო თამაში, 2. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 3. ორძელის ნაწილი, 4. თოვლზე სასრიალო, 5. უნაგირის ნაწილი, 7. მძლეოსნობის სახეობა რამდენიმე დისციპლინით, 8. შეჯიბრებისას უპირატესობის მიცემა, 12. ვუნდერკინდი ქართველი ფეხბურთელი, 13. ტყიბულის საფეხბურთო გუნდი, 14. ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი ქალი, 16. სპორტში შესაძლებლობის გამოვლენის თვისება, 21. ტანვარჯიშული იარაღი, 22. ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი კალათბურთელი, 23. პრიზი, რომელიც ქართულ რაგბში თამაშდებოდა, 24. არბიტრი, 28. სპორტის თავგამოდებული ქომაგი, 29. ჩოგბურთის პარტია, 30. თბილისის ბავშვთა საფეხბურთო კლუბი და სტადიონი.

შეადგინა **თენგიზ თომაშვილმა**





ოთვალადავლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი (პირველი) გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე

კურიოზები მეტი რა გადამხდენია, ალბათ ერთი დიდი, სქელი წიგნი გამოვა. თუმცა ამ შემთხვევაში ყველას ვერა, მაგრამ „მნიშვნელოვანებს" გავიხსენებ.

დავკარგე ჩემი ძროხები

შვეიცარიაში „დინამო"-„მრეტების" საქმეზე მივდიოდი. რუფინენთან მქონდა შეხვედრა. ციურიხში გიო ნემსაძე დამხვდა, რა თქმა უნდა, სასტუმროში არ გამიშვა, მასთან ვცხოვრობდი. დათო პეტრიშვილიც ჩამოვიდა. მეორე დღეს კი რუფინენთან უნდა მივსულიყავით. გიოს კლუბთან რაღაც პრობლემები ჰქონდა მოსაგვარებელი და პეტროს ჩამოსვლით ისარგებლა. კლუბის ოფისში ჩემი შეყოლა არ გამოდიოდა, ამიტომ ციურიხის ერთ-ერთ მოედანზე დავშორდით ერთმანეთს და შეხვედრაც იქვე დავთქვით.

ორიენტაციისთვის იქაურობა შევათვალიერე. ძროხის ორი ქანდაკება დავინახე შადრევანთან და დავწყნარდი, ამ ადგილს რა დამავიწყებს-მეთქი. გზა გადავჭერი და სეირნობას მივყევი. უკან დაბრუნების დროც მოვიდა. პარალელური ქუჩით მოვდივარ. რომ ვიფიქრე მივუხლოვდი-მეთქი, რას ვხედავ, ძროხის დაახლოებით 100-120 ქანდაკება დგას. ერთი ძროხა ჩემსას მივამსგავსე, მაგრამ... მივხვდი, დავიკარგე. ვიღას ახსოვდა „დინამო" და რუფინენი. გავიფიქრე, სტადიონზე მივალ და გიოს მისამართს გავიგებ; არა, ვაუასთან დავრეკავ თბილისში და ა.შ. ბოლოს ტაქსი გავაჩერე და ფიფას ოფისში წავედი. გიო და დათო აფორიაქებულები დამხვდნენ, დათო ძია, სად ხარო. როგორ თუ სად ვარ, რამდენი ხანია გელოდებით, რატომ დაგვიანეთ, ამხელა შეხვედრას ეხუმრებით? თქვენი ლოდინის დრო სად იყო-მეთქი. თურმე მართლა დაუგვიანიათ და „ჭამეს". დღესაც არ იციან, რომ მოვატყუე. მერე გიოსგან გავიგე, თურმე შვეიცარიაში ძროხების კულტი ყოფილა, ყოველ 10-15 მეტრში ძროხა დგას, სხვადასხვა ფერის და ფორმის. ვთქვათ, მუსიკალურ მაღაზიასთან ნოტები ახატია, აფთიაქთან - მედიცინის ნიშანი და ა.შ. მე კიდევ, ძროხა რომ დავინახე...

■ ■ ■

როცა განათლების სამინისტროში ვმუშაობდი, ბევრი საქმე კეთდებოდა. იმ პერიოდში გავხსენით 35-ე სპორტული სკოლაც, მაშინ გავაკეთეთ ვერის ბაღში კალათბურთის დარბაზიც.

ახლა ერთი მაგარი ამბავი გამახსენდა:

ფილიპე მახარაძე იყო კომიტეტის თავმჯდომარე. მთხოვა, გუნდი შეკრიბე და სადმე მოფარებულ ადგილას ფეხბურთი ვითამაშოთო. ოქროყანაში ავედით. ყველას შალის პიუამოები ეცვა. „ადიდასი" თითოოროლას თუ ჰქონდა. ფილიპე კი საავადმყოფოს ზოლიან პიუამოში გამოწყობილი და ფეხებზე სანდლებამოცმული მოვიდა, როგორც კი თვალს მოსცილდებოდა, ვაშაყირებდით, ყოჩაღ, ფილიპე ბატონო, რა კარგად დარბიხართო. თამაშს რომ მოვრჩით მე, ავთო ჭკუასელი და ანდრეი ივანიჩი (ზაზროევი) შინ მიგვიპატიჟა. ვხედავ, ჩვენი უფროსი მაგარ „ადიდასებში" და ბოტასებში გამოწყობილი დგას და მეუბნება - იმ ქაჯებს ქაჯი ვგონივარო.

რომელი ხარ?

ერთხელ მოსკოვიდან მირეკავენ და მეკითხებიან, კვინიკაძე ხართ? მე თქვენი ახალი კურატორი ვარ, პირადად თქვენი და რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობის გაცნობა მინდა, ჩამოვდივარ და გთხოვთ აეროპორტში დამხვდეთო. რასაკვირველია, თავი გამოვიდე, როგორ, რას ჰქვია არ დაგხვდებით, ოღონდ ეს მითხარით, როგორ გიცნოთო.

დაიწყო: - ვარ 30-35 წლის, ქერა, მაღალი, სპორტული ჩანთა მეჭირება და მკერდზე სპორტის დამსახურებული ოსტატის ნიშანი მეკეთებია. ბუნებრივია, ჩემი გარეგნობითაც დაინტერესდა. ავუხსენი, ვარ 70 წლის, არადა 34 წლის ვიყავი. შავგვრემანი, მაღალი, ხელში „პრავდა" მეჭირება, თუ სხვა გაზეთი მეჭირება, ე.ი. არ ვარ-მეთქი. მოკლედ, ჩავინიშნე რეისი და მეორე დღეს გავემართე გენადი კულიკოვის დასახვედრად. როგორც კი მივედი, შევნიშნე, მაგრამ მისთვის კვინიკაძე არსად ჩანდა. აეროპორტი დაიცალა. მარტო მე და გენა დავრჩით. ვეღარ მოითმინა და მოვიდა ჩემთან - ვის ელოდებით? გენადი კულიკოვს, ვუპასუხე. გახარებულმა მომაძახა, მე ვარო. როგორ გეკადრებათ, მე მას სახეზე ვიცნობ. სამუშაო, ადგილი ვკითხე, სპორტში ვმუშაობო სასწრაფოდ მიპასუხა და იფიქრა, მეშველაო. არა, ის სოფლის მეურნეობაში მუშაობს-მეთქი. „მოჟეტ ბიტ ვი აშიბაიტეს" - შემევედრა გენა. არა, იყო ჩემი საბოლოო პასუხი და ყურებჩამოყრილი სტუმარი გამეცალა. წასვლა რომ დააპირა, მივედი და ვუთხარი: არც ის მოვიდა, ვისაც თქვენ ელოდებით და არც ის, ვინც ჩემთან უნდა ჩამოსულიყო. წავიდეთ ერთად-მეთქი. რა თქმა უნდა, რესტორანში წავედით. კარგად ვიქეიფეთ. გენამ გინებით აგვიკლო, ასე და ისე, რატომ არ დამხვდნენო. მისამართი მივეცი, სადაც უნდა მისულიყო და დავაბინავე. მეორე დილით კაბინეტის კარზე კაკუნია, შემოვიპატიჟე. კარები გაიღო და გენა გაოცებისგან კინაღამ წაიქცა. უცებ გადახარშა რაშიც იყო საქმე და გადამეხვია. ახლა ფილიპესთან შესვლის დროა. სუნი ხომ არ მიდისო, მკითხა. კი-მეთქი. დაფიქრდა და მითხრა: „ზნაეშ, ლუჩშე პუსტ სვეჟიმ პახნეტ". მეც დავთანხმდი თავმჯდომარეს ყველაფერი ვუამბე, სიტუაცია მოეწონა. ისევ რესტორანში გამგზავნა და თან დამარიგა, ცოტა ხანში მეც შემოგიერთდებით და შაყირი გავაგრძელოთო. შუა ქეიფში ვართ და ფილიპეც მოდის. დათოს გაუმარჯოსო, მომესალმა, მეც არ დავაყოვნე. შენ შემოგევლე გრიშა, მოდი სუფრა დაგვიმშვენე. გენა ფეხზე წამოდგა და მიესალმა - „ია გენადი კულიკოვ, იზ მასკვი". ფილიპე - „ა ია გრიშა შობელძაღლოვ, იზ ტბილისი". ვქეიფობთ, ერთ ამბავში ვართ, გენას ვუხსნი, ჩვენს თავმჯდომარეზე უუმური კაცი მეორე არ დაიარება ქვეყანაზე. ფილიპე მიბღვერს, კარგი, გეყოფა, დაუკრეფავში ნუ გადადიხარო. ცხადია, ცხონებული ფილიპე ჩვენზე ადრე გავიდა სუფრიდან. გენამ მოიწესრიგა თავი, შეისხურა დეზოდორი, თმა გადაივარცხნა და მალე ფილიპეს კაბინეტის კარიც შევაღეთ. წარმოიდგინეთ ჩვენს სტუმარს რაც დაემართებოდა. გრძელ მაგიდასთან დიდ სავარძელში, მის ახლაგაცნობილ „გრიშა შობელძაღლოვს" რომ დაინახავდა.

- ზდრავსტვუინე, ია გენადი კულიკოვ იზ მასკვი - ამოილუღლუღა გენამ.

- ზდრავსტვუინე, ია ფილიპ მახარადზე იზ ტბილისი, ნუ უჩტიტე, ნე ტოტ ფილიპ-ო - უპასუხა თავჯდომარემ.

დავით კვინიკაძე

- ასე შედგა ეს „ურთულესი" შეხვედრა.

კოლორიტი შალვა

70-იან წლებში ლანჩხუთის „გურიის" მთავარი მწვრთნელი იყო ცნობილი სპეციალისტი შალვა კაკაბაძე, ენამოსწრებული და ენაკვიმატი პიროვნება. გუნდის უფროსი გახლდათ ევგრაფი შევარდნაძე, რომელიც იმ პერიოდში გარდაიცვალა.

ერთხელ ერთ სუფრაზე შალვა ქეიფობს. იქვე გერდით კაცი ზის. ხმას არ იღებს, არის წყნარად. სუფრის წევრებს გაუკვირდათ, რატომ ხმას არ იღებს აგი კაციო.

- როდის იყო მიცვალებული ხმას იღებდა? - კითხვა შემოაბრუნა შალვამ.

- როგორ? - გაუკვირდათ სუფრის წევრებს.

- როგორ ბატონო და აგი კაცი ევგრაფის მძღოლად მუშაობდა და იყო გვარიანად, მარა მოკვდა ევგრაფი და მოკვდა აგიცო - აუხსნა შალვამ.

მადლობის მაგიერია?

მოგვიანებით, შალვა კაკაბაძე ფილარმონიის პირდაპირ ხილბოსტანის მაღაზიის დირექტორად მუშაობდა.

ერთი დღეა და მაღაზიაში ახალმიღებულ ბოსტნეულზე მოზრდილი რიგია. მივიდა გამოჩენილი მსაჯი, ბატონი კარლო ყრუაშვილი. რიგში ხომ არ დადგებოდა? ბოლოს და ბოლოს ძმაკაცი დირექტორი იქ ჰყავდა და პირდაპირ შალვასთან „მიაჭრა", ურიგოდ მომეცი პროდუქტიო.

- ა, ეგ არ მთხოვო! - შორს დაიჭირა შალვამ.

კარლოს ცივი წყალი გადაესხა, ამას კი არ ელოდა:

- რატომ კაცო? - ეკითხება პირგამშრალი.

- უხერხულია, ჩემო კარლო, ათი კაცი დგას რიგში და შენ ურიგოდ როგორ მოგცე, რას იტყვის ხალხი? მათ თვალწინ ურიგოდ როგორ მოგცე?

- ახლაა უხერხული არა?! - გადაირია ყრუაშვილი - შენ ის შალვა კაკაბაძე არ ხარ ლანჩხუთში ათიათასი მაყურებლის თვალწინ პენალტს რომ მთხოვდი?!

- ჩუმად კაცო, რა გაყვირებს - მოგიხერხებ რამეს - ხელად მონახა გამოსავალი შალვამ.

შეთანხმდნენ

ნოდარ ახალკაცთან კაბინეტში რაღაც დოკუმენტზე ვმუშაობთ. მისი ოთახის კარები ყოველთვის ღია იყო, რის დაცვა, რა დაცვა. შემოვიდა ვიღაც პიროვნება და ნოდარს მიმართა: ბატონო ნოდარ! ერთი ისეთი საფეხბურთო ილეთი დავამუშავე, რომ თუ ნაკრებში ამიყვანთ, ყველა თამაშში 2-3 ბურთს აუცილებლად გავიტანო. მაინც რა ისეთი ილეთი დაამუშავეო, ჰკითხა ცხონებულმა. რაო და როდესაც მოწინააღმდეგე დაჯარიმდება, მე ბურთს ჩავაწოდებ მეტოქის საჯარიმოში. ბურთს კი იქ დავხვდები და თავური დარტყმით მათი კარის ბადეს შევარხევო; ამ ილეთს მე „მესხი-კალოევის დუეტი" დავარქვიო.

ნოდარმა ჩვენ თვალი ჩაგვიკრა, მას ხელი მაგრად ჩამოართვა, შეაქო, მაგრამ ბოლოს დაღონებული სახით უთხრა: ეს ძალიან კარგი ილეთი დაგიმუშავებია, მაგრამ შენ ფეხბურთის თამაშის ერთი წესი დაგვიწყნია - ფეხბურთელს ჯარიმის დარტყმის შემდეგ ბურთზე თამაში აღარ შეუძლია, ვიდრე მას სხვა მოთამაშე არ შეეხებაო - ბურთზე მიყოლებით ორჯერ შეხება აკრძალულია. მერე კი სერიოზული ტონით გააგრძელა - ნამეტანი ჭკვიანი კაცი ჩანხარ, მოდი, ასე მოვიქცეთ, შენ სხვა - ახალი ილეთის დამუშავებაზე ივარჯიშე, მე კი ფიფას ხელმძღვანელობას მაღარიჩის სახით ერთ კაი მოზრდილ ჭედილას დავუკლავ და იქნებ როგორმე ეს ოხერი წესი გავაუქმებინოო.

მაგარი კმაყოფილი წავიდა ის პატიოსანი კაცი ნოდარის ოთახიდან.

მურმან მერკვილიშვილი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲑᲐᲡᲙᲔᲢᲘ

ᲓᲐᲠᲩᲘᲗᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲙᲝᲙᲝᲨᲙᲝᲕᲘ VS ᲑᲐᲒᲐᲪᲙᲘᲡᲘ

ᲔᲕᲠᲝᲑᲐᲡᲙᲔᲢᲘᲡ წილისყრა 30 იანვარს ჩატარდა. მას მერე თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ ზაფხულში მოსამზადებელი გეგმა სრულად ჯერაც არ დადგენილა. ასეთ სიტუაციაში მხოლოდ საქართველოს ნაკრები არ არის - ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ბევრ გუნდს არ გაურკვეევია, ზაფხულში ვის როდის ეთამაშება.

- მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციასთან. ზოგ ტურნირზე ის გუნდები არიან მიწვეულნი, რომლებიც ევრობასკეტზე ჩვენი მეტოქეები იქნებიან, ზოგი შეჯიბრება თბილისურ ტურნირს ემთხვევა. არის რამდენიმე ვარიანტი და საბოლოოდ ისეთს შევარჩევთ, საქართველოს ნაკრებს სრულყოფილი შეკრება რომ გამოუვიდეს, - გვითხრა კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა.**

მან იქვე დასძინა, გარკვეულია მხოლოდ ის, რომ თბილისის მერიის თასზე ისრაელის ნაკრები ითამაშებს. დანარჩენი ორი მოწინააღმდეგის ვინაობა დგინდება. ბატონ მერაბს ერთ სიახლეზეც ვკითხეთ, რომელიც თავდაპირველად ლატვიის ნაკრების თავკაცის **აინარს ბაგაცკისისგან** შევიტყვეთ - იგეგმება ორი საკონტროლო მატჩი ლატვიისა და საქართველოს ნაკრებთა შორის.

- ლატვიის ნაკრების მოსამზადებელი ეტაპის გეგმა ახლა დგინდება. გადაჭრით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ აგვისტოში საქართველოსა და ლატვიის ნაკრებები ამხანაგურად ითამაშებენ. ეს შეხვედრები ქართველებისთვისაც სასარგებლო უნდა იყოს და ჩემი გუნდისთვისაც, - აღნიშნა აინარს ბაგაცკისმა.

მერაბ რატიშვილს ლატვიასთან მატჩების თარიღები ვკითხეთ.

- ორივე გუნდის მწვრთნელი საკონტროლო მატჩებზე სიტყვიერად შეთანხმდნენ და გადაწყვეტილია, რომ ლატვიელებს ვეთამაშებით. ისიც ცნობილია, რომ მატჩები ლატვიაში ჩატარდება. თუმცა, ჯერჯერობით ზუსტი თარიღები არ დადგენილა - ველით ლატვიის კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ წერილს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ **იგორ კოკოშკოვის** გუნდი აინარს ბაგაცკისის კრებულს აგვისტოს ბოლოს „დაეჭიდება“ და მეზობელ ლიტვაშიც ლატვიიდან გადავა.

2010 წელს, ევროშესარჩევზე ბაგაცკისის გუნდის საშუალო ასაკი 22 წელი იყო - რამდენიმე გამოცდილ კალათბურთელს დისკვალიფიკაცია ჰქონდა. მწვრთნელს ეიმედება, რომ ევროპის ჩემპიონატის წინ გამოცდილი მოთამაშეებიც დაემატებიან, თუმცა დასძენს:

- ნაკრებში ისეთმა კალათბურთელებმა უნდა ითამაშონ, რომლებსაც ეს სურთ და ბოლომდე იხარჯებიან. ძალიან მინდა სრული საბრძოლო შემადგენლობა შევკრიბო. ვნახოთ, ეს როგორ მოხერხდება.

შეგახსენებთ, რომ ლატვიელებს აქამდე ერთადერთხელ ვეთამაშეთ: 2008 წელს რიგის ტურნირზე ქართველებმა ჯერ საფრანგეთთან დათმეს (69:90), შემდეგ ჩეხეთს მოუგეს (74:68), ბოლო მატჩში კი ლატვიელებსაც აჯობეს - 80:72. იმ მატჩში ვლადიმერ ბოისა გამოირჩა, 18 ქულა ჩააგდო.

- კარგად მახსოვს ქართველთა თამაში ლატვიაში. მაშინაც დავრწმუნდი, რომ ძლიერი შემადგენლობა გყავთ. რაც მთავარია, საქართველოს ნაკრები მზარდი გუნდია, რაც ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრითაც დაადასტურა, - ესეც ანარს ბაგაცკისის სიტყვებია.

2008 წელს, რიგა

ᲚᲐᲢᲕᲘᲐ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ 72:80

19:22, 15:22, 17:20, 21:16

საქართველო: ცინცაძე (22 წთ, 5 ქ, 3 პ), ელისი (30 წთ. 10 ქ. 3 პ.), სანიკიძე (28 წთ. 5ქ. 7 მ), ცქიტიშვილი (24 წთ. 9 ქ. 7 მ), ფაჩულია (25 წთ. 14 ქ. 8 მ); ვ. ბოისა (23 წთ. 18 ქ), შერმადინი (7 წთ. 3 მ. 2 დ), გამყრელიძე (25 წთ. 14 ქ. 3 პ), ა. ბოისა (13 წთ. 5 ქ), ტულუში (2 წთ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 20-ᲬᲚᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲝᲗᲮᲛᲐᲒᲘ, ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘᲗ

5 მარტი, თბილისი

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ	65
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ	94

18:22, 20:22, 15:16, 12:34

დინამო: გულმაგარაშვილი (5ქ), ლომიძე (4ქ), ლ. მინაშვილი (17ქ), ოკრიბელაშვილი (8ქ, 6პ, 7ჩ), მჭედლიშვილი (4ქ, 9მ), მიმინოშვილი (9ქ, 11მ), ლახანაიძე (2ქ), შიოლაშვილი, მაჭარაძე (6ქ), ჭიჭვეიშვილი (10ქ).

ქუთაისი: ცაგარეიშვილი (10ქ, 4ჩ), გრძელიძე (12ქ, 9მ, 6პ), ჯინჭარაძე (8ქ), ბერძენაძე (3ქ), მესხი (12ქ), გელაშვილი, ტუკვაძე (6ქ, 8მ), ცირეკიძე (5ქ), ლომინაშვილი (22ქ, 14მ), ჭედია (1ქ), ქორიძე (15ქ, 7მ).

5 მარტი, თბილისი

ᲗᲘᲡᲣ	95
ᲡᲝᲮᲣᲛᲘ	79

19:18, 19:24, 23:14, 34:23

თსუ: კობაიძე, ლეუავა (11ქ), ახალაია (2ქ), ბექაური (22ქ, 16მ, 3დ), მაისურაძე (26ქ, 8მ, 5პ, 4ჩ), დეკანოიძე (26ქ, 14მ), ჩქარეული (8ქ), სანაია.

სოხუმი: ჩერქეზიშვილი (10ქ, 4პ, 4ჩ), თავართქილაძე (10ქ, 4პ), მაჩალაძე (4ქ, 12მ), მეხრიშვილი (7ქ, 9მ), სულაბერიძე (6ქ), სანაძე (40ქ), კორძაძე (2ქ), ძიძიშვილი.

6 მარტი, თბილისი

ᲡᲢᲣ	95
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ	54

18:17, 21:12, 19:16, 27:9

სტუ: ტეტელაშვილი (25ქ, 4პ), გურაბანიძე, ჩიკვილაძე (28ქ, 14მ, 10პ, 10ჩ), ლომოური (27ქ, 10მ), ჭოხონელიძე (9ქ, 7მ, 4ჩ), გუგულაშვილი, მაღრაძე, ქევხიშვილი (4ქ), ლობჟანიძე (2ქ).

რუსთავი: მებურიშვილი (6ქ, 5პ), გაგნიძე (6ქ), არაბული (9ქ, 10მ), დ. მაისურაძე (2ქ), დვალიშვილი (13ქ, 14მ), ჯანხოთელი (2ქ), უძილაური (2ქ), ოქროჭელიძე (2ქ, 10მ), დოლაიშვილი (2ქ), ჭიჭიკოშვილი (2ქ), ფხალაძე (6ქ), ობგაიძე (2ქ).

ᲒᲣᲜᲓᲘ	Თ	Მ	Ნ	ᲡᲮ	Ქ
1. ᲗᲘᲡᲣ	6	5	1	512/401	11
2. ᲡᲝᲮᲣᲛᲘ	6	4	2	491/452	10
3. ᲡᲢᲣ	6	4	2	461/460	10
4. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ	5	4	1	444/325	9
5. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ	5	2	3	320/402	7
6. ᲓᲘᲜᲐᲛᲝ	6	1	5	427/476	7
7. ᲛᲐᲫᲐᲒᲘ	6	0	6	381/520	6

საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში უპრეცედენტო შემთხვევა დაფიქსირდა - ოთხმაგი დუბლი შეასრულა სტუ-ს კალათბურთელმა **ბექა ჩიკვილაძემ**. *აქვე განვმარტავთ ოთხმაგი დუბლის მნიშვნელობას: ბექა ოთხ კომპონენტში ასცდა 10-იან ნიშნულს, 28 ქულა, 14 მოხსნა, 10 პასი, 10 ჩაჭრა მიითვალა. რაც ქართულ საკალათბურთო სივრცეში კომპიუტერი შემოვიდა, მსგავსი შედეგი ერთ კალათბურთელსაც არ ჰქონია.*

ჩიკვილაძის კარგი გარჯა სტუ-ს „რუსთავთან“ გამარჯვების საწინდარი გახდა.

- ბევრს ვშრომობ, მხოლოდ კალათბურთზე ვფიქრობ და ვცდილობ, იმ დონის მოთამაშედ ჩამოვყალიბდე, ნაკრებს რომ გამოადგება, - ასეთა ბექას კომენტარი.

მკითხველს მოეხსენება, რომ იგი საქართველოს კადეტთა ნაკრებშიც თამაშობდა, 18-წლამდელებშიც და ახალგაზრდებშიც. მას ამ ზაფხულსაც მოუნევს 20-წლამდელთა ნაკრების ღირსების დაცვა (B დივიზიონის მატჩებში).

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ჩიკვილაძე საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატში ბომბარდირთა შორის მესამეა (22.7 ქულა), **გიორგი რევაზაშვილის** (34.2), **ავთო ლომინაშვილის** (23.0) შემდეგ. ხოლო სუპერლიგაში №1 სნაიპერია (21.6).

- სტუ-ს ახალგაზრდულ პირველობასა და უმაღლეს ლიგაში სხვადასხვა მიზანი აქვს. დიდებში პლეი ოფის ზონაში ვართ და დიდი შანსია მეოთხედფინალში ვითამაშოთ. ვეცდებით პლეი ოფშიც არ შევირცხვინოთ თავი. 20-წლამდელთა ჩემპიონატში კი სამეულში ვართ და პირველობისთვის ვიბრძვით, - ესეც ბექას სიტყვებია.

■ ■ ■

20-წლამდელებში ჩემპიონობის მაძიებელმა კიდევ ორმა გუნდმა სპორტის სასახლეში შეკრებილ აუდიტორიას საინტერესო თამაში შესთავაზა: „სოხუმმა“ პირველ ტაიმში თსუ-ს მცირედით აჯობა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის სუპერლიგაში „ბათუმის“ მაისურით მოასპარეზე **დუდა სანაძეს,** რომელმაც საბოლოოდ 40 ქულას მოუყარა თავი.

მეორე ტაიმიდან კი თსუ-ელები ამოქმედდნენ და საბოლოოდ დამაჯერებლადაც მოიგეს - 95:79. გამარჯვებულთა შორის ორმაგი დუბლებით გამოირჩნენ **დავით დეკანოიძე** (26 ქულა, 14 მოხსნა) და **ბექა ბექაური** (22 ქულა, 16 მოხსნა).

■ ■ ■

„დინამოს“ ბაზაზე ადგილობრივები „ქუთაისმა“ ბოლო პერიოდში გატეხა - 34:12 მოუგო. საბოლოო ანგარიშიც იმერელთა სასარგებლოდ დაფიქსირდა - 94:65.

ქუთათურთა წარმატებაში 22-ქულიანი წვლილი (14 მოხსნა) შეიტანა მეფარე ავთანდილ ლომინაშვილმა, რომელიც ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში მე-2 ადგილზეა.

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲘ



ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ ᲐᲗᲘᲗ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ნაკრების ფორვარდი **ნიკა მეტრეველი** იტალიის მეორე ლიგას ხუთმატჩიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა. მან „ვენეციასთან“ სტუმრად გამართულ მატჩში 10 წუთი ითამაშა და იტალიელი ჟურნალისტებისგან კომპლიმენტებიც დაიმსახურა. ნიკამ 4 ქულა (2-დან 2 ორქულიანი), 6 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. რაც მთავარია, მას კარგი გარჯა გამარჯვებით დაუფასდა - „რიმინიმ“ „ვენეცია“ 62:60 „ჩაძირა“.

„ლეგადუეს“ საიტზე მეტრეველის თამაშს მცირე სტატია მიეძღვნა, რომლის თარგმანიც, ვფიქრობთ, ქართველ მკითხველსაც დააინტერესებს.

„როცა მწვრთნელი ზედიზედ 5 მატჩში არ გათამაშებს, ძნელია, მეექვსე შეხვედრაში ადგე და სათანადოდ გაისარჯო. თუმცა, ნიკა მეტრეველმა ეს შეძლო. 210 სმ სიმაღლის ქართველმა 10 წუთი ითამაშა და თანაგუნდელებს დიდად დაეხმარა.

- გახარებული ვარ. მოედანზე დაბრუნება ძალიან მსურდა და სასიამოვნოა, რომ მწვრთნელს იმედები გავუმართლე.

მან ვენეციაში ფორვარდად ითამაშა და აღნიშნა:

- ჩემი ამპლუა მძიმე ფორვარდობაა. თუმცა, კიდევ ბევრი მაქვს სამუშაო და მეტი - მოსამატებელი.

ქართველმა კალათბურთელმა ბოლოს იმედი გამოთქვა, რომ მწვრთნელი მომავალ მატჩებში მეტად ენდობა.“

ᲜᲘᲛᲑᲣᲠᲙᲗᲐᲜ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ MVP ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲘᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲛᲐ ევროლიგაზე საუკეთესო მატჩი „ბარსელონასთან“ ჩაატარა, სლოვენიის თასზე - „ზლატოროგთან“, ხოლო ადრიატიკის ლიგაზე ყველაზე უკეთ გუშინ ჩეხურ „ნიმბურკის“ წინააღმდეგ ითამაშა. ამის დასტურად გიორგის სტატისტიკაც გამოდგება და შეხვედრის MVP-ად დასახელებაც.

216 სმ სიმაღლის ქართველმა თამაში სასტარტო ხუთეულში დაიწყო, 24 წუთში 15 ქულა, 8 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. იგი ორქულიანებისას უშეცდომო იყო - 5-დან 5, 8 საჯარიმოდან კი 5 ჩააგდო. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ჩეხები გიორგიზე 7-ჯერ დაჯარიმდნენ. მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა 24-ს უწია, რაც გუშინდელი შეხვედრის საუკეთესო მაჩვენებელი იყო. სხვათა შორის 24-იანი მქკ გიორგის სარეკორდო შედეგიც გახლავთ.

სამწუხაროდ, მწვრთნელმა **იურე ჟდოვჩმა ვლადიმერ ბოისა** მხოლოდ 4 წუთი ათამაშა.

ახლა მატჩის მსვლელობაზეც ვთქვათ. „ოლიმპიამ“ ცუდად დაიწყო, თუმცა მეორე პერიოდიდან თამაში გამოასწორა და მეოთხე ათწუთეულის წინ 60:52 დაწინაურდა. საბოლოოდ 74:63 სლოვენიელთა სასარგებლოდ.

ამ მოგებამ „ოლიმპია“ ადრიატიკის ლიგის სატურნირო ცხრილის სათავეში მოაქცია - 16 მოგება, 8 ნაგება. შეინარჩუნებს თუ არა ამ პოზიციას დღეს გამოჩნდება - ყველაფერი „პარტიზანი“-“ზადარის“ მატჩში გადაწყდება („პარტიზანებსაც“ 8 გამარჯვება უწერიათ).

ადრიატიკის თასის დასრულებამდე 2 ტური რჩება. „ოლიმპიას“ ოთხეულში (შესაბამისად ნახევარფინალში) გასვლა განაღდებული აქვს. სლოვენიელები მორიგ მატჩს 16 მარტს სერბულ „რადნიჩკისთან“ ლიუბლიანაში ჩაატარებენ.

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ერთა თასი

ბორჯღალოსნებმა საქართველოს პირველად ივარჯიშეს

სტეჟარის ტონიცაც დააკლდება

ილია მაისურაძე და რიჩი დიქსონი

მარცხნიდან: ირაკლი მაჩხანელი, დავით კაჭარავა და ირაკლი აბუსერიძე

საქართველოს ნაკრები შაბთს, ერთა თასის გათამაშების მეოთხე ტურის მატჩში რუმინეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. „ბორჯღალოსნებმა“ გუშინ „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე პირველად ივარჯიშეს. საწვრთნელ შეკრებაზე გამოძახებულთაგან არ ჩანდა შერკინების ბურჯი **დავით ხინჩაგიშვილი**, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში დაშავდა. სამედიცინო შემოწმების შემდეგ კი გაირკვა, რომ მას ფეხის კუნთი აქვს დაჭიმული. ასე რომ, „ხინჩაგა“ რუმინელებთან თამაშს მაინც შეძლებს და თბილისში, წესით, დღეს გამთენიას უნდა ჩამოვიდეს.

მიკროტრავმა აწუხებს მესამეხაზელ **სიმონ მაისურაძეს**, რომელიც გუნდთან ერთად იყო, თუმცა წვრთნაში არ მონაწილეობდა. სხვები, ყველა ჯანმრთელად არიან და მთელი დატვირთვით ივარჯიშეს.

ტრადიციული მოთელვის შემდეგ ავსტრალიელმა **ჯონ მაგლტონმა** ბიჭები მოედნის მცირე მონაკვეთში, ერთსელიან შეტევებში ავარჯიშა. რის შემდეგაც გუნდი ორად გაყო. სავარაუდო ძირითადი შემადგენლობა, რომელშიც რატომღაც მხოლოდ 13 მორაგბე იყო, ასე გამოიყურებოდა:

დავით ზირაქაშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, გიორგი ჟღენტი, გიორგი ნემსაძე, ლევან დათუნაშვილი, ზვიად მაისურაძე, გიორგი ჩხაიძე, მამუკა გორგოძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი მაჩხანელი, თედო ზიბზიბაძე და დავით კაჭარავა.

ამ გუნდმა და დანარჩენებმაც მრავალფაზიანი, მიმართულების ხშირი ცვლით შეტევისას, ბლოკებად თამაშს დაუთმეს საკმაოდ დიდი ყურადღება. ვარჯიშის მთავარი არსი, ბურთიანი მოთამაშის მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში იყო.

ამის შემდეგ უკანახაზელებმა ბოჭვასა და ფეხით თამაშში ივარჯიშეს. მორკინალებმა კი დერეფანში თამაში დახვეწეს. ამ შემთხვევაში, შერკინების ძირითადი შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა:

დავით ზირაქაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, გიორგი ჟღენტი, ვახტანგ მაისურაძე, ლევან დათუნაშვილი, შალვა სუთიაშვილი, გია ლაბაძე და მამუკა გორგოძე.

ერთი სიტყვით, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს **რიჩი დიქსონი** და „სტეჟარისთან“ ძირითად შემადგენლობაში ვინ ითამაშებს, მხოლოდ ხუთშაბათ საღამოს გაირკვევა.

ამასობაში, ცუდი ამბებია რუმინელთა ბანაკში. „მუხის ფოთლებს“ ტრავმირებულ შერკინების კვაჭ **მარიუშ ტინკუსთან** ერთად, კიდევ ერთი წამყვანი მოთამაშე **ოვიდიუ ტონიცაც** დააკლდებათ. ფრანგული „პერპინიანის“ მესამეხაზელი საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში დაშავდა და, სავარაუდოდ, რამდენიმე კვირის განმავლობაში ვერ ითამაშებს.

რუმინელები მასთან ერთად კიდევ ერთ მესამეხაზელ **ალექსანდრუ მანტასაც** მისტირიან, თუმცა მან რუმინეთის ნაკრებში თამაშზე უარი ოფიციალურად თქვა.

საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: **დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), ირაკლი ნატრიაშვილი (სტიაუა), ჯაბა ბრეგვაძე (არმია), გიორგი ჟღენტი (მონპელიე)**

მეორე ხაზი: **ლევან დათუნაშვილი (ფიჟაკი), ვახტანგ მაისურაძე (სენ ნაზერი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი)**

მესამე ხაზი: **მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე (ორივე-მონპელიე), შალვა სუთიაშვილი (მასი), გია ლაბაძე (ლა სეინი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), სიმონ მაისურაძე (ვილერბანი), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი)**

N9: **ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (სტიაუა)**

N10: **მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი), ლაშა მალალურაძე (ბეზიე)**

N12-13: **დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პეროგო)**

N11-14: **ირაკლი მაჩხანელი (მაკონი), ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია)**

N15: **ბესიკ ხამაშურიძე (აია), ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი)**

რუმინეთის ნაკრები

პირველი ხაზი: **დრაგოშ დიმა (ბლანიაკი), ვასილე მარისკარიუ (ბობინი), ნიკოლაე ნერე, ბოგდან ზებეგა (ორივე-სტიაუა), სამუელ მარისი (ტიმიშოარა), პეტრუ ტამბა (დინამო), ანდრეი რადოი (ბაია მარე)**

მეორე ხაზი: **სორინ სოკოლი (ლურდი), კრისტიან პეტრე (სენტ ეტიენი), ვალენტინ პოპირლანი (ბუქარესტი), ვალენტინ ურსაკე (ექსი).**

მესამე ხაზი: **ვიორელ ლუკაჩი, დანიელ იანუსი (ორივე-სტიაუა), მიჰალ მაკოვეი (ბაია მარე), ოვიდიუ ტონიცა (პერპინიანი), დანიელ კარპო (ფარული), ტრაიან პლოტში (ფიჟაკი)**

N9: **ლუჩან სირბუ (მიო), ვალენტინ კალაფეტეანუ (ტიმიშოარა), ფლორინ სურუგიუ (ბუქარესტი)**

N10: **დანუც დუმბრავა, ფლორინ ვლაიკუ (ორივე-სტიაუა)**

N12-13: **ჩაბა გალი (ბაია მარე), კონსტანტინ გეარა (ფარული), რობერტ დესკალუ, იონელ კაზანი (ორივე-სტიაუა), იონუც დიმოფტე (ბაია მარე)**

N11-14: **კატალინ ფერკუ, მადალინ ლემნარუ (ორივე-ტიმიშოარა), კატალინ ნიკოლაე (ფარული)**

N15: **იულიან დუმიტრაში (ლურდი)**

ერთა თასის მეოთხე ტურში ასევე დიდ ინტერესს ინვევს დაპირისპირება მადრიდში, სადაც ესპანელი „ლომები“ პორტუგალიელ „ლობუშებს“ უმასპინძლებენ. თუ სტუმრებმა მეტოქე საპრემიო ქულის გარეშე დაამარცხეს, მაშინ ერთა თასის მოსაგებად „ბორჯღალოსნების“ ნებისმიერი ანგარიშით მოგება აძლევს ხელს. თუ არა და, „სტეჟარის“ მინიმუმ ოთხი ლელო უნდა გავუტანოთ.

ესპანეთის ნაკრები

მარტინ ერედია (კოსტა დე სოლ), ლეონარდო ფერნანდეს არამბურუ (კახასოლი), ნაჩო გუტიერესი, ანიბალ ბონანი (ორივე-ენტერპინარესი), სერხიო სოუტუ, პაბლო ფეიხოო (ორივე-ელ სალვადორი), ხავიერ კანოსა (მადრიდი), რაფაელ მატი (კისენეროსი), რამონ ნარვესი (მახდაპონდა), მარტინ აკენა, მეთიუ კუკი (ორივე-ლა ვილა), პერიკო მარტინი, მატიას ტუდელა (ორივე-ორდიზია), ფედერიკო ნეგრილო (ბისკაია), უნაი ლასა (ბერა ბერა), კარლო ბლანკო (ვიგო), ხესუს მორენო (ლიდსი), გაუტიერ გიბუნი (ბორდო), სეხი ობენელი (კლერმონი), ხესუს რეკუერდა, ხუან კანო (ორივე-ლილი), პიერ ბელსუნსე (კოლომიე), ადრიენ აიესტარანი, ენდონი ხორახურია (ორივე-ბიარიცი), მატინ ოზქუი (დაქსი), მატიე როსა (ორიაკი), ფაბიენ როფსი (მონპელიე), ბენატი ოზქუი (ტიროსი), დავით გურგენაძე (ორტეზი).

მარცხნიდან: მაიკ ბრედლი, ირაკლი ნატრიაშვილი, ვახტანგ მაისურაძე და ჯაბა ბრეგვაძე

პორტუგალიის ნაკრები

პირველი ხაზი: ჟოაო ჯუნიორი (კდული), ჟორჟე სეგურადო, ჟოაო კორეა (ორივე-დირეიტო), კრისტიან სპაშუკი (კოლომიე), ჟუან მურე (ელ სალვადორი), ენტონი ალვესი (მონტობანი), ბერნარდო დუარტე (აგრონომია), ლიონელ კამპერნი (პო)

მეორე ხაზი: გონსალო უვა (მონპელიე), ჟუან სევერინო (აგრონომია), რუი დორეი (დირეიტო), ფერნანდო ალმეიდა (სეტუბალი)

მესამე ხაზი: ჟულიენ ბარდი (კლერმონი), ვასკო უვა, ლუის სოუსა (ორივე-დირეიტო), ტიაგო გირაუ (კდული), ხესუს ლე რუ (აგრონომია)

N9: **ჟოზე პინტუ, პედრო ლეალი (დირეიტო)**

N10: **ჯო გარდნერი (ობენა), პედრო კაბრალი (კდული)**

N12-13: **პედრო სილვა (ბელენენსეში), ფრანსისკო მირა (აგრონომია), ფრედერიკო ოლივეირა, კარლ მურეი (ორივე-კდული)**

N11-14: **გონსალო ფორო, ბერნარდო სილვეირია (კდული), ჟოზე ლიმა (აგრონომია), ადერიტო ესტევეში (დირეიტო)**

N15: **ანტონიო აგილარი (დირეიტო), ფრანსისკო სერა (კოიმბრა)**

გუნდის გაფართოებული შემადგენლობა გააცხადა უკრაინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმაც, რომლის კონსულტანტიც საქართველოს ნაკრების ყოფილი მორაგბე **ზაზა ლეჟავაა.** უკრაინელთა განაცხადში, რომლებიც შაბათს ოდესაში რუსეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებენ, მესამე ტურის მატჩისგან განსხვავებით სამი ქართველია. ცხრა ნომერ **ზურაბ კიკაჩეიშვილს** და უკანახაზელ **გიორგი გეგიძეს** დაემატა მესამეხაზელი **ჯაბა მალალურაძე,** რომელიც საქართველოს ნაკრების მგზავის **ლაშა მალალურაძის** ძმაა.

უკრაინის ნაკრები

ალექსანდრ სუხუხი, მიკოლა კირსანოვი, ივან ზალიაზნიაკი, ვიაჩესლავ კრასილნიკი, ალექსანდრ მიშნევი, ალექსანდრ ლომაკინი, ალექსანდრ ცაპენკო, მაქსიმ კრავჩენკო, სერგი ცერკოვნი, სეგი მანჟოსი, სერგიი გარკავი, ოლეგ კოსარევი, ვიაჩესლავ პონომარენკო (ყველა-ოლიმპი). ევგენი ჩაიკა, ალექსანდრ პოლიანსკი, ედუარდ ვერტილეეკი, რუსლან რადჩუკი, რომან კულაკოვსკი, ოლექსი ნოვოკრესჩენოვი, ჯაბა მალალურაძე, ზურაბ კიკაჩეიშვილი, დენის მასიუკოვი, პავლო მასიუკოვი, გიორგი გეგიძე, სერგი მონასტირიოვი (ყველა-კრედო), სერგიი იანჩრი, ვიტალი კრასნოდემსკი (ორივე-ავიატორი), იგორ სნისარენკო (ტირასპოლი), ანდრიი გოლიშევი (პენზა), ვიტალი ორლოვი (ენისეი).

რუსეთის ნაკრები

პირველი ხაზი: **ალექსანდრ ხროკინი, ალექსეი ტრავკინი, ვლადისლავ კორშუნოვი (სამივე-ვვა), სერგეი პოპოვი, რომან ბორისოვი (ორივე-სლავა), ივან პროშეპენკო (კრასნი იარი), ევგენი პრონენკო (ენისეი)**

მეორე ხაზი: ალექსეი პანასენკო, ალექსანდრ ვოიტოვი (ორივე-ვვა), ანდრეი გარბუზოვი (კრასნი იარი)

მესამე ხაზი: ვიაჩესლავ გრაჩოვი (ბიზანსონი), ვიქტორ გრესევი, კირილ კუშნარიოვი, ევგენი მატვეევი (სამივე-ვვა), ნიკიტა მედკოვი (სლავა), ანდრეი ტემნოვი)

№9: **ალექსანდრ იანუშკინი, ალექსანდრ შაკიროვი (ორივე-ვვა)**

№10: **იური კუშნარიოვი (ვვა)**

№12-13: **მიხაილ ბაბაევი (ვვა), იგორ გალინოვსკი, ალექსეი მაკოვეცკი (ორივე-კრასნი იარი)**

№11-14: **ვასილი არტემევი, ანდრეი კუზინი (ორივე-ვვა), ვლადიმირ ოსტროუშკო (კრასნოდარი)**

№15: **კონსტანტინ რაჩკოვი (სტად ფოსიენი), იგორ კლუჩნიკოვი (ვვა).**

ერთა თასი

IV ტური, 12 მარტი

საქართველო-რუმინეთი, ესპანეთი-პორტუგალია, უკრაინა-რუსეთი

V ტური, 19 მარტი

რუსეთი-საქართველო, რუმინეთი-ესპანეთი, პორტუგალია-უკრაინა.

საბუნებრივი მდგომარეობა

	მ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. საქართველო	3	3	0	0	+120	14
2. პორტუგალია	3	2	0	1	+8	9
3. ესპანეთი	3	1	0	2	-44	6
4. რუმინეთი	2	1	0	1	+23	5
5. რუსეთი	3	1	0	2	-28	5
6. უკრაინა	2	0	0	2	-81	0

ბესიკ ჯანგავაძე

msy.gov.ge

უცხოური სპორტი

● ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „კალგარი ფლეიზმის“ ფორვარდი **ჯერომ იგინლა** დაასახელა. ეს ჰოკეისტი რვა ქულით (5+3) წინა შვიდი დღის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ვეტერანს ყველა მატჩში მინიმუმ ერთი შაიბა გაჰქონდა. იგინლა გახდა მეათე ჰოკეისტი NHL-ის ისტორიაში, ვინც ზედიზედ ათი სეზონის განმავლობაში მინიმუმ 30 გოლი მიითვალა. „ფლეიმზის“ კაპიტანი გუნდის ლიდერია ქულების მიხედვით - 66 (30+36). აღსანიშნავია, რომ იგინლას 14 ქულა აკლია 1000-ქულიან ზღვარამდე მისაღწევად.

მეორე ვარსკვლავი გახდა „ბაფალო სეიბრზის“ მცველი **ანდრეი სეკერა**. იგინლას მსგავსად, მანაც რვა ქულის მოგროვება შეძლო - ერთი გოლი და 7 შედეგიანი პასი. სეკერა თითო შეხვედრაში მინიმუმ ერთ ქულას აგროვებდა და ასეთი ხუთმატჩიანი სერია დაუგროვდა. მსგავსი მიღწევა „ბაფალოს“ მცველებს 1981 წლის შემდეგ არ ჰქონიათ.

მესამე ვარსკვლავი მეკარე გახლავთ - „მონრეალ კანადიენსის“ კარის დარაჯი **კორი პრაისი,** ვინც გასულ კვირას საშუალოდ 1.00 გოლს უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 97.4 პროცენტს იგერიებდა. პრაისმა თავის გუნდს სამიდან სამ მატჩში მოაგებინა და აღმოსავლეთი კონფერენციის მეექვსე პოზიციაზე გადასვლაში დაეხმარა.

ტამპა ბეი-ვაშინგტონი 1:2 (ბ)

1:0, 0:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ბერგენჰაიმი-13 (სენტ ლუისი-52, სტემკოსი-38), 1:1 სიომინი-24 (ვიდმანი-25, ოვეჩკინი-44).

ბულიტები გაიტანეს: ოვეჩკინი (ვაშინგტონი).

სტ. ლუისი-კოლამბუსი 5:4 (ბ)

3:3, 1:1, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 ბერგლუნდი-18, 1:1 ვორაჩეკი-13 (ნეში-28), 1:2 კალვერტი-11 (უმბერგერი-29, რასული-16), 1:3 ტოუტინი-6 (კლიტსომი-12, ვერმეტი-22), 2:3 ენდი მაკდონალდი-15 (კ. სტიუარტი-20, ბერგლუნდი-26), 3:3 ოში-7 (დ'ავოსტინი-16, ბეკსი-24), 4:3 ენდი მაკდონალდი-16 (ბეკსი-25, მატენკირკი-23), 4:4 მაკენზი-5 (ნეში-29, ვორაჩეკი-31).

ბულიტები გაიტანეს: ოში (სტ. ლუისი), ნეში (კოლამბუსი), ენდი მაკდონალდი (სტ. ლუისი), ტოუტინი (კოლამბუსი), სტინი (სტ. ლუისი).

ლოს ანჯელესი-დალასი 3:4 (ოს)

1:0, 1:1, 1:2, 0:1

გოლები: 1:0 უ. მიტჩელი-3 (კოპიტარი-44, ჯასტინ უილიამსი-31), 1:1 რიბეირო-13 (ბარში-6, გოლიგოსკი-26), 2:1 ჯასტინ უილიამსი-21 (პენერი-19, კოპიტარი-45), 2:2 დეფეი-6 (რიბეირო-42, ლანგენბრუნერი-17), 3:2 კლიფორდი-5 (ლუსი-6), 3:3 ბენი-17, 3:4 მოროუ-26 (რიბეირო-43, გოლიგოსკი-27).

ალმოსავლეთი

	თ	მ	ნ	ოწ	ქ
1. ფილადელფია*	65	40	19	6	86
2. ბოსტონი*	65	38	19	8	84
3. ვაშინგტონი	67	37	20	10	84
4. პიტსბურგი	67	38	21	8	84
5. ტამპა ბეი*	66	37	21	8	82
6. მონრეალი	66	36	23	7	79
7. რეინჯერსი	68	35	29	4	74
8. バფალო	65	32	25	8	72
9. კაროლინა	66	31	26	9	71
10. ტორონტო	66	29	28	9	67
11. ატლანტა	66	27	28	11	65
12. ნიუ ჯერსი	65	30	31	4	64
13. ფლორიდა	66	26	31	9	61
14. აილენდერსი	67	25	32	10	60
15. ოტავა	65	22	34	9	53

დასავლეთი

	თ	მ	ნ	ოწ	ქ
1. ვანკუვერი*	67	42	16	9	93
2. დეტროიტი*	66	39	19	8	86
3. სან ხოსე*	66	38	22	6	82
4. ჩიკაგო	66	37	23	6	80
5. დალასი	66	36	23	7	79
6. კალგარი	68	35	24	9	79
7. ფინიქსი	67	34	23	10	78
8. სენტ ლუისი	66	36	25	5	77
9. მინესოტა	66	34	25	7	75
10. ანაჰაიმი	66	35	26	5	75
11. ნეშვილი	66	33	24	9	75
12. კოლამბუსი	65	31	26	8	70
13. სტ. ლუისი	66	29	28	9	67
14. ლოს ანჯელესი	65	26	31	8	60
15. ედმონტონი	66	23	35	8	54

* - დივი ზიონის ლიდერი

ბომბარდირები

გოლი+პასი

დანიელ სედინი (ვან)	81 (34+47)
სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი)	79 (41+38)
მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი)	76 (24+52)
პენრიკ სედინი (ვან)	76 (15+61)
პენრიკ ზეტერბერგი (დეტ)	69 (18+51)
ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშ)	69 (25+44)
კორი პერი (ანა)	68 (31+37)
სიდნი კროსბი (პიტ)	66 (32+34)
ჯერომ იგინლა (კალ)	66 (30+36)

გოლები

სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი)	41
დანიელ სედინი (ვან)	34
რიან კესლერი (ვან)	33
პატრიკ შარპი (ჩიკ)	33
სიდნი კროსბი (პიტ)	32
კორი პერი (ანა)	31
ჯერომ იგინლა (კალ)	30
ბრუნო რაიანი (ანა)	30
რიკ ნეშუ (კოლამ)	29
ერიკ სტალი (კარ)	29

პასები

პენრიკ სედინი (ვან)	61
მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი)	52
პენრიკ ზეტერბერგი (დეტ)	51
დანიელ სედინი (ვან)	47
ანზე კუპიტარი (ლ-ანჯ)	45
კიტ იენდლი (ფინ)	44
ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშ)	44
ბაიკ რიგბირო (დალ)	43
ნიკლას ლიდსტრომი (დეტ)	41

● ● ●

● პროფესიული კრივი

მარტში დიდი ბრძოლებია

მარტი კრივის სამყაროში ძალიან საინტერესოა თვე იქნება. გთავაზობთ ამ თვეში ყველაზე საინტერესო საჩემპიონო ორთაბრძოლების ანონსს და თავად დარწმუნდებით, რომ კრივის ქომაგებს მოსაწყენად არ ეცლებათ.

კოტო VS მაიორგა

12 მარტი. ლას ვეგასი (აშშ). 30 წლის პუერტორიკოელი მიგელ ანხელ კოტო (35-2-0, 28KO) პირველ საშუალო წონაში WBA-ის ტიტულს დაიცავს 37 წლის ნიკარაგუელ რიკარდო მაიორგას (29-7-1, 23KO) წინააღმდეგ.

ამ მოკრივეების გვარები ყველასთვის კარგად არის ცნობილი. დღეისთვის **მიგელ კოტო** ცდილობს აღდგენასა და გამარჯვების გზაზე დადგომას მექსიკელი **ანტონიო მარგარიტოსგან** (2008) და ფილიპინელი **მენი პაკიაოსგან** (2009) მიღებული ორი მტკივნეული მარცხის შემდეგ. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი შარშან გადადგა, როცა ტიტული მოიპოვა ისრაელის სახელით მებრძოლ ამერიკელ **იური ფორმანთან** ბრძოლაში.

ამის შემდეგ მიგელი თავის პრომოუტერ **ბობ არუმთან** ერთად დიდი ხანი ვერ პოულობდა სასურველ მოწინააღმდეგეს. **ხულიო სეზარ ჩავესთან** და **კერმიტ სინტრონთან** მოლაპარაკები არ მოხერხდა და საბოლოოდ, ოპონენტად ნიკარაგუელი **რიკარდო მაიორგა** ერგო. ეს უკანასკნელი თავის დროზე მრისხანე ჩემპიონი იყო, მაგრამ ბოლო წლებში საკრივო თვისებების მხრივაც უკლო და მეტოქის მიმართ შეურაცხმყოფელი და პროვოკაციული განცხადებებიც აღარ გამოსდის. სავარაუდოდ, პუერტორიკოელი უპრობლემოდ დაამარცხებს მაიორგას - ასე მიაჩნიათ ბუკმეიკერებს.

მარტინესი VS ძინძირუკი

12 მარტი. მაშანტაკეტი (აშშ). საშუალო წონაში WBC-ის „ბრილიანტის“ ქამარს გაითამაშებენ 36 წლის არგენტინელი სერხიო მარტინესი (46-2-2, 25KO) და 35 წლის უკრაინელი სერგეი ძინძირუკი (37-0-0, 23KO).

შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორი და სენსაცია **სერხიო მარტინესი** მორიგ ბრძოლას გამართავს, რომელიც ყველაზე პრესტიჟული ტელეარხის - HBO-სი ეთერით გადაიცემა. შარშან არგენტინელმა ორი ცნობილი ამერიკელი - **კელი პავლიკი** და **პოლ უილიამსი** დაამარცხა, მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა ჟურნალ „რინგის“ რეიტინგში, ახლა კი შეხვდება ნაკლებად ტიტულოვან, მაგრამ აქამდე დაუმარცხებელ მოწინააღმდეგეს.

35 წლის უკრაინელი სერგეი ძინძირუკი უკვე ხუთი წელია ინარჩუნებს პირველ საშუალო წონაში WBO-ის საჩემპიონო ტიტულს. მაგრამ მას აქამდე ვარსკვლავური მეტოქეები არ ჰყოლია. ამის მიზეზი იყო ცნობილ გერმანელ პრომოუტერ **კლაუს-პიტერ კოლისთან** მუშაობა, რომელიც ცნობილია თავისი შეგირდებისთვის საშუალო დონის მოკრივეების შერჩევით. არადა, ძინძირუკი დიდი ხანი ითხოვდა თავისი პრომოუტერისგან სერიოზული ბრძოლების ორგანიზებას. ერთი პერიოდი თვით **ოსკარ დე ლა ჰოიასთან** ბრძოლაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ამაზე შორს საქმე არ წასულა.

და აი, ახლა ძინძირუკმა გაწყვიტა ურთიერთობა კოლთან და ამერიკაში გადავიდა, სადაც ახალმა პრომოუტერებმა მას ისეთი ბრძოლა მოუწყვეს, რომელზეც დიდი ხანი ოცნებობდა. მარტინესთან შესახვედრად უკრაინელს ერთი წონით მაღლა ასვლა მოუწია.

კლიჩკო VS სოლისი

19 მარტი. კიოლნი (გერმანია). 39 წლის უკრაინელი ვიტალი კლიჩკო (41-2-0, 38KO) სუპერმძიმე წონაში WBC-ის საჩემპიონო ქამარს დაიცავს 30 წლის კუბელ ოდლანიერ სოლისთან (17-0-0, 12KO) ბრძოლაში.

ვიტალი კლიჩკოსთვის ეს იქნება 2008 წელს მოპოვებული ტიტულის მეექვსე დაცვა. ამჯერად უკრაინელს დაუპირისპირდება მოყვარულებს შორის მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონი **ოდლანიერ სოლისი**, რომელმაც WBC-ის ოფიციალური პრეტენდენტის სტატუსი მოიპოვა.

კუბიდან გამოქცეული სოლისი კარგად მოერგო პროფესიულ კრივს და ჯერჯერობით ყველა ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა, ძირითადად ძალიან სწრაფი ხელებისა და კარგი ტექნიკის წყალობით. მაგრამ ვიტალის დონის მოწინააღმდეგე მას არასოდეს ჰყოლია და სწორედ ამ ბრძოლამ უნდა გვანახოს - რეალურად რას წარმოადგენს „გაპიარებული“ კუბელი.

ორივე მოკრივე მონდომებით ემზადება საკუთარ ბანაკში. ამასთან, სოლისი აქტიურად ცდილობს ზედმეტი წონის დაგდებას. ბუკმეიკერების ფავორიტი ჩემპიონი გახლავთ.

გამბოა VS სოლისი

26 მარტი. ატლანტიკ-სიტი (აშშ). 29 წლის კუბელი იურიორკის გამბოა (19-0-0, 15KO) ნახევრადმჩატე წონაში WBA-სა და IBF-ის ტიტულებს დაიცავს 31 წლის მექსიკელ ხორხე სოლისთან (40-2-2, 29KO) ბრძოლაში.

ტიტულების გამაერთიანებელ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, ბობ არუმმა **გამბოა** არ გაიყვანა თავისი კიდევ ერთი ვარსკვლავი შეგირდის, პუერტორიკოელი **ხუან მანუელ ლოპესის** წინააღმდეგ. „ცბიერი“ არუმი ჯერ კიდევ ცდილობს კუბელისთვის იოლი ბრძოლების ორგანიზებას, თუმცა მექსიკელი **ხორხე სოლისი** სულაც არ არის იოლი მეტოქე. კრივის მოყვარულებს ის დაამახსოვრდათ 2007 წელს მენი პაკიაოსთან ბრძოლით. მართალია, მექსიკელმა მერვე რაუნდში ნოკაუტით წააგო, მაგრამ სასტარტო რაუნდებში ძალიან კარგად გამოიყურებოდა.

სოლისი ფლობდა WBA-ის დროებით ტიტულს პირველ ნახევრადსაშუალო წონაში და ახლა სრულფასოვანი ტიტულის მოპოვება სურს, თანაც ორის, რადგან კუბელი WBA-სა და IBF-ის საჩემპიონო ქამრების მფლობელია. მაგრამ ამის გაკეთება სოლისს გაუჭირდება - გამბოამ უკვე დაამტკიცა, რომ სამოყვარულო რინგზე მისი ვარსკვლავური სტატუსი შემთხვევითი არ ყოფილა და ის პროფესიონალებშიც დაუმარცხებელია.

დიმიტრენკო VS სოსნოვსკი

26 მარტი. ფრანქფურტი (გერმანია). 28 წლის გერმანელი ალექსანდრ დიმიტრენკო (30-1-0, 20KO) სუპერმძიმე წონაში EBU-ის ევროპის ჩემპიონის ტიტულს დაიცავს 31 წლის პოლონელ ალბერტ სოსნოვსკის წინააღმდეგ (46-3-1, 28KO).

ეს იყო ამ მეტოქეებს შორის ბრძოლის ორგანიზების მეორე ცდა. 4 დეკემბერს შეხვედრა მოკრივეების რინგზე გასვლამდე ცოტა ხნით ადრე გაუქმდა. მიზეზი ის იყო, რომ წარმოშობით უკრაინელმა **დიმიტრენკომ** მოულოდნელად გასახდელში გონება დაკარგა და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოგვიანებით გაირკვა, რომ გერმანიის მოქალაქეს სერიოზული სამედიცინო გადახრები არ ჰქონდა და მას კარიერის გაგრძელების უფლება მისცეს. ასე რომ, ახლა კრივის მოყვარულებს იმედი აქვთ, რომ ამჯერად მაინც შედგება ეს საინტერესო ორთაბრძოლა. დიმიტრენკო პირველად იჩხუბებს გერმანიის სახელით - ამ ქვეყნის მოქალაქე ის გასული წლის ბოლოს გახდა. ბუკმეიკერები მას მცირე უპირატესობას ანიჭებენ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



მაიორგა კოტოს აშინებს

● ცხელი ხაზი

ერთვნული

ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა

1/8 ფინალი. II მაგჩეები

ბარსელონა-არსენალი	3:1 (1:2)
შახტარი-რომა	3:0 (3:2)

ამხანაგური მაგჩეები

ჰაუგესუნდი-ლოვჰამი	2:0
ჰალმსტადი-ლიუნგსკილე	0:0
სანდეფიორდი-სიოგნდალი	0:3

ინგლისი

ჩემპიონშიფი

ბარნსლი-სკანთორფი	2:1
ბრისტოლი-პორტსმუთი	2:1
დონკასტერი-ქოვენთრი	1:1
ჰალი-ბარნლი	0:1
იფსვიჩი-რედინგი	1:3
ლესტერი-ნორვიჩი	2:3
მიდლსბრო-დერბი	2:1
მილუოლი-ქუინზ პარკი	2:0
პრესტონი-ლიდსი	1:2
შეფილდი-ნოტინგემი	2:1
სუონსი-უოტფორდი	1:1
კრ. პალასი-კარდიფი	1:0

I ლიგა

ბრენტფორდი-ბრაიტონი	0:1
კარლაილი-ჰარტლპული	1:0
დაგენჰემი-კოლჩესტერი	1:0
ექსეტერი-ბორნმუთი	2:0
ჰადერსფილდი-როჩდილი	2:1
მილტონი-ჩარლტონი	2:0
ნოტსი-პიტერბრო	0:1
ოლდჰემი-უენსდი	2:3
პლიმუტი-სუინდონი	1:0
საუთჰემპტონი-იეოვილი	3:0
ტრანმერი-როუჩერსი	0:1
უოლსოლი-ლეიტონი	0:2

II ლიგა

აკრინგტონი-სტოკპორტი	3:0
ალდერშოტი-ტორკი	1:0
ბარნეტი-უიკომბი	0:1
ბრედფორდი-როტერჰემი	2:1
ბარტონი-ლინკოლნი	3:1
ბერი-მორეკამბი	1:0
ჩესტერფილდი-ნორთჰემპტონი	2:1
მაკლსფილდი-ძრიუ	1:0
შრიუსბერი-პორტ ვეილი	2:2
საუთენდი-ჯილინგემი	2:2
სტევენეიჯი-ჰერეფორდი	0:1

კონფერენსი

ბაროუ-ალტრინჩემი	1:0
გეინტშიდი-დარლინგტონი	2:2
კიდერმინსტერი-ძროული	0:0
ლუტონი-ტამუორტი	2:0
რაშდენი-ფორესტ გრინი	2:2
რექსჰემი-ისტბურნი	2:1

ინგლისი

FA Trophy

მენსფილდი-ჩეიზთაუნი	3:1

გერმანია

III ბუნდესლიგა

ბაიერნი A-ოფენბახი	1:0
ალენი-შტუტგარტი A	2:0

რეგიონალლიგა (დასა)

ბოხუმი A-ელვერსბერგი	0:2

შოტლანდია

I დივიზიონი

კოუდენბითი-დანდი	1:3
დარფერმლაინი-როსი	1:1
პარტიკი-ძუინი	3:1

II დივიზიონი

ფორფარი-ბრეჩინი	2:1
სტენჰაუზმური-ლივინგსტონი	1:2
ეირდრი-ისტ ფაიფი	1:1

III დივიზიონი

ანენი-სტრანრარი	2:1
ალბიონი-არბროა	0:2
ბირუიკი-ისტ სტრილინგი	3:0
კლაიდი-ძუინზ პარკი	2:3

ავსტრია

II დივიზიონი

ალტახი-ვენა	1:0

პოლონეთი

იაგელონია-ულიონსკი	1:1

უნგრეთი

ჟოლნოკი-ლომბარდი	2:2
დებრეცენი-პაკში	2:1

უნგრეთის თასი

უიპეშტი-კაპოშვარი	2:3
მტკ-ზალაეგერშეგი	0:0

კალათბურთი

გერმანია

ბამბერგი-ტიუბინგენი	113:73

ჰოკეი

კელ

ლოკომოტივი-დინამო (რ)	4:2
სკა-ატლანტი	5:3

ბელარუსი

ბრესტი-იუნოსტი	2:8
სოკილი-ნემანი	3:4 (ო)
გომელი-შახტარი	2:1 (ო)
ლიეპაიასი-მეტალურგი	2:4

ავსტრია

ზალცგურგი-ოლიმპია	3:2 (ო)
ვილახი-ლინცი	5:2
კლაგენფურტი-ზაგრები	6:5 (ო)

გერმანია

კიოლნი-აისბარენი	6:7 (ბ)

დანია

ოლბორგი-სონდერიისკი	2:3
ფრედრიკშავნი-ჰერნინგი	4:9

ნორვეგია

ლილეჰამერი-სტორჰამარი	6:1
რუსენბორგი-სპარტა	0:4
ფრისკ ასკერი-სტავანგერი	4:8
ლორენსკოგი-ვოლერენგა	5:1

სლოვაკეთი

პიესტანი-ჟილინა	1:3

ფინეთი

ბლუზი-საიპა	4:2
ჰიფკ-ტპს	2:1 (ბ)
ილვესი-კალპა	1:3
იუვასკიულა-ჰპკ	1:3
პელიკანსი-ტაპარა	4:1
ლუკო-კერპეტი	1:2
ესეტი-იოკერიტი	2:3

ჩეხეთი

პარდუბიცე-ჟლინი	6:2

შვედეთი

ფერიესტადი-ბრინასი	7:3
ლულეა-იურგორდენი	2:1 (ო)
შელეფტეო-ლინჩოპინგი	4:3 (ო)

შვეიცარია

ცუგი-სერვეტი	4:3 (ბ)
კლოტენი-ციურიხი	3:2 (ო)

● TV პროგრამა

9 მარტი. ოთხშაბათი

GMG-ფეხბურთი

23:40 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ტოტენჰემი-მილანი (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

23:30 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. შალკე-ვალენსია (LIVE).
02:25 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. პენიაროლი-ლიგა დე კიტო (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

04:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ოკლაჰომა (LIVE).

SPORT+

18:40 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. პლეი ოფი. ზენიტი-სკრა. საპასუხო მატჩი (LIVE).
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ტოტენჰემი-მილანი (LIVE).

EUROSPORT

13:00 წყალში ხტომა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 1 მ. ტურნინი. იტალია (LIVE).
16:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ინდივიდუალური რბოლა. ქალები. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
18:45 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. IV ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).

ფორმულა 1

მარკ უებერი

პირველი დღე უებერმა მოიგო

გუშინ, ბარსელონაში სეზონისწინა დასკვნითი ტესტები დაიწყო. პირველ დღეს საუკეთესო დრო „რედ ბულის“ ავსტრალიელმა პილოტმა **მარკ უებერმა** აჩვენა, რითაც დაადასტურა ჩემპიონი გუნდის კარგი ფორმა. კატალუნიას ტრასაზე ავსტრალიელმა საუკეთესო წრე წუთსა და 22.544 წამში გაიარა - ეს ორი წამით უარესია შარშანდელ კვალიფიკაციაში ნაჩვენებ შედეგზე, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ წელს ბარსელონაში ასე სწრაფად არავის უვლია.

ტესტების ბოლოს უებერის დრო წამნახევრით გაუმჯობესა ფორმულა 1-ის დებიუტანტმა **სერხიო პერესმა**, მაგრამ მისი სისწრაფის საიდუმლო მარტივად აიხსნება - ახალგაზრდა პილოტმა ერთ-ერთი მოსახვევი მოჭრა. ამასთან, „ზაუბერის“ წევრმა, ისევე როგორც მისმა რამდენიმე კოლეგამ, სესიის ბოლო ათ წუთში მკვეთრად მოუმატა ტემპს. მაგრამ თუ პერესმა და სხვებმა თავიანთი საუკეთესო შედეგები ცარიელი ავზებით აჩვენეს, უებერმა ლიდერობა წრეების საკმაოდ გრძელი სერიისას მოიპოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ „რედ ბულს“ კიდევ შეუძლია მომატება.

ტესტებმა რვა გუნდის მონაწილეობით („ფერარის“, „მერსედესის, „უილიამსისა“ და HRT-ის გარდა) მოღრუბლულ და გრილ ამინდში ჩაიარა, რამდენჯერმე წამოწვიმა კიდეც. ტრასაზე საერთო ჯამში 11 პილოტი მუშაობდა, მათ შორის სამი რეზერვისტი. მეორე შედეგი აჩვენა „მაკლარენის“ პილოტმა **ჯენსონ ბატონმა** - დილიდან ბრიტანულმა გუნდმა ყველა გააოცა მანქანის უცნაური „ცხვირით“. როგორც შემდეგ გაირკვა, მასში ჩამალული იყო მონაცემთა შემგროვებელი აპარატურა და ბრიტანული საჯინიბო რბოლებში ასეთ მომრგვალებულ „ცხვირს“ არ გამოიყენებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯენსონმა საუკეთესო დრო ერთი სწრაფი წრის გავლისას აჩვენა, ხოლო დილით, რბოლის სიმულაციისას მისი სიჩქარე გაცილებით დაბალი იყო. საბოლოო ოქმში მესამეზე აღმოჩნდა **ვიტალი პეტროვი** - მან შესვენების შემდეგ „ლოტუს-რენოს“ საჭესთან **ნიკ ჰაიდფელდი** შეცვალა, თანდათან მოუმატა ტემპს და საბოლოოდ, ბატონთან მხოლოდ რამდენიმე მესამედი წამი წააგო.

ჰაიდფელდი, რომელსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა.

სატესტო სესია რამდენჯერმე შეწყდა წითელი დროშების მეშვეობით: ტესტების სტარტზე **სებასტიან ბუემის** „ტორო როსო“ გაჩერდა ტექნიკური პრობლემების გამო. შესვენებამდე 15 წუთით ადრე **ვალსეკი** („ლოტუსი“) გადავარდა ტრასიდან, ბოლოს კი კიდევ ერთი რეზერვისტის - **რაზიას** („ლოტუსი“) გამო შეაჩერეს ვარჯიში.

ბარსელონაში ტესტები დღეს გაგრძელდება. ტრასაზე ყველა გუნდს ვიხილავთ HRT-ის გარდა, რომელიც ხუთშაბათს დაიწყებს საფინალო ტესტებს.

■ ■ ■

ამასობაში, მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონი **ლუის ჰემილტონი** გახდა მორიგი პილოტი, ვინც „პირელის“ ახალი საბურავები გააკრიტიკა. როგორც უკვე ვწერდით, გუნდებს მინიმუმ სამი პიტსტოპის შესრულება მოუწევთ, რადგან საბურავი მალე ცვდება, თანაც მას არ გააჩნია სისწრაფის სათანადო მაჩვენებლები.

„ჩემი აზრით, ფორმულა 1 უფრო ნელი გახდება, - ამბობს ბრიტანელი პილოტი. - ახლა მანქანებს უფრო მეტი დრო დასჭირდებათ დისტანციის დასაფარად. უნდა დაემზადებინათ ისეთ საბურავები, რომლებიც მძიმე ავზებს გაუძლებდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა. როცა პირველად გავედი ტრასაზე და შესაძლებლობების მაქსიმუმს არ ვაჩვენებდი, საბურავები 9 წრეზე მეყო. შემდეგ ჯერზე უფრო ფრთხილად ვიარე და მაინც მხოლოდ 15 წრე გამიძლო“.

პირველი დღის შედეგები

1. უებერი („რედ ბული“)	1:22.544 (97 წრე)
2. ბატონი („მაკლარენი“)	+0.366 (74)
3. პეტროვი („ლოტუს-რენო)	+0.393 (27)
4. პერესი („ზაუბერი“)	+1.573 (90)
5. ჰაიდფელდი („ლოტუს-რენო“)	+2.191 (20)
6. დი რესტა („ფორს ინდია“)	+2.495 (38)
7. ვალსეკი („ლოტუსი“)	+2.862 (50)
8. ბუემი („ტორო როსო“)	+3.460 (48)
9. ჰულკენბერგი („ფორს ინდია“)	+3.486 (31)
10. რაზია („ლოტუსი“)	+4.179 (29)
11. დ'ამბროზიო („ვირჯინი“)	+9.516 (57)

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ოლიმპიური ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

რაონიჩს დიდი სლემის მოგება შეუძლია

ესპანელი სპეციალისტი **გალო ბლანკო**, რომელიც ბოლო დროს მიმდინარე სეზონის მთავარ აღმოჩენასთან, კანადელ **მილოშ რაონიჩთან** მუშაობს, MARCA-თვის მიცემულ ინტერვიუში ყვება 20 წლის ჩოგბურთელის პერსპექტივებზე, აგრეთვე კომენტარს უკეთებს მიმდინარე სეზონში ATP-ის ამომავალი ვარსკვლავის გამოსვლას.

მილოშმა 2011 წელი 159-ე ჩოგანის რანგში დაიწყო, მაგრამ ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხე წრეში გასვლამ და ამის შემდეგ ცხრამატჩიანმა მოგებათა სერიამ (რომლის დროსაც კანადელმა სან ხოსეს ტურნირი მოიგო და მემფისის ფინალში გავიდა), .მას მსოფლიოს რეიტინგში 37-ე პოზიცია მოუტანა.

„სიმართლე გითხრათ, ჩვენც არ მოველოდით სეზონის ასეთ სტარტს. საკუთარი შეგირდის შესაძლებლობების ყოველთვის მჯეროდა, მაგრამ ის იმაზე გაცილებით სწრაფად პროგრესირებს, ვიდრე ამას ველოდით. დაგვეხმარა ის, რომ ავსტრალიის ღიას პირველობის მერვედფინალში გასვლის შემდეგ არ გაჩერდა და მუშაობა გააგრძელა. ასე რომ არ ყოფილიყო, არც ის წარმატება იქნებოდა, რომელიც მილოშმა სან ხოსესა და მემფისში მოიპოვა. ყველაზე კარგი ის არის, რომ მილოში მუდმივად სრულყოფისკენ ისწრაფვის. ეს ჩვევა მან ესპანელებისგან გადაიღო. რა თქმა უნდა, მეც ვცდილობ მაქსიმალურად მის დახმარებას, სასარგებლო რჩევების მიცემას, საკუთარი გამოცდილების გაზიარებას, მაგრამ საბოლოო ჯამში კორტზე რაონიჩი გადის. ბოლოდროინდელი გამარჯვებები მხოლოდ მისი დამსახურებაა“, - განაცხადა ბლანკომ.

„ვფიქრობ, რაონიჩს შეუძლია მსხვილი ტურნირის მოგება - „მასტერსი“ იქნება ეს თუ „დიდი სლემის“ რომელიმე ჩემპიონატი. ამასთან, არ მინდა მას ამ ეტაპზე რაიმე კონკრეტული მიზანი დავუსახო. მიმაჩნია, რომ ჯერ ნაადრევია კონკრეტულ ამოცანებზე ფიქრი. ნუ დაგავიწყდებათ, რომ სულ რაღაც ორი თვის წინ ის 150-ე ნომერი იყო, ხოლო, როცა ერთობლივი მუშაობა დავიწყეთ, საერთოდაც 230-ე ადგილზე იმყოფებოდა. დრომ გვიჩვენა, რომ საჭირო მონდომების პირობებში ყველაფერია შესაძლებელი“, - აღნიშნა ესპანელმა.

ბლანკომ რაონიჩთან მუშაობა გასული წლის ოქტომბერში დაიწყო და მალე კანადელმა ბარსელონაში გადასვლა გადაწყვეტა. იქ მილოშის გუნდში შევიდა ფიზმომზადების მწვრთნელი **ტონი ესტალელა** და ექიმი **ანხელ ლუის კოტორო**. *„ეს გადაწყვეტილება გახდა მილოშის პროგრესის საფუძველი“*, - ამბობს ბლანკო.

თავისი შეგირდის სათამაშო თვისებების განვითარებაზე ზრუნვის გარდა, ესპანელ მწვრთნელს კანადელის რთულ ხასიათთან გამკლავებახ მოუწია. *„საიდუმლო არ არის, რომ მილოში ძალიან ტემპერამენტული ადამიანია. როცა რაღაც ისე არ მიდის, როგორც მას სურს, მაშინვე ბრაზდება. დროთა განმავლობაში მან ისწავლა ემოციების კონტროლი და ეს მაშინვე აისახა მის შედეგებზე“*, - აღნიშნა გალომ.

რაონიჩი მწვრთნელთან ერთად

HAWK-EYE სონისაა

იაპონურმა კომპანია „სონიმ“ დაასრულა ბრიტანული კონცერნის - Hawk-Eye Innovations-ის შეძენა. ეს უკანასკნელი გახლავთ ცნობილი სისტემის - Hawk-Eye-ის („შევარდენის თვალი“) მწარმოებელი, რომელიც წარმატებით გამოიყენება ჩოგბურთისა და კრიკეტის მატჩებში და მსაჯს მოედანზე დარტყმის სიზუსტის განსაზღვრაში ეხმარება.

გარიგების ფინანსური დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ ბრიტანელი ექსპერტების შეფასებით, „სონის“ დაახლოებით 20 მილიონი ფუნტი დაუჯდებოდა Hawk-Eye-ის შეძენა. იაპონური კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა **ნაომი კლაიმერმა** განაცხადა, რომ Hawk-Eye-მ დაიმსახურა მსოფლიო რეპუტაცია, რადგან „ეხმარება მსაჯებს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში“.

ჩოგბურთის გარდა Hawk-Eye-ის სისტემა ასევე გამოიყენება კრიკეტში. ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაც დაიხმარს ამ სისტემას საკამათო სიტუაციების გადაწყვეტისთვის.

Hawk-Eye-ის სისტემის გამომგონებელმა **პოლ ჰოუკინსმა** ორშაბათს განაცხადა, რომ ეს გარიგება მსოფლიოს სპორტის ინდუსტრიას უდიდეს შესაძლებლობებს მისცემს.

ვინ იქნება მეორე?

ბოლოდროინდელი წარმატებების წყალობით სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ისევ მიიღო ATP-ის რეიტინგში მეორე პოზიციაზე გადასვლის შანსი. უახლოესი ტურნირი, რომელშიც ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი მიიღებს მონაწილეობას - ინდიან უელსის მასტერსია და იქ წარმატებით გამოსვლის შემთხვევაში ნოვაკი კლასიფიკაციაში უკან ჩამოიტოვებს **როჯერ ფედერერს**.

23 წლის სერბი შარშან პირველ თებერვალს გახდა პირველად ATP-ის მეორე ჩოგანი, თუმცა შემდეგ ისევ მოუწია ჩამოქვეითება. ინდიან უელსში ჯოკოვიჩს სამი პირობის შემთხვევაში შეუძლია გახდეს მსოფლიოს მეორე ნომერი:

1. უნდა გახდეს ტურნირის გამარჯვებული;
2. გავიდეს ფინალში, ამასთან ფედერერმა ვერ უნდა გააღწიოს ნახევარფინალში;
3. გავიდეს ნახევარფინალში, ფედერერმა ვერ უნდა გააღწიოს მეოთხედფინალში.

შეგახსენებთ, რომ შვეიცარიელის აქტივში ამ მომენტში 7965 ქულაა, ჯოკოვიჩს - 7800 ქულა აქვს. გასულ სეზონში ფედერერმა ინდიან უელსის ტურნირის მესამე წრე წააგო კვიპროსელ **მარკოს ბაღდატისთან** და 45 სარეიტინგო ქულა მოიპოვა. ჯოკოვიჩმა კი მეოთხე წრეში დათმო მატჩი მომავალ გამარჯვებულთან **ივან ლუბიჩიჩთან** და თავის აქტივში 90 ქულა ჩაინერა.

იმისთვის, რომ კალიფორნიული მასტერსის შემდეგ მეორე ადგილზე გადავიდეს, ჯოკოვიჩს აუცილებლად სჭირდება 211 ქულის აღება.

მიმდინარე სეზონში ნოვაკს არც ერთი მატჩი არ წაუგია, მისი მოგებათა სერია 14 მატჩს უტოლდება. სერბმა ორი ტიტული მოიგო - მეორედ გაიმარჯვა ავსტრალიის ღიაზე და მესამედ გახდა დუბაის ტურნირის ტრიუმფატორი. თანაც ჯოკოვიჩმა ორივე ტურნირში დაამარცხა ფედერერი - ავსტრალიაში ნახევარფინალურ ეტაპზე და დუბაიში ფინალურ შეხვედრაში.

2010 წლის უიმბლდონის ნახევარფინალში **ტომაშ ბერდიხთან** წაგების შემდეგ ნოვაკმა ტურში 42 მატჩი მოიგო და რვაჯერ დამარცხდა. შედარებისთვის, ამ მონაკვეთში როჯერის მაჩვენებლებია - 49 მოგება და 6 წაგება.

ინდიან უელსში როჯერს სამჯერ გაუმარჯვია - 2004-06 წლებში, ნოვაკი კი 2008 წელს იყო აქ ტიტულის მფლობელი.

კონკურენტები